

საბაზისო კვლევა

ადამიანისა და გარეული ცხოველების

ურთიერთდამოკიდებულება




საბაზისო კვლევა ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ნოემბერი, 2015

„ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულება“. საბაზისო კვლევა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

წინამდებარე კვლევის ანგარიში მომზადდა მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის (ALCP) დაკვეთით. პროგრამას ახორციელებს „მერსი ქორფსი“-ის წარმომადგენლობა საქართველოში შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) დაფინანსებით. ანგარიშში გადმოცემული მოსაზრებები ეკუთვნის შავი ზღვის ეკო აკადემიას.

ALCP | Alliances Lesser
Caucasus Programme

 Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development
and Cooperation SDC

 **MercyCorps**

შინაარსი

ცხრილები	4
რუკები.....	4
დიაგრამები.....	4
სურათები.....	6
1. შემაჯამებელი რეზიუმე და კვლევის შესახებ „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ კომენტარი.....	7
2. ზოგადი შესავალი	10
2.1 კვლევის მიზნები.....	10
2.2 კვლევის მიდგომა და მონაცემთა შეგროვება	10
3. ფაუნის ინვენტარიზაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.....	15
3.1 შესავალი	15
3.2 საკვლევი ტერიტორიის აღწერა.....	15
4. საქართველოში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან და ნადირობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი	30
4.1 საკანონმდებლო ჩარჩო.....	30
4.2 ინსტიტუციური მოწყობა.....	33
4.3 გარეული ცხოველების და ადამიანებს შორის ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შემცირებასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ ინფორმაცია.....	35
5. ველური ბუნება და ადგილობრივი თემის დამოკიდებულება.....	38
5.1 ველური გარემოს ღირებულება	38
5.2 ველური გარემოს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების და ცნობიერების კვლევის შედეგები	42
6. გარეული ცხოველების თავდასხმები და მასთან დაკავშირებული პრობლემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში	63
6.1 გარეული ცხოველის მიერ ადამიანზე თავდასხმების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია სამთავრობო უწყებებიდან.....	63
6.2 გარეული ცხოველის მიერ ადამიანზე თავდასხმების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისგან.....	64
6.3 ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩატარებული საველე კვლევის შედეგების ანალიზი	78
7. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები	98
7.1 ძირითადი მიგნებები.....	98

7.2 რეკომენდაციები.....	107
8. გამოყენებული ლიტერატურა.....	123
9. დანართები.....	125
1. ტექნიკური დავალება.....	125
2. არასტრუქტურული ღია კითხვარი საწყისი კვლევისთვის.....	128
3. ნახევრად სტრუქტურირებული კითხვარი ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით.....	130
4. კვლევა საზოგადოების დამოკიდებულებისა და ცოდნის შესახებ ველური ბუნების მიმართ.....	136
5. გარეული ცხოველის სიმჭიდროვის მიმოხილვა სხვა ქვეყნებში.....	147
6. დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტრუქტურა.....	150
7. ეროვნული სატყეო დეპარტამენტის სტრუქტურა.....	152
8. გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის სტრუქტურა.....	153
9. ხელშეკრულება ხულოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მგლის რეგულირების ღონისძიების განხორციელების შესახებ.....	154
10. პირუტყვის დაავადებების მონიტორინგისა და კატასტროფების რისკის შემცირების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.....	155
11. ცენტრალურ დონეზე შეგროვებული ინფორმაცია.....	165

ცხრილები

ცხრილი 1: დაცული ტერიტორიის ტიპები და მათი განსაზღვრებები. Source: www.apa.gov.ge19

ცხრილი 2: ფაუნის დეტალური ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში24

ცხრილი 3: სამიზნე სოფლები78

ცხრილი 4: რეკომენდაციების შეჯამება116

ცხრილი 5: ინფორმაცია დათვის სიმჭიდროვის შესახებ სხვა ქვეყნებში (Swenson et al., 2000)147

ცხრილი 6: ინფორმაცია მგლის სიმჭიდროვის შესახებ სხვა ქვეყნებში (Boitani, 2000).148

ცხრილი 7: ინფორმაცია ფოცხვერის სიმჭიდროვის შესახებ სხვა ქვეყნებში (Breitenmoser et al., 2000).149

ცხრილი 8: გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების (თავდასხმის) ფაქტები 2010-2015 წლებში. წყარო: სურსათის ეროვნული სააგენტო172

ცხრილი 9: მტირალას ეროვნულ პარკში და მიმდებარე ტერიტორიებზე 2011 - 2015 წლებში მომხდარი გარეული ცხოველების თავდასხმები შინაურ ცხოველებზე. წყარო: დაცული ტერიტორიების სააგენტო.....174

რუკები

რუკა 1: ადგილობრივ რესპონდენტებთან ინტერვიუების შედეგად (2015 წლის აპრილი), პირველადი კვლევის შედეგების საფუძველზე განსაზღვრული სახიფათო სოფლები სავსე გასვლებისთვის შერჩეული12

რუკა 2: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიები19

რუკა 3: DRR სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილი სტატისტიკა გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ (აპრილი-ივლისი, 2015)36

რუკა 4: მუნიციპალური DRR ჯგუფის მიერ აღრიცხული გარეული ცხოველების თავდასხმები რაოდენობა (აპრილი-ივლისი, 2015)100

რუკა 5: ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული „ცხელი წერტილი“ სოფლები თავდასხმების სიხშირის მიხედვით.....101

დიაგრამები

დიაგრამა 1: განხორციელებული საქმიანობის კონცეპტუალური ჩარჩო10

დიაგრამა 2: მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ანგარიშის მომზადების პროცესის სქემა .13

დიაგრამა 4: რესპონდენტების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.....43

დიაგრამა 5: კითხვარების რაოდენობა სქესის აღნიშვნის გარეშე მუნიციპალიტეტების მიხედვით43

დიაგრამა 6: რესპონდენტების გენდერული სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით..44

დიაგრამა 7: რესპონდენტების ასაკობრივი სტრუქტურა45

დიაგრამა 8: რესპონდენტების განათლების სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით ..45

დიაგრამა 9: რესპონდენტების მიერ სავარგულების და შინაური პირუტყვის ფლობა46

დიაგრამა 10: რესპონდენტთა დამოკიდებულება დათვის მიმართ47

დიაგრამა 11: რესპონდენტთა დამოკიდებულება დათვის მიმართ (ა)48

დიაგრამა 12: ქალ რესპონდენტთა დამოკიდებულება დათვის მიმართ.....49

დიაგრამა 13: რესპონდენტთა დამოკიდებულება მგლის მიმართ	49
დიაგრამა 14 : რესპონდენტთა დამოკიდებულება მგლის მიმართ (ა).....	51
დიაგრამა 15: ქალ რესპონდენტთა დამოკიდებულება მგლის მიმართ	51
დიაგრამა 16: რესპონდენტთა დამოკიდებულება ტურის მიმართ.....	52
დიაგრამა 17: რესპონდენტთა დამოკიდებულება ტურის მიმართ (ა).....	53
დიაგრამა 18: რესპონდენტთა დამოკიდებულება აჭარის ველური გარემოს სხვა ცხოველების მიმართ.....	53
დიაგრამა 19 : რესპონდენტთა დამოკიდებულება აჭარის ველური გარემოს სხვა ცხოველების მიმართ (ა).....	54
დიაგრამა 20: გარეული ცხოველები საქართველოში.....	55
დიაგრამა 21: გარეული ცხოველები ადგილობრივ არეალში (აჭარაში).....	55
დიაგრამა 22: ადამიანისთვის საშიში ცხოველები.....	56
დიაგრამა 23: შინაური ცხოველების დაღუპვის ძირითადი მიზეზი.....	57
დიაგრამა 24: ეს ცხოველები იძინებენ ზამთარში?	58
დიაგრამა 25: ეს ცხოველები ჯგუფებად ცხოვრობენ?	58
დიაგრამა 26: ამ ცხოველთაგან რამდენი ცხოვრობს აჭარაში?.....	59
დიაგრამა 27: რამდენი ნაშიერი ჰყავთ ამ ცხოველებს ყოველწლიურად?.....	59
დიაგრამა 28: რა არის ამ ცხოველთა მთავარი საკვები აჭარაში?	60
დიაგრამა 29: ნადირობის ლეგალურობა.....	61
დიაგრამა 30: ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების რესპონდენტთა სქესობრივი სტრუქტურა.....	64
დიაგრამა 31: რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა.....	65
დიაგრამა 32: რესპონდენტთა გეოგრაფიული განაწილება.....	65
დიაგრამა 33: სტატისტიკის წარმოება გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ.....	66
დიაგრამა 34: ძირითადი გარეული ცხოველები და მათი დასახელების სიხშირე.....	67
დიაგრამა 35: ძირითადი გარეული ცხოველები და მათი დასახელების სიხშირე მუნიციპალიტეტების მიხედვით	68
დიაგრამა 36: ძირითადი გარეული ცხოველები და მიყენებული ზიანი.....	69
დიაგრამა 37: გარეულ ცხოველთა თავდასხმების სეზონურობა	70
დიაგრამა 38: გარეულ ცხოველთა თავდასხმების სიხშირე მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	71
დიაგრამა 39: გარეულ ცხოველთა თავდასხმების ზიანის შეფასება.....	72
დიაგრამა 40: რეაგირების დამკვიდრებული პრაქტიკები მუნიციპალურ ჭრილში.....	74
დიაგრამა 41: რისკის შემამცირებელი ღონისძიებები - მუნიციპალურ ჭრილში.....	76
დიაგრამა 42: გარეული ცხოველების ღირებულება.....	77
დიაგრამა 43: გარეული ცხოველების ღირებულება 5 ქულიანი სკალით.....	77
დიაგრამა 44: რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	79
დიაგრამა 45: რესპონდენტების განაწილება განათლების დონის მიხედვით.....	79
დიაგრამა 46: რესპონდენტების მფლობელობაში არსებული ფართობები მუნიციპალიტეტების მიხედვით.....	80
დიაგრამა 47: ფერმების ტიპი მუნიციპალურ ჭრილში.....	81
დიაგრამა 48: მეურნეობის ტიპი რესპონდენტების მიხედვით	82
დიაგრამა 49: არის თუ არა ტურიზმი გავრცელებული თქვენთან?.....	85
დიაგრამა 50: რესპონდენტთა ინტერესი ტურიზმის სფეროს მიმართ	85

დიაგრამა 51: გარეული ცხოველები, როგორც პრობლემა (ა).....	87
დიაგრამა 52: გარეული ცხოველები, როგორც პრობლემა (ბ).....	88
დიაგრამა 53: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ზიანის შეფასება	89
დიაგრამა 54: ყველაზე პრობლემური გარეული ცხოველები.....	89
დიაგრამა 55: პრობლემის დინამიკა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე.....	90
დიაგრამა 56: ბოლო 1 წლის მანძილზე მეურნეობებისთვის მიყენებული ზიანის შეფასება ...	92
დიაგრამა 57: ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის.....	93
დიაგრამა 58: მოსახლეობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები.....	95
დიაგრამა 59: ეფექტუარია თუ არა თქვენს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები	96

სურათები

სურათი 1: არჩვი	21
სურათი 2: გარეული ღორი.....	22
სურათი 3: მგელი.....	22
სურათი 4: შველი.....	23
სურათი 5: დათვი	23
სურათი 6: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - ცხელი ხაზი 153	35
სურათი 7: Fladry (დროშებიანი ბარიერი)	109
სურათი 8: მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტრო ღობე რომელიც იცავს სკებს გარეული ცხოველებისგან	
სურათი 9: „ScareCall“, სრულად პროგრამირებადი სინათლისა და ხმის მოწყობილობა რომელიც შეიძლება დამაგრდეს ღობეზე ან ხეზე საძოვრის ტერიტორიაზე გარეული ცხოველის შემოჭრის თავიდან ასაცილებლად. მოწყობილობამ შეიძლება გამოსცეს მოულოდნელად გააქტიურებადი სინათლისა და ხმაურის ეფექტი (მაგ., სროლის ხმა). წყარო: (Shivik, 2006).....	110

1. შემაჯამებელი რეზიუმე და კვლევის შესახებ „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ კომენტარი

მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა (ALCP) წარმოადგენს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს საბაზრო განვითარების პროექტს, რომელსაც ახორციელებს „მერსი ქორფსი“ საქართველოში. პროგრამა მუშაობს რძის, ხორცის, ცხვრისა და თაფლის ქვე-სექტორების განვითარებაზე სამხრეთ საქართველოს რეგიონებში: ქვემო ქართლი (KK), სამცხე-ჯავახეთი (SJ) და აჭარა (AJ). აღნიშნული რეგიონები მნიშვნელოვნად არიან დამოკიდებული მეცხოველეობის სექტორზე. პროგრამა აუდიტირებულია მეწარმეობის განვითარების დონორთა კომიტეტის (DCED) სტანდარტის შესაბამისად და ახდენს ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებას. ALCP ჩართული არის საბაზრო სისტემების განვითარების მთავარი დამაბრკოლებელი ფაქტორების დიაგნოსტიკის პროცესში.

იმ კატასტროფების რისკების შემცირება, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული მეცხოველეობასა და აჭარის რეგიონში ასევე თაფლის წარმოებაზე დამოკიდებული მცირე მეცხოველე ფერმერების პრობლემებთან, წარმოადგენს მნიშვნელოვან სფეროს. აგრო-ტურიზმის განვითარება წარმოადგენს აჭარის მთავრობის ერთ-ერთ სტრატეგიულ ამოცანას, შესაბამისად აღნიშნული პროგრამა ცდილობს უზრუნველყოს მცირე მეცხოველე ფერმერების ხელმისაწვდომობას მზარდი და ინკლუზიური აგრო-ტურიზმის ბაზრისგან მიღებულ სარგებელზე. თავის მხრივ, აგრო-ტურიზმის განვითარებაში წვლილის შეტანა და სარგებლის მიღება შეუძლიათ ადგილობრივ მთავრობებსა და თემებს. აჭარის რეგიონის მთავარ მიმზიდველობას/ღირებულებას წარმოადგენს როგორც მისი უნიკალური ფლორა და ფაუნა, ასევე ველურ ბუნებასა და შინამეურნეობაში დამზადებული თაფლი, ტრადიციული ფერმერული საქმიანობის მეთოდები და ცხოვრების წესი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩართული ფერმერები და ველური ბუნება/გარეული ცხოველები მშვიდად თანაარსებობდეს და რომ ადგილობრივმა თემებმა ისწავლონ თუ როგორ მართონ და მიიღონ სარგებელი იმ რესურსებისაგან, რომელთაც შესწევთ უნარი მნიშვნელოვნად გააუმჯობესონ მათი საცხოვრებელი/საარსებო გარემო და პირობები. აჭარაში „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ მიერ განხორციელებულმა ბაზრის კვლევამ, ფერმერებისა და მუნიციპალურ დონეზე ინფორმაციის სხვა მომწოდებლებზე დაყრდნობით, გამოავლინა გარეული ცხოველების მხრიდან შინაურ პირუტყვზე და ფუტკრის სკეზე თავდასხმის მაღალი სიხშირე. ცხადი გახდა, რომ პროგრამის სათანადო სტრატეგიის შემუშავების მიზნით აუცილებელი იყო მსგავსი თავდასხმების ზუსტი სიხშირისა და გავლენის დონის შემდგომი დაზუსტება და დადგენა.

„მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა“ აქტიურად მუშაობს ცენტრალურ, რეგიონულ და ადგილობრივ მთავრობებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და კერძო სექტორთან, რათა უზრუნველყოს აჭარის რეგიონში (ასევე ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში) მცირე მეცხოველე ფერმერებისათვის მეცხოველეობის ბაზრების უფრო ეფექტური და ინკლუზიური ფუნქციონირება, რაც გამოიწვევს გაუმჯობესებულ პროდუქტიულობას, შემოსავლებსა და საარსებო წყაროებთან დაკავშირებულ საფრთხეებზე გამკლავებას. პროგრამა ასევე ხელს უწყობს და თანამშრომლობს თითოეულ მუნიციპალიტეტში არსებულ კატასტროფების რისკების შემცირების სამუშაო ჯგუფებთან, რათა მართოს კატასტროფების რისკების შემცირებასთან დაკავშირებული ის საკითხები, რომლებიც გავლენას ახდენენ მეცხოველე და თაფლის მწარმოებელ ფერმერების საქმიანობაზე. გარეული ცხოველების თავდასხმებთან გამკლავებასა და შესაბამისი სტრატეგიის განვითარებისათვის, ამ მიმართულებით მუნიციპალურ დონეზე შესაძლებლობების გაძლიერების მხრივ მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იყო დეტალური კვლევის განხორციელება, რომლითაც შეიქმნა არსებული მდგომარეობის ნათელი სურათი.

შესაბამისად „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ მიერ გამოცხადდა ტენდერი (იხილეთ დანართი 1. ტექნიკური დავალება) „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანისა და ველური ბუნების ურთიერთდამოკიდებულების“ შესახებ კვლევის განხორციელების მიზნით. აღნიშნული ტენდერი მოიგო და შესაბამისი კვლევა განახორციელა „შავი ზღვის ეკო აკადემიამ“ რომელსაც მხარს უჭერდა კონსულტანტი საერთაშორისო ორგანიზაცია „ფაუნა და ფლორა“-დან, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება საქართველოში ადამიანსა და ველურ ბუნებას შორის კონფლიქტის სფეროში მუშაობისა,

მათ შორის თუშეთისა და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე. აჭარაში დაცული ტერიტორიებისა და ეროვნული პარკების მაღალი კონცენტრაციის, ასევე ბუნების კონსერვაციისა და გარემოსდაცვითი ინიციატივების მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, კვლევის მეორადი ფუნქცია იყო იმ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება, რომელთაც შესწევთ უნარი იმუშაონ ამ მიმართულებით აჭარაში და ხელი შეუწყონ შესაბამისი სფეროს განვითარებას. კვლევის მეთოდოლოგია, მიზნები და მიდგომები დეტალურად არის აღწერილი მომდევნო თავში.

კვლევის განხორციელების საწყის ეტაპზე ცხადი გახდა, რომ ძალიან რთული მოსაპოვებელი იყო კონკრეტული მონაცემები გარეული ცხოველების მიერ განხორციელებული თავდასხმების სიხშირისა და მათ მიერ მიყენებული ზიანის შესახებ. კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი სახის მონაცემების სისტემატური შეგროვება არ ხორციელდება არც ეროვნულ, რეგიონულ და არც ადგილობრივ დონეებზე. მსგავსი შემთხვევების შესახებ ინფორმაციის გავრცელების ძირითადი ფორმა არის ვერბალური კომუნიკაცია, ადგილობრივი მცხოვრებლებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს შორის. მოპოვებული ინფორმაციის შეგროვება ხდება სხვადასხვა დონეებზე და სხვადასხვა სამსახურების მიერ ყოველგვარი ურთიერთგაზიარებისა და სინეთეზის გარეშე, არ არსებობს არანაირი მექანიზმი სხვადასხვა უწყებებს შორის სისტემური კოორდინაციისა. ცხოველთა თავდასხმების შესახებ ყველაზე უფრო სრულყოფილი და განახლებული ინფორმაცია, რომელიც გამოყენებული იქნა კვლევაში, შეგროვებულია აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში არსებული კატასტროფების რისკების შემცირების სამუშაო ჯგუფების მიერ ერთიანი ელექტრონული ბაზის სახით. აღნიშნული ჯგუფების ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამამ“ 2014-2015 წლებში. რეგიონულ და ცენტრალურ დონეებზე თავდასხმების შესახებ შეტყობინებებზე ოფიციალური პასუხი ან საერთოდ არ არსებობს, ან მოიცავს გაჭიანურებულ და გრძელვადიან პროცედურებს, რომელიც შექმნილ სიტუაციას ნაკლებად ამსუბუქებს.

კვლევამ დაადასტურა, რომ აჭარის რეგიონის სოფლებში გარეული ცხოველების მხრიდან შინაურ პირუტყვზე თავდასხმა წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე მწვავე პრობლემას, რომლის წინაშეც მცირე მეცხოველე ფერმერები დგანან. 2015 წლის აპრილიდან ივლისის თვის პერიოდში კატასტროფების რისკების შემცირების სამუშაო ჯგუფებმა გარეული ცხოველების თავდასხმის 276¹ შემთხვევა (ძირითადად დათვისა და მგლის მიერ) დააფიქსირეს აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტში.

ადამიანებსა და გარეულ ცხოველებს შორის ჩამოყალიბებული ურთიერთდამოკიდებულების კიდევ ერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი არის ფერმერებში გაბატონებული ნეგატიური შეხედულება გარეული ცხოველების მიმართ. ეს დამოკიდებულება მნიშვნელოვნად განპირობებულია შიშით და ოფიციალური ინსტიტუტებისაგან დახმარების მიღების შეუძლებლობით. ფერმერებისათვის ასევე მეტწილად უცნობია ის ფართო გაგებით სარგებელი, რომელიც თავის თავში მოიცავს აგრო-ტურიზმის განვითარებას, რომელშიც ბიომრავალფეროვნებას და ველურ ბუნების კონსერვაციას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. შესაბამისად ფერმერები ცდილობენ, მათ წინაშე არსებული პრობლემები თავად გადაჭრან და გაატარონ გარკვეული პრევენციული ხასიათის ღონისძიებები, სამთავრობო უწყებებისგან დამოუკიდებლად. რაც თავის მხრივ კიდევ უფრო აუარესებს მონაცემების ხელმისაწვდომობისა და იზოლაციის პრობლემას.

კვლევის განმახორციელებელი ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები, რომლებიც მოცემულია ანგარიშის ბოლოში არსებულ მე-4² ცხრილში, იყოფა ოთხ კატეგორიად: პრევენციული სტრატეგია, შემცირების სტრატეგია, მართვა და ინფორმაცია და ინსტიტუციონალური მექანიზმი. ეს ღონისძიებები მოიცავს თავდაცვითი ღონისძიებების შესახებ ფერმერთა ცნობიერების ამაღლებას და ტექნიკურ ნოუ-ჰაუსს, გაუმჯობესებულ ინსტიტუციონალურ კოორდინაციას და ინფორმაციის გადაცემას, მათ შორის მონაცემების შეგროვებას და სხვა შესაძლო ინსტრუმენტებს, როგორც არის კომპენსაცია და საქონლის დაზღვევა. შესაძლოა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ის რეკომენდაციები, რომლებიც ეხება მართვასა და ინფორმაციას, როგორც არის ადგილობრივი მოსახლეობისათვის ბუნების კონსერვაციის შესახებ განათლება და საფრთხის ხარისხის გაზომვა მონაცემების მართვისა და ანალიზის გზით. მონაცემების გაანალიზება გამოავლენს მსგავს ტენდენციებს თავდასხმებში და გვაჩვენებს თუ რომელია

¹ ჯამური მაჩვენებელი აჭარის ხუთივე მუნიციპალიტეტისათვის. წყარო: კატასტროფების რისკების შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები

² ანგარიშის ბოლოს, მე-4 ცხრილში გადმოცემული რეკომენდაციები წარმოადგენს შავი ზღვის ეკო აკადემიის პროექტის გუნდის მოსაზრებებსა და დასკვნებს და არ წარმოადგენს „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის“ შეხედულებებს ან სტრატეგიას. რეკომენდაციების გათვალისწინება მოხდება პროგრამის სტრატეგიის შემუშავების დროს.

თავდასხმის ძირითადი ადგილები და წლის კრიტიკული სეზონები. ეს მონაცემები შემდეგ შეიძლება გამოყენებული იქნეს შემცირების სტრატეგიაში და ხელს შეუწყობს მოსახლეობაში შიშისა და დაუცველობის გრძობის შემცირებას, საფრთხეების რისკის შემცირებით. როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, ადამიანისა და ველური ბუნების ურთიერთდამოკიდებულების სისტემის მთავარი გასაღები და კონფლიქტის შემცირების გზა არის ადამიანების განწყობასთან და დამოკიდებულებასთან პირდაპირი მუშაობა. გამომდინარე იქიდან, რომ თავდასხმების მნიშვნელობა და მათზე პასუხისმგებელი სააგენტოები მუნიციპალური დონით შემოიფარგლება, კატასტროფების რისკების შემცირების სამუშაო ჯგუფების მიერ მონაცემების შეგორვების ეფექტურობა მნიშვნელოვანი პირველი წინადადგმული ნაბიჯია კონკრეტული სტრატეგიის და მუნიციპალურ დონეზე შესაბამისი კომპეტენციის განვითარების მიმართულებით, თუმცა ასევე პარალელურ რეჟიმში საჭიროების შემთხვევაში უნდა მოხდეს რეგიონალურ და ცენტრალურ მთავრობასთან მუშაობა და ადგილობრივი ფერემრების საჭიროებათა ადვოკატირება.

2. ზოგადი შესავალი

2.1 კვლევის მიზნები

კვლევის მიზანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ერთის მხრივ, მცირე მეცხოველე ფერმერებისა და მეორე მხრივ, ველური ბუნების წარმომადგენელ გარეულ ცხოველებს შორის არსებული ურთიერთდამოკიდებულების შესწავლა და ადგილობრივი და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შერბილების მექანიზმების შემუშავება. კვლევის მიზნის მისაღწევად განისაზღვრა ძირითადი ამოცანები:

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში (ქობულეთი, ხელვაჩაური, ქედა, შუახევი, ხულო) წარმოდგენილი ფაუნის ინვენტარიზაცია;
2. ადგილობრივი მოსახლეობის ველური ბუნების წარმომადგენლების მიმართ დამოკიდებულების ანალიზი;
3. გარეული ცხოველების თავდასხმის ბუნებისა და მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი;
4. ნადირობასთან და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან დაკავშირებული, არსებული საკანონმდებლო ბაზის ანალიზი;
5. მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება.

2.2 კვლევის მიდგომა და მონაცემთა შეგროვება

წინამდებარე კვლევის ძირითადი მიდგომების კონცეპტუალური მონახაზი წარმოდგენილია დიაგრამა 1-ზე.

საბაზისო კვლევა ადამიანსა და მტაცებელს შორის კონფლიქტის შესახებ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში						
თავების დასახელება	თავი 2: ზოგადი შესავალი	თავი 3: ფაუნის ინვენტარიზაცია აარ-ის სამიზნე მუნიციპალიტეტებში	თავი 4: ნადირობასა და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან დაკავშირებული საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოს მიმოხილვა	თავი 5: ველური ბუნება და ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება	თავი 6: მტაცებლების თავდასხმები და დაკავშირებული პრობლემები	თავი 7: ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები
გამოყენებული ინფორმაცია	არსებული ანგარიშები, დოკუმენტაციები, მასალები, სივრცითი და არასივრცითი (ცხრილური) ინფორმაცია, საკანონმდებლო დოკუმენტაცია, ინტერვიუების/კითხვარების შედეგები, პირველადი და მეორეადი ინფორმაციის ანალიზის შედეგები					
გამოყენებული მეთოდოლოგია	ლიტერატურის მიმოხილვა, ღია ტიპის ინტერვიუები ადგილობრივ ხელისუფლებასთან და სხვა ადგილობრივი ორგანიზაციები/ინსტიტუციების წარმომადგენლებთან, ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები ადგილობრივი თემის წარმომადგენლებთან; სამუშაო შეხვედრები, გის პროგრამის და ექსპერტის გამოყენებით მონაცემების დამუშავება					

დიაგრამა 1: განხორციელებული საქმიანობის კონცეპტუალური ჩარჩო

წინამდებარე კვლევაში გამოყენებული მონაცემების შეგროვებამოხდა სამ ეტაპად: 1. ინფორმაციის შეგროვება ცენტრალურ დონეზე; 2. ინფორმაციის შეგროვება ადგილობრივ დონეზე და 3. ინფორმაციის შეგროვება ადგილზე ჩატარებული კვლევებიდან.

1. მონაცემების შეგროვება ცენტრალურ დონეზე მოიცავდა მონაცემთა შეგროვებას სახელმწიფო დაწესებულებებიდან გარეული ცხოველების თავდასხმის დაფიქსირებული ჩანაწერებისა და სხვა, შესაბამისი დოკუმენტების შესახებ (საკანონმდებლო და მარეგულირებელი დოკუმენტები, გარემოს მონიტორინგის ანგარიშები, გარეული ცხოველების თავდასხმების ოფიციალური სტატისტიკა, და ა.შ.). შავი ზღვის ეკოაკადემიის პროექტის (კვლევის) მონაწილე ექსპერტთა ჯგუფის მიერ ოფიციალური წერილები გაგზავნილი იქნა გარემოსა და


ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MoENRP) დაცული ტერიტორიების სააგენტოში (APA) და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში (ESD), შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (MoLHSA) დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში (NCDC), სოფლის მეურნეობის სამინისტროს (MoA) სურსათის ეროვნულ სააგენტოში (NFA). ცენტრალურ დონეზე შეგროვებული ინფორმაციის შედეგები წარმოდგენილია მე-4 და მე-6 თავებში.

2. მონაცემების შეგროვება ადგილობრივ დონეზე მოიცავდა ინფორმაციის შეგროვებას, როგორც ადგილობრივი მმართველობებიდან (ავტონომიური რესპუბლიკის და მუნიციპალური), ისე ადგილობრივი დონის წარმომადგენლებისგან (მაგ. არასამთავრობო ორგანიზაციებისგან). ინფორმაციის შეგროვების მიზნით, პირველ რიგში შემუშავებული იქნა საწყისი ღია კითხვარი, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანის და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით ზოგადი სიტუაციური ანალიზის ტენდენციების განსაზღვრის მიზნით გამოკვეთილი და გამოკითხული იქნენ ადგილობრივი დონის ძირითადი დაინტერესებული მხარეები, გარეული ცხოველების თავდასხმების ხასიათის, მიყენებული ზიანის და მათგან გამომდინარე, პრობლემების შესახებ ზოგადი ინფორმაციის მისაღებად. განსაზღვრული დაინტერესებული მხარეებისთვის დასმული კითხვები წარმოდგენილია დანართ 2-ში. კვლევის პროცესში გამოკითხული ძირითადი დაინტერესებული მხარეები არიან:

- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი
- ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები („ჭაობი“, „ეკო-ფერმა“, „გარემო, საზოგადოება, კანონი“)
- საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც ამჟამად მუშაობს დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებულ საკითხებზე აჭარაში (UNDP)
- ადგილობრივი მუნიციპალური მმართველობის წარმომადგენლები/ DRR (კატასტროფების რისკის შემცირების) ჯგუფის წევრები
- სატყეო დეპარტამენტის წარმომადგენლები ადგილობრივ/მუნიციპალურ დონეზე

ადგილობრივი დონის წარმომადგენლების გამოკითხვის პირველადი შედეგები მოცემულია მე-6 თავში. პირველადი გამოკითხვების საფუძველზე, განსაზღვრული იქნა გარეულ ცხოველთა თავდასხმის თვალსაზრისით სახიფათო (ე.წ. „hot spot“) სოფლები, რომლებიც რესპონდენტების მიერ ყველაზე ხშირად აღინიშნებოდა, როგორც უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, თავდასხმების თვალსაზრისით გამორჩეული სოფლები. ამგვარი სოფლები წარმოდგენილია რუკა 1-ზე. ფაუნის და ფლორის საერთაშორისო ორგანიზაციის (Fauna & Flora International (FFI)) კონსულტანტთან თანამშრომლობით, გადაწყდა იდენტიფიცირებული, მომეტებული ხიფათის წინაშე მდგარი სოფლებიდან 10 სოფლის და 100 ფერმერის შერჩევა (2 სოფელი თითოეულ მუნიციპალიტეტში), გამოკითხვის ჩასატარებლად.

რუკა 1: ადგილობრივ რესპონდენტებთან ინტერვიუების შედეგად (2015 წლის აპრილი), პირველადი კვლევის შედეგების საფუძველზე განსაზღვრული სახიფათო სოფლები საველე გასვლებისთვის შერჩეული




3. მონაცემების შეგროვება ადგილზე კვლევებიდან მოიცავდა ადგილობრივი მოსახლეობიდან ინტერვიუების მეთოდით მონაცემების შეგროვებას. პირველადი კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შემუშავებული იქნა დეტალური კითხვარები (კითხვარების შედგენა საერთაშორისო ექსპერტის დახმარებით განხორციელდა). ადგილზე კვლევის კითხვარები დაფუძნებული იქნა ხორვატიასა და საქართველოში ჩატარებულ კვლევებზე (Majic, 2007; Rigg, et al, 2010; Majic, et al., 2011) და რედაქტირებული იქნა ადგილობრივი მოთხოვნების გათვალისწინებით. საერთო ჯამში, შემუშავებული იქნა ორი ტიპის კითხვარი:

I. კითხვარი: ნახევრად სტრუქტურირებული ინტერვიუები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანის და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად (იხ. დანართი 3). პირველი კითხვარის ფარგლებში მოძიებული იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: სოციო-დემოგრაფიული ინფორმაცია თითოეული რესპონდენტის შესახებ, ინფორმაცია მეურნეობის და მეცხოველეობის შესახებ, დეტალური ინფორმაცია გარეული ცხოველების მიზეზით გამოწვეული საქონლის დანაკარგების შესახებ, რეაგირების და პრევენციული ზომების დამკვიდრებული პრაქტიკა.

II. კითხვარი: წერილობითი კითხვარი, რომლის მიზანი იყო ველური ბუნების მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების და მის შესახებ ინფორმირებულობის განსაზღვრა (იხ. დანართი 4). მეორე კითხვარის ფარგლებში მოძიებული იქნა შემდეგი სახის ინფორმაცია: ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენლების დამოკიდებულება გარეული ცხოველების მიმართ, ცოდნა გარეული ცხოველების შესახებ და ა.შ.

მონაცემების შეგროვების პროცესის სქემა ასახულია დიაგრამა 2-ზე.



დიაგრამა 2: მონაცემთა შეგროვების, ანალიზის და ანგარიშის მომზადების პროცესის სქემა

ადგილზე კვლევის დროს, პირველი ტიპის კითხვარით, საერთო ჯამში გამოკითხული იქნა 100 ფერმერი (მესაქონლეები, მეფუტკრეები). კვლევის საწყის ეტაპზე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება კვლევის შემთხვევით შერჩევის მეთოდით ჩატარების შესახებ. პირველი შერჩეული რესპონდენტის შემდეგ, შერჩეული იქნა ყოველი მეათე რესპონდენტი (იმ შემთხვევაში, თუ ფერმერების რაოდენობა სოფელში იყო 100 და მეტი). ამგვარად, სოფლის თითოეული უბანი იქნა დაფარული ადგილობრივი წარმომადგენლის დახმარებით. თუ ფერმერი არ იყო ხელმისაწვდომი, გამოკითხვის განმახორციელებელი ჯგუფი გადადიოდა მეზობელი ფერმერის სახლში და აგრძელებდა კვლევის პროცესს.

მეორე ტიპის კითხვარისთვის გადაწყდა საზოგადოების წარმომადგენლების უფრო ფართო წრის გამოკითხვა იმ ფერმერების ჩათვლით, რომლებმაც ასევე შეავსეს პირველი ტიპის კითხვარები. შესაბამისად, შერჩეულ სოფლებში, ადგილობრივი მოსახლეების გარეული ცხოველების მიმართ დამოკიდებულების შესახებ ინფორმაციის მისაღებად დარიგებული იქნა მეორე ტიპის კითხვარები (დაახლოებით 1,000 კითხვარი ჯამში), თუმცა 1,000-დან შევსებული იქნა მხოლოდ 391. ადგილზე, კვლევის განხორციელების დროს გამოვლენილი ძირითადი ხელისშემშლელი ფაქტორები / სირთულეები შემდეგია:

- ბევრი ოჯახის წევრი წასული იყო მთაში საზაფხულო სამოვრებზე. ასევე, ხშირი იყო ოჯახების თურქეთში, სეზონურ სამუშაოზე წასვლის ფაქტი და შესაბამისად სახლები იყო დაკეტილი (მაგ., ფაჩხა, ჭახათი, ოჩხამური, მაწყვალთა).
- ზოგიერთმა რესპონდენტმა უარი თქვა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე. ინტერვიუზე უარის თქმის ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზს პარალელურად მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საქმიანობები წარმოადგენდა. რესპონდენტები უარს აცხადებდნენ ინტერვიუზე მოუცლელიობის გამო.
- ზოგიერთ შემთხვევაში, რესპონდენტები ნაკლები გულისყურით ეკიდებოდნენ ინტერვიუერების და კითხვარების შევსების პროცესს. ამის უმთავრეს მიზეზად რესპონდენტების მხრიდან უნდობლობა სახელდება. მათი აზრით, მიუხედავად საკითხის აქტუალობისა, ამგვარი კითხვარების შევსებით პრობლემა ვერ მოგვარდებოდა.

„ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულება“. საბაზისო კვლევა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

ადგილზე/საველე კვლევების შესახებ ინფორმაცია უფრო დეტალურად არის წარმოდგენილი მე-5 და მე-6 თავებში.

3. ფაუნის ინვენტარიზაცია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

3.1 შესავალი

პროექტის პირველი ეტაპი მოიცავდა ფაუნის შესახებ საბაზისო ინფორმაციის მოძიებას და შეჯერებას. ჩატარებული კვლევის მიზანს წარმოადგენდა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის გამოვლენილიყო „მსხვილი ძუძუმწოვრების“: გარეული ცხოველები და მათი მსხვერპლი სახეობების შემადგენლობა, სიმჭიდროვე, ტერიტორიული გადანაწილება, გადანაწილება ჰაბიტატების მიხედვით და შეფასებულიყო მათი არსებული მდგომარეობა (იხ. ცხრილი 2), გარეული ცხოველების სიმჭიდროვის მიმოხილვა სხვა ქვეყნებში კი მოცემულია დანართ 5-ში. ტერმინი „მსხვილი ძუძუმწოვრები“ შემოტანილია სიმარტივისათვის, მას არა აქვს რაიმე ტაქსონომიური საფუძველი. ამ პირობით ჯგუფში გაერთიანებულია გარეულ ცხოველთა და ჩლიქოსანთა რიგის ყველა სახეობა, ზომის მიუხედავად. მსხვილი ძუძუმწოვრებისათვის შეირჩა შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

1. კონსერვაციის სტატუსი (საერთაშორისო): IUCN სტატუსი;
2. კონსერვაციის სტატუსი (ეროვნული): საქართველოს წითელი ნუსხა.
3. პოპულაციის რაოდენობა, სიხშირე (ეროვნული და საერთაშორისო);
4. პოპულაციის ტენდენცია;
5. ეკონომიკური მნიშვნელობა (ეროვნული);
6. მონიტორინგის მეთოდი;
7. კვლევითი საქმიანობა: ბოლო 10 წელი.

3.2 საკვლევი ტერიტორიის აღწერა

კვლევის არეალი მოიცავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიას, რომლის ფართობი შეადგენს 2,900 კმ², მოსახლეობის რაოდენობა 2009 წლის აღწერის მონაცემებით 389,000. ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულად 1 თვითმმართველ ქალაქად (ბათუმი) და 5 მუნიციპალიტეტად იყოფა: ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტი. ავტონომიის ტერიტორიაზე 342 დასახლებული პუნქტია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ტერიტორია ტყიანობის მაღალი მაჩვენებლით და ტყეების მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ტყეებს უკავიათ მთლიანი ფართობის 65% (საქართველოს მასშტაბით ტყის საფარი ტერიტორიის 40%-მდე შეადგენს). აქ შეხვდებით, როგორც სუბალპურ, ისე კოლხურ შერეულ ფოთლოვან ტყეებს, რომლებიც ძირითადად, წარმოდგენილია მუხნარებით, წიფლნარებით, წაბლნარებით, სოჭნარებით, ნაძვნარებითა და ფიჭვნარებით.

მთლიანად ტყის ფონდი შეადგენს 191,604 ჰექტარს. მათ შორის სახელმწიფო ნაკრძალი - 13,693 ჰა, ეროვნული პარკი - 15,807 ჰა, მწვანე ზონის ტყეები - 6,668 ჰა, სასმელი წყლის წყალშემკრები აუზის ზონის ტყეები - 1,990 ჰა, დასახლებული პუნქტების მიმდებარე დაცვითი ტყის უბნები - 12,421 ჰა, სუბალპური ტყეები - 7,084 ჰა, წყლის ობიექტების ნაპირდამცავი ზოლები - 5,869 ჰა, ნიადაგდაცვითი და წყალმარეგულირებელი ტყეები - 128,069 ჰა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტყიანობის მაჩვენებელი გამორჩეულად მაღალია მთლიანად საქართველოს (39.1%), მეზობელი თურქეთის (11%) და მთლიანად მსოფლიოს (27%) შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით.

ტყის ვერტიკალურ სარტყლებად განაწილების მიხედვით პირველი სარტყელი უჭირავს ტენიან სუბტროპიკებს (ზღვის დონიდან 350 მეტრამდე), მეორე სარტყელი - შერეულ, განიერფოთლოვან კოლხური ტიპის ტყეებს (ზ.დ. 350-900 მ-მდე), მესამე სარტყელი - წიფლნარ ტყეებს (ზ.დ. 900-

1,500 მ-მდე), მეოთხე სარტყელი - სოჭნარ-ნამძვნარ ტყეებს (ზ.დ. 900-1,500 მ-მდე), მეხუთე სარტყელი - სუბალპურ ტყეებს (ზ.დ. 1,800-2,300 მ-მდე).

ტყის მასივების ყველაზე მეტი წილი (61%) მოდის ზ.დ.-დან 1,000-2,000 მ-ის ფარგლებში. ტყით დაფარული ფართობების ნახევარზე მეტი, 55.9% მოდის 31⁰ და მეტი დაქანების ფერდობებზე, რაც სოფლის მოსახლეობის დიდი სიმჭიდროვისა და მცირე მიწიანობის პირობებში, ტყეების უდიდეს ნიადაგდაცვით და წყალმარეგულირებელ დანიშნულებაზე მიუთითებს.

პირველი სამეცნიერო ინფორმაცია აჭარის რეგიონის ძუძუმწოვრების შესახებ გასული საუკუნის დასაწყისის ნაშრომებში გვხვდება (Динник, 1910), სადაც აღნიშნულია, რომ აჭარა გამოირჩევა როგორც სახეობების მრავალფეროვნებით, ისე რიცხოვნობის მხრივ. აღსანიშნავია, რომ მსხვილი ძუძუმწოვრების შესწავლის თვალსაზრისით, აჭარის რესპუბლიკა ერთ-ერთ ნაკლებად შესწავლილ ტერიტორიას წარმოადგენს. უკანასკნელ წლებში არ ჩატარებულა სისტემატიური კვლევები, გამონაკლისია 2012 წელს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევა (გურიელიძე, 2012), რომელიც ყოფილი ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს დაფინანსებით განხორციელდა და მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ძირითადი სახეობების შესახებ (იხ. ცხრილი 2).

საკვლევი ტერიტორიის ბიომრავალფეროვნებაზე საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, აჭარა მდებარეობს ბიოლოგიური მრავალფეროვნებით მდიდარ რეგიონში, კავკასიაში, რომელიც ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირმა (IUCN) შეიტანა მსოფლიოს იმ 34 ე.წ. „ცხელ წერტილთა“ (Hotspots) ნუსხაში, რომლებიც ხასიათდება ყველაზე დიდი ბიოლოგიური მრავალფეროვნებითა და საფრთხეში მყოფი ხმელეთის ეკოსისტემების სიუხვით. ამავე დროს, გეოგრაფიული მდებარეობით ეს ტერიტორია შედის მსოფლიოში აღიარებულ 200 ეკორეგიონს შორის სახეობათა სიუხვის, ენდემიზმის მაჩვენებლის, ტაქსონომიური უნიკალურობის, წარმოშობის თავისებურებების და ჰაბიტატების იშვიათობის მიხედვით გამორჩეულ მცირე კავკასიონის სამხრეთ დასავლეთ კორიდორში. იგი ფიგურირებს ასევე, მსოფლიოს ბიოლოგიური მრავალფეროვნების დონით უნიკალური და დაცვის საჭიროების თვალსაზრისით პრიორიტეტული 25 რეგიონის ნუსხაში. ამის გამოხატულებაა აგრეთვე ის ფაქტი, რომ ველური ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის (WWF) ინიციატივაში „ევროპის ტყეების 100 ცხელი წერტილის შესახებ,“ ანუ დაუცავ ტყეთა 100 მონაკვეთის შესახებ, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ დაცვას, ერთ-ერთი უპირველესი პრიორიტეტი მიენიჭა აჭარის უნიკალურ ტყის ეკოსისტემებს (მანველიძე, 2008).

აჭარის უაღრესად მრავალფეროვანმა ფიზიკურ-გეოგრაფიულმა პირობებმა და თავისებურმა გეოლოგიურმა წარსულმა, მდიდარ ფლორისტულ შემადგენლობასთან ერთად, განაპირობა მდიდარი და მრავალფეროვანი ცხოველთა სამყაროს ჩამოყალიბებაც. აჭარა, საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად, წარმოადგენს გარკვეულ „ფაუნისტურ კვანძს“, სადაც ადგილობრივი წარმოშობის ე.წ. ენდემური ცხოველების გარდა, უხვად იყრის თავს ევროპისა და აზიის სახეობებიც. დღემდე არსებული მონაცემების თანახმად, აჭარის ფაუნის მრავალფეროვნება წარმოდგენილია 4,627 სახეობით. მათგან 4,028 განეკუთვნება უხერხემლოებს (15 სახეობა შეტანილია საქართველოს წითელ ნუსხაში), ხოლო 599 - ქორდიანებს (66 სახეობა შეტანილია წითელ ნუსხაში). (ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, 2012).

საკვლევი ტერიტორია ხუთ ადმინისტრაციულ ერთეულს მოიცავს: ქედის, ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტი. ცალკე გამოვყავით დაცული ტერიტორიები: მტირალას და მაჭახელას ეროვნული პარკი, კინტრიშის და ქობულეთის დაცული

ტერიტორიები. ცხრილი 2 დეტლურად აღწერს თითოეულ მუნიციპალიტეტში წარმოდგენილ მსხვილ ძუძუმწოვრებს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი მდებარეობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში. მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ქობულეთის მუნიციპალიტეტი, აღმოსავლეთით - ქედის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით - თურქეთი, დასავლეთით - ბათუმი, სამხრეთ-დასავლეთით - შავი ზღვა.

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობია - 36,711 ჰა. ტერიტორიის 15,439 ჰექტარი ტყითაა დაფარული.

მოსახლეობა - 62,828. 37 ადმინისტრაციული ერთეული, 64 სოფელი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრი მდებარეობს ქ. ბათუმში, დიდაჭარის ქუჩა #23.

ქობულეთის მუნიციპალიტეტი

ქობულეთის მუნიციპალიტეტი მდებარეობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჩრდილოეთ ნაწილში. იგი იწყება კოლხეთის სამხრეთ-დასავლეთის ჭაობიანი დაბლობით და იშლება ჩოლოქის, ცხრაფონას, აჭყვას, კინტრიშის, კინკიშას, დეხვასა და ჩაქვის წყლის ხეობებში. ქობულეთის მუნიციპალიტეტს ჩრდილოეთით ესაზღვრება ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტთან საზღვრის სიგრძე 55 კმ.), სამხრეთით - ქედისა (მუნიციპალიტეტთან საზღვრის სიგრძე 33 კმ.) და შუახევის (მუნიციპალიტეტთან საზღვრის სიგრძე 21.4 კმ.) მუნიციპალიტეტები, დასავლეთით კი აკრავს შავი ზღვა (ზღვისპირა ზოლის სიგრძე - 24 კმ.).

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 711.8 კმ²-ია. ტერიტორიის 23,790 ჰექტარი ტყითაა დაფარული. მისი ცენტრი ქ. ქობულეთი განფენილია უშუალოდ შავი ზღვის სანაპიროზე, საშუალოდ ზღვის დონიდან 10 მ-ის სიმაღლეზე.

მოსახლეობის რაოდენობა - 92,900 კაცი. მუნიციპალიტეტის ცენტრია ქ. ქობულეთი. მუნიციპალიტეტში 51 დასახლებული პუნქტია.

ქედის მუნიციპალიტეტი

ქედის მუნიციპალიტეტი მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის შუა წელზე. ჩრდილოეთით 38 კმ. სიგრძეზე ქობულეთის მუნიციპალიტეტი ესაზღვრება, აღმოსავლეთით - 24 კმ. სიგრძეზე შუახევი, დასავლეთით - 24 კმ. სიგრძეზე ხელვაჩაური, სამხრეთით კი, თურქეთის 17 კილომეტრიანი საზღვარი აკრავს. ქედის მუნიციპალიტეტს სამხრეთით მიუყვება შავშეთის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მესხეთის ქედი, ჩრდილოეთით და ჩრდილო-დასავლეთით ქობულეთის ქედი.

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კმ²-ია. ტერიტორიის 37,570 ჰექტარი ტყითაა დაფარული.

მოსახლეობის რაოდენობა - 21,244 ათასი. ქედის მუნიციპალიტეტში შედის 64 დასახლებული პუნქტი. ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა.

შუახევის მუნიციპალიტეტი

შუახევის მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე დაახლოებით 195 კილომეტრია. ჩრდილოეთით მას ესაზღვრება ოზურგეთის (6.3 კმ) და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები (2.5 კმ). სამხრეთით - თურქეთი (46 კმ), აღმოსავლეთით - ხულოს მუნიციპალიტეტი (78 კმ), დასავლეთით - ქედისა (31.5 კმ) და ქობულეთის მუნიციპალიტეტები (29.5 კმ).

შუახევის მუნიციპალიტეტის ფართობია – 588 კმ². ტერიტორიის 40,277 ჰექტარი ტყითაა დაფარული.

მოსახლეობა 22,600 კაცი. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა შუახევი. შუახევის მუნიციპალიტეტში 44 დასახლებული პუნქტია: 1 დაბა და 43 სოფელი.

ხულოს მუნიციპალიტეტი

ხულოს მუნიციპალიტეტს სამხრეთიდან ესაზღვრება თურქეთი (საზღვრის სიგრძე - 20 კმ), დასავლეთით - შუახევის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე – 60.5 კმ), ჩრდილო-დასავლეთით - ოზურგეთის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე – 1 კმ), ჩრდილოეთით - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე – 19.5 კმ), აღმოსავლეთით - ადიგენის მუნიციპალიტეტი (საზღვრის სიგრძე – 28.8 კმ).


ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობია – 710 კმ². ტერიტორიის 37,182 ჰექტარი ტყითაა დაფარული.

მოსახლეობა 35,500. ხულოს მუნიციპალიტეტი აერთიანებს 1 დაბას, 12 თემსა და 78 სოფელს. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია დაბა ხულო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე დაცულ ტერიტორიებს უკავიათ 39,202 ჰექტარი: მტირალას ეროვნული პარკი (15,806 ჰა), კინტრიშის სახელმწიფო ნაკრძალი (10,703 ჰა.) და კინტრიშის დაცული ლანდშაფტი (3,190 ჰა.), მაჭახელას ეროვნული პარკი (8,733 ჰა), ქობულეთის ნაკრძალი (331 ჰა) და ქობულეთის აღკვეთილი (439 ჰა). აჭარის დაცული ტერიტორიები წარმოდგენილია რუკა 1-ზე. დაცული ტერიტორიის ტიპების დეტალური განსაზღვრებები მოცემულია ცხრილ 1-ში, ხოლო დაცული ტერიტორიების სააგენტოს სტრუქტურა მოცემულია დანართ 6 -ში.

რუკა 2: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დაცული ტერიტორიები



ცხრილი 1: დაცული ტერიტორიის ტიპები და მათი განსაზღვრებები. Source: www.apa.gov.ge

დაცული ტერიტორიების ტიპები	განმარტება
სახელმწიფო ნაკრძალი	სახელმწიფო ნაკრძალი შეიძლება დაარსდეს ბუნების, ბუნებრივი პროცესებისა და გენეტიკური რესურსების დინამიური და ხელუხლებელ მდგომარეობაში შენარჩუნებისა და მათზე უმნიშვნელო ზეგავლენის მქონე მეცნიერული კვლევა-ძიების, საგანმანათლებლო საქმიანობისა და გარემოს მონიტორინგის მიზნით. სახელმწიფო ნაკრძალისათვის უნდა შეირჩეს ისეთი სიდიდისა და მდგომარეობის სახელმწიფო ტერიტორია და (ან) აკვატორია, რომელიც უზრუნველყოფს ბუნების ობიექტებისა და პროცესების შენარჩუნებას სპეციალური მოვლისა და აღდგენის გარეშე. საქართველოში არის 14 სახელმწიფო ნაკრძალი, რომელთა საერთო ფართობი შეადგენს 140,672 ათას ჰა-ს..
ეროვნული პარკი	ეროვნული პარკი, ზოგადად, იქმნება ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის, შედარებით დიდი, ბუნებრივი მშვენიერებით გამორჩეული ეკოსისტემების დასაცავად და არსებული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის მიზნით. გარდა აღნიშნულისა, ეროვნული პარკი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ეკოტურიზმის განვითარებაში, განსაკუთრებით კი, საქართველოს ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო

	<p>დონეზე პოპულარიზაციაში. ამჟამად, საქართველოში 10 ეროვნული პარკია, რომელთა საერთო ფართობი 276,723.7 ათას ჰა-ს შეადგენს.</p>
<p>აღკვეთილი</p>	<p>ამჟამად, იმ აღკვეთილებში, სადაც ადრე სატყეო-სამონადირეო მეურნეობები მოქმედებდა, სპეციალური ლიცენზიის საფუძველზე, დაარსებულია სამონადირეო მეურნეობები. ეს აღკვეთილებია - გარდაბნის, ივრის, ჭაჭუნისა და ყორულის. აღკვეთილის კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ჩატარდეს სპეციალური აღდგენითი და მოვლითი ღონისძიებები. მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსის მოხმარებაც. დღესდღეობით, საქართველოში 18 აღკვეთილია და მათი საერთო ფართობი 66,449 ათას ჰა-ს შეადგენს.</p>
<p>ბუნების ძეგლი</p>	<p>ბუნების ძეგლი არის ეროვნული მნიშვნელობის მქონე შედარებით მცირე ტერიტორია, სადაც წარმოდგენილია იშვიათი, უნიკალური და მაღალი ესთეტიკური მახასიათებლების მქონე კომპლექტური ეკოსისტემები, ცალკეული გეომორფოლოგიური და ჰიდროლოგიური წარმონაქმნები, მცენარეთა ცალკეული ეგზემპლარები ან ცოცხალ ორგანიზმთა ნამარხი ობიექტები. ბუნების ძეგლი შეიძლება იყოს მღვიმე, ხეობა, მდინარის დელტა, ტყის კორომი და სხვ. დღეისათვის უკვე 41 ბუნების ძეგლს აქვს მინიჭებული სტატუსი. 2014 წლის მდგომარეობით, ბუნების ძეგლების საერთო ფართობი არის 2,257.74 ჰა.</p>
<p>დაცული ლანდშაფტი</p>	<p>საქართველოში პირველი დაცული ლანდშაფტი - „თუშეთის დაცული ლანდშაფტი“ შეიქმნა 2003 წელს (31,518 ათასი ჰა), 2009 წელს კი დაარსდა „კინტრიშის დაცული ლანდშაფტი“ (3,190 ათასი ჰა). ამ კატეგორიის დაცულ ტერიტორიაზე შესაძლებელია ბუნებრივი რესურსების მდგრადი მოხმარება და ეკოტურიზმის განვითარება კონსერვაციის მიზნების ხელშესაწყობად. 2013 წლის მდგომარეობით, საქართველოში დაცული ლანდშაფტის საერთო ფართობი 34,708 ათას ჰა-ს შეადგენს. დაცული ლანდშაფტი იმართება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ადმინისტრაციის მიერ, რომელიც მართვას ახორციელებს სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოსთან შეთანხმებით.</p>

მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია	საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დაშვებულია მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის შექმნა, თუმცა დღესდღეობით, საქართველოში არ არის მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია იქმნება გარემოს დაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ორგანიზებული და განახლებადი ბუნებრივი რესურსების გამოყენებაზე ორიენტირებული სამეურნეო საქმიანობისათვის. მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია საჭიროებს ხმელეთის შედარებით დიდ ფართობს და (ან) აკვატორიას, რომელიც წარმოადგენს წყლის აკუმულაციის, ტყეებისა და საძოვრების პროდუქტიულობის, ნადირობის, თევზრეწვისა და ნადირ-ფრინველის გავრცელების, აგრეთვე, ტურიზმისათვის საჭირო ბუნებრივ საფუძვლებს. დასაშვებია, იგი იყოს ნაწილობრივ სახეცვლილი და მოიცავდეს დასახლებებსაც. ტერიტორიაზე არ უნდა მოხდეს ეროვნული მნიშვნელობის უნიკალური ბუნებრივი წარმონაქმნები.
------------------------------------	--

აღსანიშნავია, რომ კინტრიში სახელმწიფო ნაკრძალი და მტირალას ეროვნულ პარკში დაცული ტერიტორიის რეჟიმი ათეული წელია მოქმედებს და აქ, აჭარის სხვა ტყით დაფარულ ტერიტორიებთან შედარებით, გარეულ ცხოველთა სიმჭიდროვე და რიცხოვნობა შედარებით მაღალია.

აჭარის დაცულ ტერიტორიებზე (მტირალას ეროვნული პარკი) ცხოველების ფოტომახით გადაღებული სურათები წარმოდგენილია სურათებზე 1-5.



სურათი 1: არჩვი



სურათი 2: გარეული ღორი



სურათი 3: მგელი



სურათი 4: შველი



სურათი 5: დათვი

ინფორმაცია ფაუნის შესახებ აჭარის მუნიციპალიტეტების მიხედვით

ცხრილი 2: ფაუნის დეტალური ინვენტარიზაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

	ხელვაჩაური	ქობულეთი	ქედა	შუახევი	ხულო	
ჩვეულებრივი ტურა (ლათ. <i>Canis aureus</i>)	კონსერვაციის სტატუსი (ქართული)	არ აქვს სტატუსი, არ არის შეფასებული				
	კონსერვაციის სტატუსი (IUCN)	ნაკლები საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები				
	გავრცელება	გვხვდება დაბლობში, ზოგიერთ შემთხვევაში ის შემჩნეული იყო 1,100 მეტრის სიმაღლეზე (გურიელიძე, 2012).				
	რაოდენობა/ სიმჭიდროვე	ჩვეულებრივი სახეობა, ზუსტი რაოდენობა არ არის დადგენილი, სიმჭიდროვე შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც მაღალი. ბოლო 10 წლის განმავლობაში აღინიშნება რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა. სიმჭიდროვე გაზაფხულზე, გამრავლებამდე, მერყეობს 1 ტურიდან / 0.5 - 2.5 კმ ² -ზე (ბუხნიკაშვილი & კანდაუროვი, 2002; გურიელიძე, 2012.)				
	პოპ. ტენდენცია	ზრდა (გურიელიძე, 2012).				
	ეკონომიკური მნიშვნელობა (ეროვნული მასშტაბით)	დროდადრო მასზე ნადირობენ, მაგრამ ის არ წარმოადგენს ნადირობის პოპულარულ ობიექტს საქართველოში (გურიელიძე, 2012). მათ სარგებლობა მოაქვთ სოფლის მეურნეობისთვის იმით, რომ ხელს უშლიან მღრღნელების და კურდღლისებრების რაოდენობის ზრდას. ჩვეულებრივი ტურა ახორციელებს თავდასხმებს ისეთ კულტურებზე, როგორცაა სიმინდი და საზამთრო (Heptner & Naumov, 1998). შეუძლია ცოფის გადატანა (Wilde, 2005).				
	მონიტორინგის მეთოდები	დათვლა კვლევის ჭრილში; ვიდეო ხაფანგები; საცხოვრებელი გარემოს გამოსადეგობის მოდელირება.				
	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	არ არსებობს მიმდინარე კვლევითი ღონისძიებები. პოტენციურად, შესაძლებელია კონსულტაცია ძუძუმწოვრების შემსწავლელ ყველა ზოოლოგთან. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, ეკოლოგიის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES, FFI.				
წითელი მელია (ლათ. <i>Vulpes vulpes</i>)	კონსერვაციის სტატუსი (ქართული)	არ აქვს სტატუსი, არ არის შეფასებული				
	კონსერვაციის სტატუსი (IUCN)	ნაკლები საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები				
	გავრცელება	გვხვდება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე; ვერტიკალურად ის გავრცელებულია 2,800 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან (გურიელიძე, 2012).				
	რაოდენობა/ სიმჭიდროვე	პოპულაციის ზომის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი. მიუხედავად ამისა, გავრცელებული (თუმცა არამრავალრიცხოვანი) სახეობაა. ნაკლებად გავრცელებულია კოლხეთის დაბლობში და ზოგადად, იმ ზონებში, სადაც გავრცელებული არიან ტურები (<i>Canis aureus</i>) (გურიელიძე, 2012).				
	პოპ. ტენდენცია	სტაბილური (გურიელიძე, 2012).				
	ეკონომიკური მნიშვნელობა (ეროვნული მასშტაბით)	დროდადრო მასზე ნადირობენ ბეწვის გამო, მაგრამ ის არ წარმოადგენს ნადირობის პოპულარულ ობიექტს საქართველოში. ის არეგულირებს მღრღნელების სიმჭიდროვეს სასოფლო-სამეურნეო ლანდშაფტზე. ხშირად არის ნახსენები ფოლკლორში (გურიელიძე, 2012). შეუძლია ცოფის გადატანა (Stephen & Derek,				

		2008).				
	მონიტორინგის მეთოდები	დათვლა კვლევის ჭრილში; ვიდეო ხაფანგები; საცხოვრებელი გარემოს გამოსადეგობის მოდელირება.				
	სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	არ არსებობს მიმდინარე კვლევითი ღონისძიებები. პოტენციურად, შესაძლებელია კონსულტაცია ძუძუმწოვრების შემსწავლელ ყველა ზოოლოგთან. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, ეკოლოგიის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES, FFI.				
ტყის (ევროპული/გარეული) კატა (ლათ. <i>Felissilvestri</i>)	კონსერვაციის სტატუსი (ქართული)	არ აქვს სტატუსი, არ არის შეფასებული				
	კონსერვაციის სტატუსი. (IUCN)	ნაკლები საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები				
	გავრცელება	გვხვდება მთელს ტერიტორიაზე; ვერტიკალურად ის გავრცელებულია 2,000 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან (ბუხნიკაშვილი & კანდაუროვი, 2002).				
	რაოდენობა/ სიმჭიდროვე	70	110	165	180	160
		სქესების მიმართება არის 1:3 (მამალი/ დედალი). პოპულაციის სიმჭიდროვე მაღალია 0.22-0.44 100 ჰა-ზე (გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013).				
	პოპ. ტენდენცია	სტაბილური (გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013).				
	ეკონომიკური მნიშვნელობა (ეროვნული მასშტაბით)	ტყის (გარეული) კატები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მღრღნელების და სხვა პატარა ძუძუმწოვრების პოპულაციების გაკონტროლებაში. შინაურ კატებს გადააქვთ რიგი დაავადებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეთ ადამიანებს, ცოფის, ფელინოზის (ანუ კატის ნაკაწრებით გამოწვეული ცხელების/ კეთილთვისებიანი ვირუსული ლიმფადენიტის), და რამდენიმე პარაზიტული ინფექციის ჩათვლით (Nowak, 1997).				
	მონიტორინგის მეთოდები	დათვლა კვლევის ჭრილში; ვიდეო ხაფანგები;				
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	არ არსებობს მიმდინარე კვლევითი ღონისძიებები. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, ეკოლოგიის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES, FFI.					
ჩვეულებრივი მგელი (ლათ. <i>Canis lupus</i>)	კონსერვაციის სტატუსი (ქართული)	არ აქვს სტატუსი, არ არის შეფასებული				
	კონსერვაციის სტატუსი. (IUCN)	ნაკლები საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები. ვერსია 3.1				
	გავრცელება	გვხვდება პრაქტიკულად თანაბრად აჭარის მთელს ტერიტორიაზე, ვერტიკალურად ის გავრცელებულია 2,900 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან (ბუხნიკაშვილი & კანდაუროვი, 2002).				
	რაოდენობა/ სიმჭიდროვე	12	16	20	28	26
		სქესების მიმართება არის 1:1. პოპულაციის სიმჭიდროვე არის 0.025 1 კმ ² -ზე (გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013).				
	პოპ. ტენდენცია	სტაბილური (გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013).				
ეკონომიკური მნიშვნელობა (ეროვნული მასშტაბით)	დროდადრო მასზე ნადირობენ, მაგრამ ის არ წარმოადგენს ნადირობის პოპულარულ ობიექტს საქართველოში. მტაცებლობს პირუტყვზე. მნიშვნელოვანი პერსონაჟია ქართულ ეროვნულ ფოლკლორში(გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013). შეუძლია ცოფის გადატანა (Linnell, 2002).					

Rupicaprarupicapra a)	(ქართული)					
	კონსერვაციის სტატუსი (IUCN)	ნაკლები საფრთხის ქვეშ მყოფი სახეობები				
	გავრცელება	ის გავრცელებულია მუნიციპალიტეტის ტყიან ნაწილში, ტერიტორიაზე ის არ არის თანაბრად განაწილებული; ვერტიკალურად გავრცელებულია 2,600 მ სიმაღლემდე ზღვის დონიდან (ბუხნიკაშვილი & კანდაუროვი, 2002).				
	რაოდენობა/ სიმჭიდროვე	40	50	80	100	90
		სიმჭიდროვე შეადგენს 0.45 ინდივიდს 100 ჰექტარზე. სქესების მიმართებაა 1:2 (მამალი/დედალი)(გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013)				
	პოპ. ტენდენცია	უცნობია				
	ეკონომიკური მნიშვნელობა (ეროვნული მასშტაბით)	სანადირო სახეობა, იმყოფება ბრაკონიერობის დიდი ზეწოლის ქვეშ. მნიშვნელოვანი პერსონაჟია ქართულ ეროვნულ ფოლკლორში(გურიელიძე, 2012; გურიელიძე, 2013)				
	მონიტორინგის მეთოდები	დათვლა კვლევის ჭრილში; ვიდეო ხაფანგები; საცხოვრებელი გარემოს გამოსადეგობის მოდელირება.				
სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა	არ არსებობს მიმდინარე კვლევითი პროექტები. სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ზოოლოგიის ინსტიტუტი, ეკოლოგიის ინსტიტუტი, არასამთავრობო ორგანიზაცია NACRES, FFI.					

4. საქართველოში ბიომრავალფეროვნების მონიტორინგთან და ნადირობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ანალიზი

4.1 საკანონმდებლო ჩარჩო

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ცხოველთა სამყარო მოიცავს “ყველა სახის გარეული ცხოველის ერთობლიობას, რომლებიც მუდმივად ან დროებით ბინადრობენ საქართველოს ტერიტორიაზე, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში და იმყოფებიან ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში.” აღნიშნული კანონმდებლობის შესაბამისად, ცხოველთა სამყარო წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, რომლითაც სარგებლობის უფლება, კონკრეტული პირობების დაცვის შემთხვევაში, ენიჭებათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს.

“ცხოველთა სამყაროს შესახებ” კანონის მიზნები და ამოცანები

საქართველოს კანონმდებლობა ცხოველთა სამყაროს შესახებ დაფუძნებულია საქართველოს კონსტიტუციაზე, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებზე. საქართველოს ცხოველთა სამყაროს მარეგულირებელი ძირითადი ნორმატიული აქტია საქართველოს კანონი “ცხოველთა სამყაროს შესახებ”³ რომელიც მიღებულ იქნა 1996 წლის 25 დეკემბერს და არეგულირებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მისი ობიექტებით სარგებლობის სფეროს.

კანონის მიზნებია: 1. უზრუნველყოს ცხოველთა სამყაროს, მისი საბინადრო გარემოს დაცვა და აღდგენა, სახეობრივი მრავალფეროვნების და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება, მდგრადი მართვის პრინციპების შესაბამისად; 2. ცხოველთა სამყაროს დაცვისა და ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის სახელმწიფო რეგულირების სამართლებრივი უზრუნველყოფა.

კანონის შესაბამისად, ცხოველთა სამყაროს დაცვა ხორციელდება ქვეყნის მდგრადი განვითარების სტრატეგიის, გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნული პროგრამის, რეგიონალური, უწყებრივი და ადგილობრივი გარემოს დაცვის მოქმედებათა პროგრამებისა და საქმიანობის ობიექტთა გარემოს დაცვის სამენეჯმენტო გეგმების საფუძველზე და საქართველოს გარემოსდაცვითი და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის კანონმდებლობის შესაბამისად. ცხოველთა სამყაროს დაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა მოიცავს ამ ღონისძიებათა შემუშავებასა და ინტეგრირებას:

- დაცული ტერიტორიების სამენეჯმენტო გეგმებში;
- სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძლიერების პერსპექტიულ გეგმებში;
- ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიწათმოწყობის სქემებში;
- განსახლებისა და განვითარების გეგმებსა და პროექტებში;
- ინფრასტრუქტურულ პროექტებში;
- განაშენიანებისა და სექტორული განვითარების გეგმებში;

³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/33352>

- არსებული წყლის, ტყის, მიწის, წიაღისა და სხვა ბუნებრივი რესურსების დაცვის, გამოყენებისა და სარგებლობის გეგმებში, პროექტებსა და პროგრამებში.

ცხოველთა სამყაროს მონიტორინგის საკანონმდებლო მექანიზმები

ცხოველთა დაცვის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო ახორციელებს ბიომრავალფეროვნების მუდმივ მონიტორინგს, რომელიც რეგულირდება 2002 წლის 30 მაისის საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის ბრძანებით⁴. ბრძანების მიხედვით, საქართველოს ცხოველთა სამყაროს კადასტრის წარმოებას და ცხოველთა სახელმწიფო აღრიცხვის კოორდინირებას აწარმოებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო თავისი ტერიტორიული ორგანოების და საქვეუწყებო დაწესებულებების მეშვეობით. საქართველოს ცხოველთა სამყაროს კადასტრის წარმოებისთვის, სამინისტროს შეუძლია გასცეს უფლება მონაცემების შეგროვებაზე მესამე მხარეზეც. სახელმწიფო აღრიცხვის მეთოდიკა ეყრდნობა კოჩრენის და ტრანსექტების მეთოდებს. სამონადირეო მეურნეობები პასუხისმგებელია თავიანთი ტერიტორიის ფარგლებში ინფორმაციის შეგროვებასა და სამინისტროსთვის მიწოდებაზე.

ცხოველთა სამყაროს სარგებლობის ფორმები და რეგულაციები, ნადირობა

ცხოველთა სამყაროს შესახებ კანონის მიხედვით, ცხოველთა სამყაროს სარგებლობა (ისეთი როგორცაა ნადირობა, თევზაობა, ცხოველთა სამყაროს ზოოლოგიური კოლექციებისა და სამეცნიერო გამოკვლევებისათვის მოპოვება) შეიძლება მოიცავდეს მათ ადგილზე კვლევასა და გარემოდან ამოღებას. ცხოველთა სამყაროს ობიექტებით საერთო ფორმით სარგებლობა, რომელიც გულისხმობს - საქართველოს მოქალაქეების ინდივიდუალური მოხმარებისა და ესთეტიკური, რეკრეაციული, გამაჯანსაღებელი და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას, არ საჭიროებს ლიცენზიას. სამონადირეო ლიცენზიის გაცემა ხდება საქართველოს კანონის “ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ”⁵ საფუძველზე. ცხოველთა სამყაროს იმ ობიექტების ჩამონათვალის განსაზღვრის წესი და ჩამონათვალი, რომლებიც მიეკუთვნებიან ნადირობის ობიექტებს, განისაზღვრება და მტკიცდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ. ნადირობა დაიშვება მხოლოდ სპეციალურად გამოყოფილ ტერიტორიებზე – სამონადირეო მეურნეობებში. სამონადირეო მეურნეობების მოწყობა შესაძლებელია დაცული ტერიტორიების მხოლოდ შემდეგ კატეგორიებში: ალკვეთილში, დაცულ ლანდშაფტში და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიაზე. ნადირობა აკრძალულია სახელმწიფო ნაკრძალებში, ეროვნულ პარკებში და მათ გარშემო 500-მეტრიან ზონაში, ასევე საქართველოს ქალაქების ადმინისტრაციულ საზღვრებში. გადამფრენ ფრინველებზე ნადირობა შესაძლებელია სამონადირეო მეურნეობების გარეთაც. ნადირობა აკრძალულია ნებისმიერი სახის ასაფეთქებელი და სხვა საშუალებით, რომელიც ტანჯვას აყენებს გარეულ ცხოველს. ცხოველთა სამყაროს ობიექტების მოპოვების წესი რეგულირდება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 27 დეკემბრის დადგენილებით⁶. ნადირობის წესების დარღვევა ნადირობის ობიექტებისათვის მიკუთვნებულ სახეობებზე ნადირობისას – გამოიწვევს პირის

⁴ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/53800>

⁵ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26824>

⁶ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2166315>

დაჯარიმებას 100-დან 1,500 ლარამდე და განსაკუთრებულ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთას⁷.

საქართველოს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის კანონმდებლობა

2003 წლის საქართველოს კანონი წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ⁸ აწესრიგებს სამართლებრივ ურთიერთობებს საქართველოს „წითელი ნუსხისა“⁹ და „წითელი წიგნის“¹⁰ შედგენის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვისა და გამოყენების სფეროში. გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებს იცავს სახელმწიფო. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, მათ შორის, ნადირობა, რეწვა, მოპოვება (ბუნებრივი გარემოდან ამოღება), ჭრა და თიბვა, გარდა ამ კანონით, „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით განსაზღვრული განსაკუთრებული შემთხვევებისა.

გარეული ცხოველების, მათ შორის, წითელ წიგნსა და წითელ ნუსხაში შესული სახეობების მარეგულირებელი აქტები

2014 წლის 31 დეკემბერს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა გააუქმა 2008 წლის 4 მარტის ბრძანება „გარეულ ცხოველთა რეგულირების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“¹¹ და დაამტკიცა ახალი ბრძანება, რომლის მიზანია, მოაწესრიგოს სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, სასოფლო-სამეურნეო და სხვა შინაურ ცხოველთა დაავადებების პროფილაქტიკის და სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის აცილების მიზნით, გარეული ცხოველების რაოდენობის რეგულირების ღონისძიებებთან დაკავშირებული ძირითადი ურთიერთობები.

გარეულ ცხოველთა რეგულირების წესი შემუშავებულია მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვის, აგრეთვე, სამეურნეო საქმიანობისათვის ზიანის აცილების მიზნით. წესი მოქმედებს იმ შემთხვევაში, თუ გარეული ცხოველი საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და მათ ქონებას და ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია. თავდასხმის მომენტში გარეული ცხოველის გარემოდან ამოღება შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ და აღნიშნული არ საჭიროებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინასწარ თანხმობას.

საჭიროების შემთხვევაში, დაინტერესებული მუნიციპალიტეტი რეგულირების ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე, განცხადებით მიმართავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. რეგულირების ღონისძიების ჩატარების მიზნით, სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მიავლენს ექსპერტს ან ექსპერტთა

⁷ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 301-ე მუხლის მიხედვით, ნადირობა დაუშვებელია ნებართვის გარეშე ან აკრძალულ ტერიტორიაზე, ან აკრძალული იარაღით და საშუალებით, რომელიც იწვევს მნიშვნელოვან ზარალს, ასევე, ნადირობა აკრძალულია ეროვნული დაცული ტერიტორიის ფარგლებში ან ნებისმიერი სხვა ტიპის დაცულ ტერიტორიაზე ან ველური ბუნების ობიექტებზე, რომელიც შეტანილია საქართველოს „წითელ ნუსხაში“.

⁸ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/12514>

⁹ საქართველოს „წითელი ნუსხა“ – საქართველოს ტერიტორიაზე გავრცელებულ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობების ჩამონათვალი;

¹⁰ საქართველოს „წითელი წიგნი“ – დოკუმენტი, რომელიც შეიცავს მონაცემებს საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილი სახეობების სტატუსის, გავრცელების არეალის, ადგილსამყოფლის, რაოდენობის, გამრავლების ადგილებისა და პირობების, მათ დასაცავად მიღებული ზომებისა და დაცვისათვის აუცილებელი ღონისძიებების, აგრეთვე, მათთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შესახებ;

¹¹ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2521129>

ჯგუფს. მუნიციპალიტეტის განცხადების ან/და ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვის შემდეგ, სამინისტრო საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“¹² მე-17 მუხლის საფუძველზე, ამზადებს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს და უთანხმებს მუნიციპალიტეტს. სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის შესაბამისად, სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა.

რეგულირების ღონისძიების ჩატარება კონტროლდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რომელიც ადგენს შესაბამის აქტს რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგების თაობაზე. დაუშვებელია რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგად გარემოდან ამოღებული გარეული ცხოველის, ან მისი ნაწილის გაყიდვა, ან რაიმე ფორმით გასხვისება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგად გარემოდან ამოღებული გარეული ცხოველი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე გადაეცემა სამეცნიერო დაწესებულებას, ზოოპარკს ან ცხოველთა თავშესაფარს. ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში, რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგად გარემოდან ამოღებული გარეული ცხოველი ნადგურდება.

გარემოდან სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული ცხოველების ამოღება ხდება საქართველოს მთავრობის N 433 დადგენილების¹³ საფუძველზე, რომელიც დამტკიცდა 2013 წლის 31 დეკემბერს და ადგენს ეპიზოოტიური, ზოონოზური, ზოოანთროპონოზური სნეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული და ადამიანისათვის საკვებად უვარგისად მიჩნეული მეცხოველეობის ნედლეულისა და პროდუქტების, ვეტერინარული დანიშნულების ბიოლოგიური და ყველა სახის ქიმიურ-ფარმაცევტული პრეპარატების ამოღებისა და განადგურების წესის ტექნიკურ რეგლამენტს. ტექნიკური რეგლამენტის მიხედვით, ცოცხალი ცხოველების ამოღება ხდება - დახოცვითა და შემდეგ, დაწვით; დაწვის ადგილის სადეზინფექციო ხსნარით დამუშავებისა და ნარჩენების დამარხვით.

4.2 ინსტიტუციური მოწყობა

ინსტიტუციური უფლებამოსილებების განაწილება

ცხოველთა სამყაროს შესახებ მონიტორინგის განხორციელებასა და ცხოველთა სამყაროს რესურსით სარგებლობაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროა. ცხოველთა სამყაროს მონიტორინგზე, მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე უფლებამოსილია სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამსახური, რომლის ძირითადი ამოცანებია: ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგი და სამეცნიერო კვლევითი მიზნით ცხოველთა სამყაროს ობიექტების გარემოდან ამოღების რეგულირება.

¹² <http://static.mrdi.gov.ge/5326b29e0cf287919443293a.pdf>

¹³ <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2188126>

აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში, სამსახური აქტიურად მუშაობს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების და ეროვნულ სატყეო სააგენტოებთან (დანართი 7).

ცხოველთა სამყაროს სახეობის და რაოდენობის რესურსის სარგებლობის განსაზღვრა ბიომრავალფეროვნების სამსახურის მოვალეობაა, ხოლო რესურსის ლიცენზიის გაცემაზე პასუხისმგებელია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო. ცხოველთა სამყაროს რესურსის სარგებლობის ზედამხედველობას ახორციელებს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (დანართი 8).

გარეულ ცხოველთა რეგულირების მანდატის ფარგლებში, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო თანამშრომლობს საქართველოს სოფლის მეურნეობის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროებთან ადამიანისათვის, შინაური ან გარეული ცხოველებისათვის სახიფათო ეპიდემიის ან/და მისი გავრცელების საშიშროების თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული საფრთხე დგინდება ცხოველთა ზოონოზური და ზოოანთროპოზური დაავადებების სადიაგნოსტიკო გამოკვლევების საფუძველზე.

ადგილობრივ დონეზე გარეულ ცხოველთა რეგულირების ფარგლებში თანამშრომლობა ეფუძნება ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსს, რომლის მიხედვითაც, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აფორმებენ ხელშეკრულებას (დანართ 9-ში იხილეთ ხულოს მუნიციპალიტეტსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულება) გარეულ ცხოველთა რეგულირების საქმიანობის შესახებ. ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია ის ღონისძიებები, რომლის განხორციელებასაც გეგმავს ადგილობრივი მუნიციპალიტეტი და რომლის ზედამხედველობაზეც პასუხისმგებელია გარემოსდაცვითი ზედამხედველობის სამსახური.

აღსანიშნავია, რომ გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევების შესახებ ინფორმაციის ოპერატიული მიღებისა და რეაგირების, ასევე გარემოსდაცვით საკითხებზე ინფორმაციისა და კონსულტაციის მიღების მიზნით (მათ შორის გარეული ცხოველების მიერ განხორციელებული თავდასხმების შესახებ), 2014 წლიდან ამოქმედდა თანამედროვე ტექნოლოგიებზე დაფუძნებული 24-საათიანი სატელეფონო კავშირი - ცხელი ხაზი 153, რომელზეც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება რეაგირება (იხ. სურათი 6).



სურათი 6: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი - ცხელი ხაზი 153

გარემოდან სწეულებების აღმძვრელით დაინფიცირებული ცხოველების ამოღებაზე პასუხისმგებელია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი სურსათის ეროვნული სააგენტო, რომელსაც თავისი უფლებამოსილი პირი ჰყავს ყველა სამოქმედო ზონაში.

4.3 ინფორმაცია გარეულ ცხოველებსა და ადამიანებს შორის უარყოფითი ურთიერთდამოკიდებულების საკითხების შემცირებასთან დაკავშირებული ინიციატივების შესახებ

კატასტროფების რისკების შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები (DRR WG)


2015 წლის იანვრიდან მერსი ქორფსის „მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამის ფარგლებში, (დაფინანსებული SDC-ის მიერ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე მუნიციპალიტეტში კატასტროფების რისკების შემცირების მუნიციპალური სამუშაო ჯგუფები ჩამოყალიბდა (იხილეთ დანართი 10). ადგილობრივი ჯგუფების შექმნას საფუძვლად დაედო საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონი. დღეისათვის აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში შექმნილია და მოქმედებს რისკის შემცირების სამუშაო ჯგუფები. მუნიციპალიტეტების გამგებლების ბრძანებების საფუძველზე, ჯგუფში შესული არიან იმ მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელები, რომლებიც კატასტროფების რისკების მართვის საკითხებზე არიან პასუხისმგებელი და ასევე, მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლები. სამუშაო ჯგუფებში ასევე მონაწილეობენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურისა და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები.

საკუთარი ფუნქცია-მოვალეობებიდან გამომდინარე, კატასტროფების რისკების შემცირების სამუშაო ჯგუფები უფლებამოსილი არიან შეაგროვონ ინფორმაცია და შესაბამისი რეაგირება მოახდინონ, როგორც პირუტყვის დაავადებების მონიტორინგზე, ისე, ბუნებრივ კატასტროფებზე. ჯგუფები ადამიანის საცხოვრებელ და ეკონომიკურ გარემოზე გარეული

ცხოველების თავდასხმების მონიტორინგს ახორციელებენ. აღნიშნული ფუნქციები ჯგუფისათვის ადგილობრივი თვითმართვლობის კოდექსისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე არის განსაზღვრული. დაგეგმილი მიზნების მისაღწევად, სამუშაო ჯგუფები აქტიურ კოორდინაციას ახდენენ ყველა ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლების კატასტროფების რისკების მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან.

DRR სამუშაო ჯგუფის მიერ შეგროვებული ინფორმაცია გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ 2015 წლის აპრილ-ივლისის ფარგლებში წარმოდგენილია რუკა 3-ზე.

რუკა 3: DRR სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოებული სტატისტიკა გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ (აპრილი-ივლისი, 2015)



საქართველოს გარეული ცხოველების კონსერვაციის პროექტი (GCCP)

საქართველოს სინამდვილეში, პირველი ნაბიჯები ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის უარყოფითი დამოკიდებულების შერბილების მიმართულებით გადადგმული იქნა საქართველოს გარეული ცხოველების კონსერვაციის პროექტის (GCCP) მიერ აღმოსავლეთ საქართველოში (ვაშლივანის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე), რომელიც განხორციელებული იქნა NACRES-ის - ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის და კვლევის, FFI-ს (ფაუნისა და ფლორის საერთაშორისო ორგანიზაცია) მიერ. პროექტი დაფინანსებული იქნა ევროკავშირის მიერ. 2009 წელს პროექტის ფარგლებში ჩატარდა საბაზისო კვლევა, რომელიც მოიცავდა ორ კომპონენტს, ერთს - არსებული სამეურნეო პრაქტიკის და კონფლიქტის

წყაროების დასადგენად, და მეორეს - ადგილობრივ საზოგადოებაში მსხვილი გარეული ცხოველების აღქმასთან და მათ მიმართ დამოკიდებულებასთან დაკავშირებით. საბაზისო კვლევის შედეგების და საერთაშორისო პრაქტიკის საფუძველზე მომზადებული იქნა კონფლიქტის შერბილების ინსტრუმენტების კომპლექსი. შექმნილი იქნა ადამიანის და გარეული ცხოველის კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი (HCCRT), რომლის მიზანია იყო ინსტრუმენტების კომპლექსის კომპონენტების განხორციელება, რომელთა შორისაც იყო ადამიანის და გარეული ცხოველის კონფლიქტის შესახებ კვლევების ჩატარება. ვაშლოვანის და თუშეთის დაცულ ტერიტორიებზე ადამიანის და გარეული ცხოველის კონფლიქტის მოგვარების პროექტის ფარგლებში (კონსერვაციის ფონდის Acacia-ს (Acacia Conservation Fund) დაფინანსებით), ადამიანის და გარეული ცხოველების კონფლიქტზე რეაგირების ჯგუფი აგრძელებს ადამიანის და გარეული ცხოველის კონფლიქტის შემთხვევების მონიტორინგს, შემთხვევების სტრუქტურული მონაცემთა ბაზის უზრუნველყოფით და ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიაზე და მის გარშემო შემარბილებელი მიდგომების ადაპტირებით. ასეთი მონიტორინგი აყალიბებს ადამიანის და გარეული ცხოველის კონფლიქტის საკითხების გაგების, გადაწყვეტილებების შემუშავების და ინფორმირებულობის წარმოქმნის საფუძველს სოფლის და ქალაქის საზოგადოებაში, რისი ტირაჟირება / რეპლიკაციაც მთელი საქართველოს მასშტაბით არის შესაძლებელი (FFI & NACRES, 2014).

5. ველური ბუნება და ადგილობრივი თემის დამოკიდებულება

5.1 ველური გარემოს ღირებულება¹⁴

თანამედროვე მსოფლიოში ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია თავისთავში კომპლექსურ და მრავალპროფილიან მიდგომას გულისხმობს. ამასთან, სხვადასხვა რანგის საერთაშორისო ხელშეკრულებების სიმრავლე (ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ბერნის კონვენცია, ფრინველებისა და ჰაბიტატების დირექტივები, ბონის კონვენცია, CITES და ა.შ.), ადასტურებს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებისადმი მზარდ გლობალურ ინტერესს. მიუხედავად ზოგადი, პესიმისტური ხედებისა, არსებობს სახეობების ჯგუფები, რომლებიც საკმარისად კარგად არიან წარმოდგენილი მსოფლიოს გარკვეულ რეგიონებში. ხშირად, ადამიანთა გავრცელებას იწვევს ის ფაქტი, რომ მსხვილი გარეული ცხოველები (მაგ., ყავისფერი დათვი, ევრაზიული ფოცხვერი, მგელი), წარმოადგენენ სახეობათა იმ კატეგორიას, რომლებსაც როგორც წესი, უჭირავთ დამოუკიდებელი არეალი და უფრო მეტიც, ფართოდება მათი გავრცელების არეალი. ამის პარალელურად, არსებობს რეგიონები, სადაც სახეობები გადაშენების ძლიერი საფრთხის წინაშე დგანან.

მთელი ეს პოპულაცია მრავალფეროვანი საფრთხეების წინაშე დგას. თუმცა, ასევე იზრდება იმის შეგნება, რომ დაბალი ცნობიერება და/ან მწირი ინსტიტუციური პოტენციალი წარმოადგენს ამ პოპულაციების წინაშე არსებული საფრთხეების საკვანძო საკითხებს. ურთიერთობის სახეები, რომელიც ჩამოყალიბებულია დიდი ზომის გარეული ცხოველისა და ადამიანებს შორის, იქ, სადაც ისინი იყოფენ საერთო სივრცეს, ასევე ძალიან მრავალფეროვანია. ზოგიერთ შემთხვევებში ურთიერთობა არის შედარებით მშვიდი და ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხები, როგორც წესი, დაკავშირებულია უმნიშვნელო ხასიათის ზარალთან. სხვა შემთხვევებში, ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხები არის ექსტრემალურად მძაფრი და მოიცავს სოციალური და პოლიტიკური საკითხების ფართოს სპექტრს. ურთიერთობის ამგვარი მრავალფეროვნების გამო, არ არსებობს რაიმე ერთი სახის გამოსავალი, რომელიც ყველა, ამგვარ მრავალფეროვან სიტუაციას მოერგება.

საუკეთესო მიდგომა, რომელმაც შესაძლოა უზრუნველყოს ურთიერთ სარგებელი ადამიანთა საზოგადოებისა და დიდი ზომის გარეული ცხოველების ერთობლივი არსებობის შედეგად, შესაძლებელია დაკავშირებული იყოს აჭარაში ეკოტურიზმის განვითარებასთან. აღნიშნული განსაკუთრებით აქტუალური შეიძლება იყოს აჭარის მთიან რეგიონებში. იმ ტურისტების რაოდენობა, რომლებიც ჩამოდიან საქართველოში მნიშვნელოვნად გაიზარდა 2005-დან (559,753) 2014 წლებში (5,515,559)¹⁵. ტურისტთა ამ რაოდენობიდან 431,678 ვიზიტორი ესტუმრა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას¹⁶. ტურისტების უდიდესი ნაწილი სტუმრობს აჭარის შავი ზღვის სანაპირო ზოლს, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში შეინიშნება ინტერესის მნიშვნელოვანი ზრდა აჭარის მთიანი რეგიონებისადმი. ვიზიტორების ნაწილი, ერთი ან რამდენიმე დღიანი ტურების განმავლობაში, სტუმრობენ ზემო აჭარის სოფლებს. ამგვარი ვიზიტების უმთავრესი მიზანია ადგილობრივი ლანდშაფტების და ბიომრავალფეროვნების

¹⁴ ქვეთავ 5.1-ზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულ იქნა ნორვეგიის ველური ბუნების შემსწავლელი ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიში ადგილობრივი მოსახლეობისა და გარეული ცხოველების კონფლიქტის შესახებ (Linnell, 2013)

¹⁵ <http://gnta.ge/statistics>

¹⁶ <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?pid=344&gid=7&ppid=334#.VbrQbs6ppSU>

დათვალიერება. ადგილობრივი, კარგად შემონახული კულტურული ძეგლებისა და ზემო აჭარის ეთნოგრაფიული ტრადიციების გაზიარება. მთიან მუნიციპალიტეტებში, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს მთიანი აჭარის მიმართ ტურისტული ინტერესის კიდევ უფრო ზრდასთან და მის კიდევ უფრო მიმზიდველ და საინტერესო ტურისტულ არეალად გადაქცევასთან. ამას ხელს უწყობს ადგილზე დაცული ტერიტორიების არსებობა. მაჭახელას ეროვნული პარკის დაარსება განაპირობებს და ხელს შეუწყობს ბიომრავალფეროვნების მოყვარული ტურისტების ინტერესის ზრდას. ეკო ტურიზმის განვითარება შესაძლებელია გადაიქცეს ადგილობრივი მოსახლეობისათვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ, მაგრამ საჭიროა მოსახლეობის ცოდნისა და ცნობიერების ზრდა ბუნებრივი რესურსების სწორი/მართებული და მდგრადი გამოყენების შესახებ. იმისათვის, რომ მიღწეული იქნას ეს მიზანი, მნიშვნელოვანია სახელმწიფო უწყებების მხრიდან აქტიური ძალისხმევის გამოვლენა - მ.შ. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტოს, ბიომრავალფეროვნების დაცვის დეპარტამენტის, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის, აჭარის გარემოსდაცვის სამმართველოს, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს; სამეცნიერო ინსტიტუტების - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მხრიდან. ასევე, მნიშვნელოვანი როლი ენიჭებათ ადგილობრივ, ეროვნულ და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებს. მათ შორის - ასოციაცია „ფაუნა და ფლორა“, შავი ზღვის ეკოაკადემია, NACRES, მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდი (WWF), ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი (IUCN), საერთაშორისო ორგანიზაცია ფაუნა & ფლორა; (FFI). აღნიშნული ჯგუფების წარმატებული კოოპერირების შემთხვევაში, მოსახლეობის დამოკიდებულება ველური ბუნებისა და გარეული ცხოველების მიმართ შესაძლებელია მნიშვნელოვნად შეიცვალოს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი შესაძლებელი გახდება ადეკვატური, სწორად დაგეგმილი და მართული ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და ადგილობრივი სოციო-ეკონომიკური განვითარების პროგრამების განხორციელება, ადგილობრივი მოსახლეობა შესაძლოა გადაიქცეს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების საქმეში უმთავრეს დაინტერესებულ მხარედ.

პროექტის გუნდის მიერ იქნა იდენტიფიცირებული ის ძირითადი დაინტერესებული მხარეები და პოტენციური პარტნიორები, რომლებსაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ და შეიძლება ჰქონდეთ ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის/მდგრადი მართვის მიმართულებით. აუცილებელია მათთან ინტენსიური მუშაობა, რათა შემუშავდეს რელევანტური თემატური პროგრამებისა და პროექტების განხორციელების გზით, მოსახლეობისა და გარეულ ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულების რეგულირების სწორი და ადეკვატური გზები. ამგვარი დაინტერესებული მხარეების ჩამონათვალი და მათი შესაძლო ინტერესის ზოგადი დახასიათება მოცემულია ქვემოთ:

ადგილობრივი მესაქონლეები. წარმოადგენენ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დაინტერესებულ მხარეს. განსაკუთრებით ის მცირე მეცხოველე ფერმერები, რომლებიც მიმართავენ საქონლის თავისუფალი ძოვების პრაქტიკას. ამის გარდა, გარეული ცხოველებისა და (დათვი) ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილეები არიან მეფუტკრეობის დარგში ჩაბმული ფერმერები. გარეული ცხოველის თვალსაზრისით, საქონლის ძოვებას, მისი სიხშირის ხარისხიდან გამომდინარე, შესაძლოა ქონდეს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ზეგავლენა მათ ჰაბიტატებზე.

მიწათმოქმედი ფერმერები. დათვები ხშირად ზიანს აყენებენ ხილის ბაღებს. ასევე, მოსალოდნელია მათი მხრიდან მარცვლეული კულტურების ნათესების დაზიანება.

მეტყვევები. იმის გამო, რომ მეტყვევები უშუალო ზეგავლენას ახდენენ დიდი ზომის გარეული ცხოველის პირველადი ჰაბიტატების სტრუქტურაზე, მათ შეუძლიათ შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი გარეული ცხოველების კონსერვაციის პროცესში.

მონადირეები. ნადირობა მრავალ ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული აქტივობაა. სამონადირეო სახეობების ყველაზე უფრო ფასეული წარმომადგენლები (მაგ., ჩლიქოსნები) წარმოადგენენ მსხვილი გარეული ცხოველების კვების ძირითად პროდუქტს.

მედია. არსებობს რამდენიმე კვლევა მედიის როლის შესახებ დიდი ზომის გარეული ცხოველების საკითხებთან დაკავშირებით. მედია, როგორც წესი, არის ძალიან მნიშვნელოვანი დაინტერესებული მხარე ყველა სახის პოლიტიკურ სფეროში. ერთის მხრივ, ის არის საზოგადოების ინფორმირების ძირითადი წყარო და მეორეს მხრივ, იგი ახდენს უზარმაზარ ზეგავლენას საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. მედია მრავალფეროვანია (ბეჭდვითი, ინტერნეტი, TV, რადიო) და მრავალ დონეზე / მასშტაბში არის წარმოდგენილი (ადგილობრივიდან ეროვნულამდე და ეროვნულიდან საერთაშორისომდე). მედიის ამგვარი მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად ართულებს მედიის შესაბამისი, რელევანტური წარმომადგენლების იდენტიფიცირებას სხვადასხვა დონეებზე.

აქტიური დასვენების მოყვარულები. მრავალი ადამიანი უპირატესობას ანიჭებს აქტიურ დასვენებას მთიან და ტყიან ჰაბიტატებში, სწორედ იქ, სადაც დიდი გარეული ცხოველების საბინადრო არეალია. აქტიური დასვენების სახეები მრავალფეროვანია და მოიცავს, როგორც ტრადიციულ სახეობებს - ლაშქრობა, თევზაობა, კენკროვნების და სოკოს შეგროვება, ასევე, ისეთ თანამედროვე აქტივობებს, როგორცაა - სამთო ველოსიპედებით მოგზაურობა და სამთო-სათხილამურო სპორტი. ამგვარმა აქტივობებმა შესაძლოა ზეგავლენა იქონიონ ზოგიერთ გარეულ ცხოველებზე, მათი შეწუხების თვალსაზრისით. თავის მხრივ, გარეული ცხოველების არსებობამ, შესაძლოა განაპირობოს გარკვეული შეზღუდვები რეკრეაციულ აქტივობებში, დიდი გარეული ცხოველების საკონსერვაციო თავისებურებების გამო. ამგვარი ჯგუფების არსებობა აჩენს დაინტერესებული მხარეების ფართო, თუმცა არასტრუქტურირებულ და ნაკლებად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც წარმოადგენენ ფართო საზოგადოებას.

გადაწყვეტილების მიმღებები. გადაწყვეტილების მიმღები მრავალი პოლიტიკური და ბიუროკრატიული ინსტიტუცია უეჭველად წარმოადგენს ერთ-ერთ უმთავრეს დაინტერესებულ მხარეს ბიომრავალფეროვნების შენარჩუნების ნებისმიერ კონტექსტში. არც ერთ სხვა დაინტერესებულ ჯგუფს არ აქვს ამდენი ფორმალური ძალაუფლება და ზეგავლენა კონკრეტულ საკითხზე. ნებისმიერი პროცესისათვის, იმისათვის, რომ მიღწეული იქნას გრძელვადიანი და სასურველი მდგრადი ცვლილება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ გადაწყვეტილებები მოწონებული და მათ მიღებაში ჩართული იყოს ოფიციალური ძალაუფლების მქონე ფორმალური ინსტიტუტების მიერ.

სოფლის მოსახლეობა. დიდი გარეული ცხოველების ფართო სპექტრის საცხოვრებელი გარემო მოიცავს არეალებს, სადაც ადამიანი ცხოვრობს, მუშაობს და მონაწილეობს რეკრეაციულ აქტივობებში. შესაბამისად, გარეული ცხოველების არსებობა უშუალო შეხებაში

მოდის მრავალ ისეთ ადამიანთან, რომელიც არ არის ჩართული რომელიმე ზემოთ ნახსენებ აქტივობებში. სოფლის მოსახლეობა ზოგადად, საკმაოდ მრავალფეროვანია. მოსახლეობას გააჩნია ურთიერთ განსხვავებული დამოკიდებულებები გარეული ცხოველების მიმართ, დაწყებული ძალიან პოზიტიურიდან, აბსოლუტურ შიშამდე. მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ ყველაზე მრავალრიცხოვანი დაინტერესებული მხარეების ჯგუფს, რომლებიც რაოდენობრივად სჭარბობენ ყველა სხვა ჯგუფებს (მსხვილ ფერმერებს, მონადირეებს, მეტყევეებს და ა.შ.). მოსახლეობის ამ ჯგუფის ჩართულობის უზრუნველყოფა ზოგადად, საკმაოდ რთულია, რადგან როგორც წესი არ არსებობს ადგილობრივი მოსახლეობის რაიმე სახის ორგანიზებული გაერთიანება. თუმცა, მათი ჩართვისთვის გაღებულმა ნებისმიერმა მნიშვნელოვანმა ძალისხმევამ, შესაძლოა თანამონაწილეობრივი პროცესისათვის უაღრესად დიდი სარგებელი მოიტანოს. ადგილობრივი არჩეული წარმომადგენლების მიერ გაჟღერებული, ან ადგილობრივი ინტერესთა ჯგუფების მიერ წამოჭრილი საკითხები, როგორც წესი, წარმოადგენენ იმ პრობლემებს, რომლებიც ყველაზე ხშირი დისკუსიის საგანია.

სამეცნიერო წრეები. სამეცნიერო წრეები ქმნიან მრავალმხრივ დაინტერესებულ მხარეებს. ისინი ფლობენ მნიშვნელოვან ცოდნას და გამოცდილებას, რომელსაც გააჩნია სასიცოცხლო მნიშვნელობა ნებისმიერი პროცესის წარმატებისათვის. აღნიშნული მოიცავს მრავალ, განსხვავებულ დარგთან დაკავშირებულ ცოდნას, მათ შორის ცოდნას ადამიანთა საზოგადოების შესახებ, კანონმდებლობა და პოლიტიკა (სოციალური მეცნიერებები), სახეობების ეკოლოგია და ა.შ. ნებისმიერი პროცესის წარმატებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სამეცნიერო ცოდნა ხელმისაწვდომი გახდეს პროცესის მონაწილეთათვის, რამაც უნდა უზრუნველყოს მიღებული გადაწყვეტილებების სამეცნიერო დასაბუთება.

სივრცითი დაგეგმარების სპეციალისტები და ინჟინრები. ამ ჯგუფის საქმიანობა მნიშვნელოვან, პირდაპირ ზეგავლენას ახდენს დიდი ზომის გარეული ცხოველების ჰაბიტატებზე, მათ მიერ დაგეგმილი ინფრასტრუქტურის მეშვეობით. კონსერვაციული მიზნებით განპირობებულ ნებისმიერ მოთხოვნას, რომელიც წაყენებულია მათთვის და რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული დიდი ზომის გარეული ცხოველების ინტერესების შესაბამისად (მაგ., გადამკვეთი სტრუქტურების, ე.წ. მწვანე გასასვლელების მშენებლობა, ან გზების მარშრუტების ცვლილება და ა.შ.), ექნება მნიშვნელოვანი ეკონომიკური და ტექნიკური ზეგავლენა ამ ჯგუფის წარმომადგენელთა საქმიანობაზე. ინფრასტრუქტურული პროექტების კუმულაციური ზეგავლენიდან გამომდინარე, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვანი ხდება მათი, როგორც დაინტერესებული მხარეების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ჯგუფის ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

ეკოტურიზმის ოპერატორები. ეკოტურიზმი, ბუნებაზე დაფუძნებული ტურიზმი და სასოფლო ტურიზმი, ტურიზმის სწრაფად მზარდი დარგებია. დიდი ზომის გარეული ცხოველების არსებობამ ამგვარი ტურიზმის არეალში, შესაძლებელია ითამაშოს მნიშვნელოვანი როლი მარკეტინგული ყურადღების თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ვიზიტორის მიერ რომელიმე გარეული ცხოველის ნახვის შანსი მინიმალურია, მხოლოდ იმის განცდამ, რომ გარეული ცხოველები იქ არსებობენ, შესაძლოა ითამაშოს პოზიტიური როლი ტურისტების პოზიტიური გამოცდილების თვალსაზრისით. იმის გამო, რომ მიმდინარე პოლიტიკა მიმართულია სასოფლო შემოსავლების დივერსიფიცირებისკენ, დიდი ალბათობით შესაძლებელია, რომ სამომავლოდ ეს სეგმენტი გახდეს ერთ-ერთი საკვანძო დაინტერესებულ მხარეთა ჯგუფი. მათი აქტივობები (უფრო მეტი ვიზიტორის მოყვანა

არეალში) შესაძლებელია ადგილობრივთა მხრიდან აღქმული იქნას, როგორც შესაძლო სარგებელი. ამან კი თავის მხრივ, შესაძლოა განაპირობოს ადგილობრივთა ცნობიერების ცვლილება დიდი ზომის გარეულ ცხოველებთან მიმართებაში. ამავდროულად, ადგილობრივების ამგვარი აქტივობა სხვა ჯგუფებისათვის შესაძლებელია ნიშნავდეს მათ „საკუთრებაზე“ თავდასხმას, ან იმის აუცილებლობას, რომ გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება „უცხოებს“. მაგალითად, ადგილობრივმა მონადირეებმა შეიძლება ჩათვალონ, რომ ტურისტები არღვევენ დამკვიდრებულ „თამაშის წესებს“. შესაბამისად, თუ ეკოტურიზმი არ არის სწორად მართული, ამან შესაძლოა პოტენციურად გამოიწვიოს გარკვეული ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხები. ასევე, შესაძლოა გაზარდოს დიდი ცხოველების შეწუხება და/ან გავლენა მოახდინოს მათი ქცევის თავისებურებაზე.

გარემოს დამცველები. არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ბიომრავალფეროვნების დაცვასთან და რომლებიც ჩართულნი არიან დიდ გარეულ ცხოველებთან დაკავშირებულ საკითხებში. ამგვარი არასამთავრობო ორგანიზაციები ლობირებენ თავიანთ მიზნებს, რომლებიც გულისხმობს დიდი ზომის გარეული ცხოველების შენარჩუნება / კონსერვაციას. მოტივაცია შესაძლებელია იყოს სხვადასხვა, მაგრამ როგორც წესი, ასახავს ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული ადგილობრივების ეთიკურ დამოკიდებულებას ერთის მხრივ, იმას, რომ ზოგადად, ცხოველები და მათი მრავალფეროვნება ამდიდრებს სამყაროს, და მეორეს მხრივ, რწმენა იმისა, რომ ცხოველებს ასევე გააჩნიათ არსებობის უფლება.

5.2 ველური გარემოს მიმართ საზოგადოების დამოკიდებულების და ცნობიერების კვლევის შედეგები


გამოკითხვა, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულების და ცოდნის შეფასება ველური ბუნების შესახებ, ჩატარდა პროექტის საწყის ეტაპზე შერჩეულ სოფლებში. ე.წ. „ცხელ წერტილებში“ (იხ. თავი 2).

ამ მიზნით, სამიზნე სოფლებში დარიგებული იქნა შესაბამისი კითხვარები. კითხვარები დამოუკიდებლად უნდა შეევსოთ რესპონდენტებს. სულ დარიგდა 1,000 კითხვარი, რომელთაგან შევსებული იქნა 391 (39%).

გამოკითხვის შედეგები მოცემულია ქვემოთ.

ინფორმაცია რესპონდენტების შესახებ


გამოკითხვაში აჭარის მასშტაბით მონაწილეობა მიიღო 391 ადამიანმა. მუნიციპალიტეტების მიხედვით, რესპონდენტები შემდეგნაირად არიან განაწილებულნი. იხ. დიაგრამა 3.



დიაგრამა 3: რესპონდენტების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით

როგორც დიაგრამიდან ჩანს, აქტიურობით გამოირჩეოდნენ ქედისა და შუახევის რესპონდენტები, რომელთა შევსებული კითხვარების წილიც 25%-25%-ზე მოდის. შედარებით ნაკლებად აქტიური იყო ხულოს მუნიციპალიტეტის რესპონდენტები, საიდანაც შევსებული კითხვარების მხოლოდ 14% მიიღო პროექტის გუნდმა.


რესპონდენტთა გენდერული სტრუქტურის შესახებ უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ შემოსული კითხვარების გარკვეულ ნაწილში არ იყო მითითებული რესპონდენტის სქესი. ამგვარი კითხვარების რაოდენობამ მთლიანად შეადგინა 83, რაც შევსებული კითხვარების 21%-ია. მუნიციპალიტეტების მიხედვით, თუ რამდენ კითხვარში არ იყო აღნიშნული რესპონდენტის სქესი ნაჩვენებია დიაგრამა 4-ზე.



დიაგრამა 4: კითხვარების რაოდენობა სქესის აღნიშვნის გარეშე მუნიციპალიტეტების მიხედვით

როგორც ვხედავთ, ყველაზე მეტად სქესი არ არის მითითებული ქობულეთის და შუახევის მუნიციპალიტეტებიდან მიღებულ კითხვარებში. ყველზე ნაკლები ამგვარი კითხვარი კი ხულოს მუნიციპალიტეტიდან შემოვიდა - 7%.


დარჩენილი რესპონდენტების გენდერული სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად გამოიყურება. იხ. დიაგრამა 5.



დიაგრამა 5: რესპონდენტების გენდერული სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით

როგორც დიაგრამიდან ჩანს, კითხვარები უფრო მეტად მამაკაცების მიერ იქნა შევსებული. აჭარის მასშტაბით ქალებისა და მამაკაცების მიერ შევსებული კითხვარების თანაფარდობა 40% 60%-ზეა. მუნიციპალიტეტების მიხედვითაც, ამ თვალსაზრისით გარკვეული სხვაობებია. ქედაში პრაქტიკულად ტოლია ქალი და მამაკაცი რესპონდენტების რაოდენობა. ხულოში მამაკაცების რაოდენობა მკვეთრად ჭარბობს ქალბატონებს (71% და 29% შესაბამისად). დანარჩენ მუნიციპალიტეტებში კი, პრაქტიკულად იდენტური სურათია და ქალბატონი რესპონდენტების რაოდენობა 40%-ის ფარგლებში მერყეობს.


რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა მოცემულია დიაგრამა 6-ზე.



დიაგრამა 6: რესპონდენტების ასაკობრივი სტრუქტურა

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტები, ძირითადად, 30-60 წლის ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან. აღსანიშნავია, რომ კითხვარების ნაწილში არ იყო მითითებული ასაკი. ამგვარი კითხვარების რაოდენობამ, მთლიანად აჭარაში, 20% შეადგინა. მუნიციპალიტეტების მიხედვით, ამ შემთხვევაშიც, ყველაზე მეტად შუაბეგსა და ქობულეთში შეესებულ კითხვარებში არ იყო ასაკი მითითებული (24% და 29% შესაბამისად). ყველაზე ნაკლები კი კვლავ ხულოს მუნიციპალიტეტში - 7%, ხელვაჩაურსა და ქედაში კი, 16% და 19% შესაბამისად.


რესპონდენტების განათლების სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით ნაჩვენებია დიაგრამა 7-ზე.



დიაგრამა 7: რესპონდენტების განათლების სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით

როგორც ვხედავთ, რესპონდენტების უდიდეს ნაწილს საშუალო განათლება აქვთ. ამ მხრივ, პრაქტიკულად არ არის სხვაობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც საკმაოდ დიდია იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომლებმაც არ მიუთითეს განათლების დონე. ამგვარი რესპონდენტების რაოდენობამ აჭარის მასშტაბით 29% შეადგინა.

საინტერესო იყო გარკვეულიყო, რესპონდენტთაგან რამდენი იყო ჩართული რაიმე სახით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. შესაბამისად, რესპონდენტებს ეთხოვათ ეპასუხათ, მიუხედავად მათი საქმიანობისა ფლობენ თუ არა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს, ან შინაურ ცხოველებს. რესპონდენტთა პასუხები მუნიციპალიტეტების მიხედვით ასახულია დიაგრამა 8-ზე.



დიაგრამა 8: რესპონდენტების მიერ სავარგულების და შინაური პირუტყვის ფლობა

როგორც ვხედავთ, ყველა მუნიციპალიტეტში იდენტური სურათია და რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა, მიუხედავად მათი საქმიანობის ტიპისა, ამა თუ იმ ფორმით ჩართულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში. არსებითად, აჭარის მუნიციპალიტეტების სასოფლო დასახლებების მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი მცირე ფერმერებს წარმოადგენენ, რომლებიც შესაძლოა, ასევე, დასაქმებულნი იყვნენ სხვა, ხელფასიან სამსახურებში (სკოლა, გამგეობა და ა.შ.).

რესპონდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას მცირე ფერმერული მეურნეობები აქვთ და ძირითადად, მისდევენ მეფრინველეობას და მესაქონლეობას. მეფუტკრეობით დაკავებულია შედარებით მცირე ნაწილი (8%). თითქმის ყველა რესპონდენტს გააჩნია მცირე ზომის მიწის ნაკვეთი - საკარმიდამო ნაკვეთების, სახნავებისა და ხეხილის ბაღების სახით. აქვე აღსანიშნავია, რომ მეურნეობის ტიპის მიხედვით, პრაქტიკულად, არავითარი სხვაობა არ არის მუნიციპალიტეტებს შორის.


რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ისინი მეურნეობას მხოლოდ საკუთარი მოხმარებისთვის აწარმოებენ და მათ მეურნეობას კომერციული ხასიათი არ აქვს.

თუმცა, ზოგიერთი სახის ნამატ პროდუქტს ისინი ბაზარზე ყიდიან ან ცვლიან მათთვის საჭირო პროდუქტზე (ყველი, სიმინდი, ლობიო და ა.შ.). ამ შემთხვევაშიც, პრაქტიკულად, არანაირი სხვაობა არ არის მუნიციპალიტეტების მიხედვით.

დამოკიდებულება და ცოდნა ველური გარემოს მიმართ

კითხვარის ამ ნაწილის მიზანი იყო შეფასებულიყო რესპონდენტთა დამოკიდებულება ველური გარემოს მსხვილი გარეული ცხოველების მიმართ. მოგვყავს აჭარაში გავრცელებული ველური ბუნების მსხვილი წარმომადგენლების მიმართ, რესპონდენტების გამოხატული დამოკიდებულება. რესპონდენტებს ეთხოვათ, შეეფასებინათ საკუთარი დამოკიდებულებები მსხვილი ცხოველების მიმართ შემდეგი კრიტერიუმებით: ძალიან ნეგატიური, ნეგატიური, ნეიტრალური, პოზიტიური და ძალიან პოზიტიური. აჭარის ველური გარემოს თითოეული მსხვილი წარმომადგენელი რესპონდენტთა მხრიდან შეფასდა აღნიშნული კრიტერიუმების გამოყენებით. აღსანიშნავია, რომ განსხვავებით კითხვარის სხვა სექციებისაგან აღნიშნული სექცია, ძალიან მცირე გამოჩენის გარდა, პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტის მიერ იქნა შევსებული.

დათვის შესახებ რესპონდენტთა დამოკიდებულებას მუნიციპალიტეტების მიხედვით ასახავს დიაგრამა 9.




დიაგრამა 9: რესპონდენტთა დამოკიდებულება დათვის მიმართ

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა შორის დამოკიდებულება დათვის მიმართ, ძირითადად, ძალიან ნეგატიურს და ნეიტრალურს შორის მერყეობს. ნეგატიურ დამოკიდებულებას (ძალიან ნეგატიური და ნეგატიური) ჯამში გამოხატავს მთლიან რესპონდენტთა თითქმის ნახევარი (47%). ნეიტრალურ დამოკიდებულებას კი, ჯამურად აღნიშნავს რესპონდენტთა 25%. პოზიტიურ დამოკიდებულებას, როგორც ძალიან პოზიტიურს, ისე პოზიტიურს, აღნიშნავს რესპონდენტთა მხოლოდ 25%. პრაქტიკულად, ძალიან მცირეა განსხვავებები მუნიციპალიტეტებს შორის. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ქობულეთსა და ქედაში საკმაოდ დიდია ნეიტრალურად განწყობილი რესპონდენტების რაოდენობა, თუმცა მათი რაოდენობა

ნაკლებია საერთო ჯამში ამა თუ იმ ხარისხით (ძალიან ნეგატიური, ნეგატიური) უარყოფითად განწყობილი რესპონდენტების რაოდენობაზე. შუახევში კი, პოზიტიური განწყობის საკამოდ მაღალი ხვედრითი წილია - 32%, რაც საერთო ჯამში, უარყოფითი დამოკიდებულების (ძალიან ნეგატიური და ნეგატიური) მქონე რესპონდენტების რაოდენობაზე (40%) ნაკლებია, თუმცა საკმაოდ მაღალია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით. ამ შემთხვევაში, პოზიტიური დამოკიდებულების ზრდა, ძირითადად, ნეიტრალური დამოკიდებულების რესპონდენტების შემცირების ხარჯზეა, რომელთა რაოდენობა შუახევში შესამჩნევად დაბალია, სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით - 12%. ნეგატიური დამოკიდებულების წილი კი, შუახევის მუნიციპალიტეტშიც სხვა მუნიციპალიტეტების იდენტურია. აღსანიშნავია, რომ პოზიტიური დამოკიდებულება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში არ არის დაკავშირებული რომელიმე გენდერულ, ასაკობრივ თუ სოციალურ ჯგუფთან. ან თუნდაც, მეურნეობის ტიპთან. პოზიტიური დამოკიდებულება თანაბრად არის წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის რესპონდენტების ყველა ტიპის ჯგუფში.

საინტერესო იქნება თუ დავაჯამებთ რესპონდენტების პასუხებს ნებისმიერი ხარისხით ნეგატიური (ძალიან ნეგატიური და ნეგატიური) და ნებისმიერი ხარისხით პოზიტიური (პოზიტიური და ძალიან პოზიტიური) პასუხების მიხედვით. ასეთ შემთხვევაში, დიაგრამა შემდეგ სახეს მიიღებს (დიაგრამა 10 ა).




დიაგრამა 10: რესპონდენტთა დამოკიდებულება დათვის მიმართ (ა)

როგორც ვხედავთ, ყველგან ჭარბობს ნეგატიური დამოკიდებულება. შუახევის მუნიციპალიტეტშიც კი, სადაც შედარებით მაღალია პოზიტიურად განწყობილი რესპონდენტების რიცხვი, საბოლოო ჯამში, ნეგატიურად განწყობილი რესპონდენტები პრევალირებენ.


საინტერესო იყო ცხოველთა სამყაროს მიმართ დამოკიდებულების გენდერული ასპექტები, იყო თუ არა სხვაობა ამ მხრივ. აღსანიშნავია, რომ დათვთან დამოკიდებულებაში, სხვაობები ქალი და მამაკაცი რესპონდენტების პასუხებში თითქმის იდენტურია, იმ განსხვავებით, რომ

ქალი რესპონდენტების პასუხებში ჭარბობს უფრო ნეიტრალური შეფასებები. იხ. დიაგრამა 11.



დიაგრამა 11: ქალ რესპონდენტთა დამოკიდებულება დათვის მიმართ

მგლის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულება მუნიციპალიტეტების მიხედვით წარმოდგენილია დიაგრამა 12-ზე.



დიაგრამა 12: რესპონდენტთა დამოკიდებულება მგლის მიმართ


იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ მგლის შემთხვევაში იზრდება იმ კითხვარების რაოდენობა, რომლებიც შევსებული არ არის (10% აჭარის მასშტაბით), განსხვავებით დათვის შემთხვევისგან, როდესაც რესპონდენტთა პრაქტიკულად 100% აღნიშნავდა საკუთარ დამოკიდებულებას.

აღსანიშნავია, რომ დათვთან დამოკიდებულების მსგავსად, ამ შემთხვევაშიც, პრაქტიკულად, იგივე რაოდენობის რესპონდენტები ამჟღავნებს უარყოფით და ნეიტრალურ დამოკიდებულებას. თუმცა, შემცირებულია პოზიტიური დამოკიდებულებების ხვედრითი წილი და ეს შემცირება, ძირითადად, იმ რესპონდენტების ხარჯზე მოხდა, რომლებმაც საერთოდ არ გასცეს აღნიშნულ კითხვას პასუხი.

პრაქტიკულად იდენტურია პასუხების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით. გამონაკლისი ამ შემთხვევაშიც ქედაა, სადაც ჭარბობს ნეიტრალური დამოკიდებულებები (34%), თუმცა ნეიტრალური დამოკიდებულების მქონე რესპონდენტები ჩამორჩებიან უარყოფითად განწყობილი რესპონდენტების საერთო რაოდენობას (ჯამში 50%). ასევე, დათვის მსგავსად, შუახევში მაღალია პოზიტიური განწყობის მქონე რესპონდენტთა რაოდენობა - 32%. თუმცა, ამ შემთხვევაშიც, მათი რაოდენობა ჩამოუვარდება უარყოფითი განწყობის მქონე რესპონდენტების რაოდენობას, რომელთა ხვედრითი წილი მუნიციპალიტეტში ჯამურად 53%-ს შეადგენს. ამ შემთხვევაშიც, პოზიტიური დამოკიდებულებების ზრდა დაკავშირებულია ნეიტრალურად განწყობილი რესპონდენტების რაოდენობის შემცირებასთან. ამ შემთხვევაშიც, პოზიტიური დამოკიდებულება არ არის რომელიმე კონკრეტულ ჯგუფთან დაკავშირებული. ამგვარი დამოკიდებულებები მუნიციპალიტეტში თანაბრად არის განაწილებული გენდერული, ასაკობრივი, სოციალური თუ ეკონომიკური ჯგუფების მიხედვით.


განსხვავებით დათვის შემთხვევისგან, ქობულეთის მუნიციპალიტეტში შემცირებულია ნეიტრალურად განწყობილი რესპონდენტების რიცხვი, რომელთა ხარჯზე გაზრდილია ძალიან ნეგატიურად განწყობილების ხვედრითი წილი (32%). აღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ ქობულეთში რესპონდენტთა აზრით, მეელი მნიშვნელოვან პრობლემას ქმნის.

დათვის შემთხვევის მსგავსად, თუ განვიხილავთ მხოლოდ ნეგატიურ (როგორც მკვეთრად ნეგატიურ, ისე უბრალოდ ნეგატიურ) და პოზიტიურ დამოკიდებულებებს, ვნახავთ, რომ ამ შემთხვევაშიც, ძირითადად, ჭარბობს უარყოფითი დამოკიდებულების მქონე რესპონდენტები. სხვადასხვა ხარისხის ნეგატიურ დამოკიდებულებას (ძალიან ნეგატიური, ნეგატიური) მგლის მიმართ, საერთო ჯამში, აჭარის მასშტაბით აღნიშნავს რესპონდენტთა ნახევარზე მეტი - 51%. ნეიტრალურ დამოკიდებულებას კი ამჟღავნებს 19%. პოზიტიურ დამოკიდებულებას კი (როგორც ძალიან პოზიტიურს, ისე პოზიტიურს) – 16%. იდენტური სიტუაციაა მუნიციპალიტეტების მიხედვით, სადაც უარყოფითად განწყობილი რესპონდენტების რიცხვი სჭარბობს პოზიტიურად და ნეიტრალურად განწყობილ რესპონდენტებს. იხ. დიაგრამა 13 ა.




დიაგრამა 13 : რესპონდენტთა დამოკიდებულება მგლის მიმართ (ა)

პრაქტიკულად არ არის მგლის მიმართ დამოკიდებულებაში რაიმე ტიპის გენდერული სხვაობა. ქალი რესპონდენტების პასუხების განაწილება, საერთო ჯამში, პრაქტიკულად, აბსოლუტური სიზუსტით იმეორებს ზოგად სურათს. საილუსტრაციოდ დიაგრამა 14-ზე მოყვანილია ქალი რესპონდენტების პასუხების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით.



დიაგრამა 14: ქალი რესპონდენტთა დამოკიდებულება მგლის მიმართ


ტურის მიმართ რესპონდენტების დამოკიდებულებას ასახვას დიაგრამა 15.



დიაგრამა 15: რესპონდენტთა დამოკიდებულება ტურის მიმართ


სხვა გარეული ცხოველების მსგავსად, ტურის მიმართ დამოკიდებულებაც, საერთო ჯამში, საკმაოდ უარყოფითია. ამ თუ იმ ხარისხით ნეგატიურ დამოკიდებულებას ტურების მიმართ ამჟღავნებს რესპონდენტთა 47%. ნეიტრალურ დამოკიდებულებას რესპონდენტთა 26%. პოზიტიურად განწყობილია ჯამში 18%. პასუხს არ იძლევა 8%. იდენტურია სიტუაცია ასევე მუნიციპალიტეტების მიხედვით. ყველაზე ჭარბობს მკვეთრად ნეგატიური და ნეგატიური დამოკიდებულებები. როგორც ვნახეთ, შუახევის მუნიციპალიტეტი შედარებით ტოლერანტულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა მგლისა და დათვის მიმართ, სადაც მცირე იყო ნეიტრალური დამოკიდებულება, რის ხარჯზეც მაღალი იყო იმ რესპონდენტთა რაოდენობა, რომლებიც პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებდნენ აღნიშნული ცხოველების მიმართ. ამის საპირისპიროდ, ტურის შემთხვევაში მნიშვნელოვნად არის მუნიციპალიტეტში გაზრდილი ნეიტრალური დამოკიდებულებები და შემცირებულია პოზიტიური განწყობა. ამ შემთხვევაშიც, პრაქტიკულად, არ არის სხვაობა პასუხებში გენდერული თვალსაზრისით.

რესპონდენტების განაწილება ტურის მიმართ ნეგატიური და პოზიტიური დამოკიდებულებების მიხედვით, დიფერენციაციის გარეშე (ძალიან ნეგატიური-ნეგატიური და ძალიან პოზიტიური-პოზიტიური) მოცემულია დიაგრამ 16 ა-ზე.



დიაგრამა 16: რესპონდენტთა დამოკიდებულება ტურის მიმართ (ა)


კითხვარში მოცემული სხვა ცხოველების - ფოცხვერის, მელას, ტახის მიმართ დამოკიდებულება, პრაქტიკულად, იდენტურია. მათ მიმართ რესპონდენტთა დამოკიდებულების ამსახველი დიაგრამები, პრაქტიკულად, ერთმანეთს იმეორებს უმნიშვნელო სხვაობით. შესაბამისად, ამ ცხოველების შესახებ რესპონდენტთა დამოკიდებულების საილუსტრაციოდ, მოგვყავს ერთგვარი გასაშუალოებული დიაგრამა, რომელიც ასახავს რესპონდენტების დამოკიდებულებას აღნიშნული ცხოველების მიმართ. იხ. დიაგრამა 17.



დიაგრამა 17: რესპონდენტთა დამოკიდებულება აჭარის ველური გარემოს სხვა ცხოველების მიმართ


როგორც ვხედავთ, ამ ცხოველების შემთხვევაში, კვლავ მაღალია უარყოფითი დამოკიდებულებების აღნიშვნა რესპონდენტთა მიერ. თუმცა, შეიმჩნევა

დამოკიდებულებების ერთგვარი შერბილება და ნეიტრალურად განწყობილი რესპონდენტების ხვედრითი წილის შედარებით ზრდა - ჯამში 30% აჭარის მასშტაბით. თუმცა, ნეიტრალურად განწყობილი რესპონდენტების ხვედრითი წილი ამ შემთხვევაშიც კვლავ ჩამორჩება ამა თუ იმ ხარისხით ნეგატიურად განწყობილ რესპონდენტთა რაოდენობას, რომელთა ჯამური ხვედრითი წილი აჭარის მასშტაბით 36%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ შუახვევის რესპონდენტებში კვლავ მაღალია პოზიტიური განწყობების წილი. აღსანიშნავია იმ რესპონდენტთა რაოდენობის რამდენადმე ზრდა, რომლებიც პასუხს არ იძლევიან ამ ცხოველებთან დაკავშირებით, რაც სავარაუდოდ, ამ ცხოველების მიმართ ინტერესის ნაკლებობით უნდა აიხსნას. ამის საპირისპიროდ, დათვისა და მგლის შემთხვევაში, იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც პასუხს არ იძლეოდნენ ამ კითხვაზე, ძალიან მცირე იყო. იმ შემთხვევაში თუ მხოლოდ ნეგატიური და პოზიტიური განწყობების რესპონდენტებს განვიხილავთ, ნეგატიური და პოზიტიური დამოკიდებულებების დიფერენციაციის გარეშე, დიაგრამა შემდეგ სახეს მიიღებს. იხ. დიაგრამა 18 ა.




დიაგრამა 18 : რესპონდენტთა დამოკიდებულება აჭარის ველური გარემოს სხვა ცხოველების მიმართ (ა)

რესპონდენტების ველური ბუნების მიმართ დამოკიდებულების დასადგენად მათ ეთხოვათ ეპასუხათ, რომელ ცხოველებს თვლიან მთლიანად საქართველოს და კონკრეტულად მათი ადგილობრივი არეალისთვის (აჭარისთვის) დამახასიათებელ გარეულ ცხოველებად. პასუხები ასახულია დიაგრამა 19 და დიაგრამა 20-ზე.



დიაგრამა 19: გარეული ცხოველები საქართველოში




დიაგრამა 20: გარეული ცხოველები ადგილობრივ არეალში (აჭარაში)

როგორც დიაგრამა აჩვენებს, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობის დამოკიდებულება ველური გარემოს მიმართ ცალსახაა და თვლის, რომ აღნიშნული ცხოველები წარმოდგენენ გარეულ ცხოველებს, როგორც მათი კონკრეტული არეალის, ისე მთლიანი საქართველოს მასშტაბით. მიზეზის დაკონკრეტებისას, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა პასუხობს, რომ ეს ცხოველები მტაცებლებია, რადგან თავს ესხმიან ადამიანს და მის მეურნეობას და ზიანს აყენებენ მას.


კითხვაზე, თუ ქვემოთ ჩამოთვლილი ცხოველებიდან რომელია ადამიანისთვის საშიში, რესპონდენტების პასუხები შემდეგნაირად განაწილდა. იხ. დიაგრამა 21. რესპონდენტები ყველაზე საშიშათო ცხოველებად მიიჩნევენ: დათვს, რესპონდენტების 81% მიიჩნევს როგორც საშიშს და ძალიან საშიშ ცხოველს. მგელს, რესპონდენტების 86% მიიჩნევს როგორც ძალიან

საშიშ და საშიშ ცხოველს. ფოცხვერს - 66% და ტურას 60%. შედარებით ნაკლები რესპონდენტი მიიჩნევს მელას და ტახს საშიშ ცხოველად (37% და 47% შესაბამისად). თუმცა ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ველური გარემოს წარმომადგენლები, რესპონდენტების მხრიდან ფასდება, როგორც უმეტესად ადამიანისთვის სახიფათო ცხოველები.



დიაგრამა 21: ადამიანისთვის საშიში ცხოველები


კვლევის მიზნებისთვის მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია მოსახლეობის აზრით, რომელი ცხოველების მხრიდან ილუპება უმეტესად შინაური პირუტყვი. რესპონდენტებს ეთხოვათ, გარეული ცხოველების ჩამონათვალის მიხედვით, თითოეულ გარეულ ცხოველებზე დაეფიქსირებინათ თავიანთი შეხედულება (იხ. დიაგრამა 22).



დიაგრამა 22: შინაური ცხოველების დალუბვის ძირითადი მიზეზი


იმას რომ შინაური ცხოველების უდიდესი ნაწილი დათვის და მგლის თავდასხმების შედეგად იღუპება, ეთანხმება რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა - 83% და 78% შესაბამისად. მაღალია ასევე იმ რესპონდენტების წილი, რომლებიც აღნიშნავენ ფოცხვერსა და ტურას. შედარებით ნაკლებად არის აღნიშნული მელა და ტახი. აღსანიშნავია, რომ ფოცხვერის, ტურის, მელისა და ტახის შემთხვევებში, საკამოდ დიდია იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომლებიც პასუხს არ იძლევიან, რაც სავარაუდოდ, უმთავრესად იმ მიზეზით უნდა იყოს განპირობებული, რომ რესპონდენტებმა არ იციან / ვერ აფასებენ რამდენად აქტიურია ამ ცხოველების თავდასხმები და რამდენად დიდია მათგან მიყენებული ზიანი. ძირითადი აქცენტი მათი მხრიდან მაინც დათვის და მგლის თავდასხმებზე და მათ შედეგად მოყენებულ ზარალზე კეთდება. ამის ფონზე კი ერთგვარად ყურადღების მიღმა რჩება სხვა ცხოველები. ამასთან, საფიქრებელია, რომ ხშირ შემთხვევებში სხვა გარეული ცხოველების მიერ მიყენებული ზიანი, უმეტესწილად, დათვისა და მგელს მიეწერება. რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ამ გარეული ცხოველების მიმართ მოსახლეობაში ცალსახად ჩამოყალიბებული უარყოფითი დამოკიდებულებაა. ასევე, მტკიცედ არის დამკვიდრებული შეხედულება, რომ ძირითადი ზიანი სწორედ მათგან მომდინარეობს.

იმისათვის, რომ გარკვეულიყო რესპონდენტების ცოდნა აჭარის ველური ბუნების წარმომადგენლების და მათი ქცევის შესახებ, კითხვარში ჩართული იქნა შესაბამისი კითხვები. მათ შორის, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, თუ აჭარის ველური ბუნების რომელი წარმომადგენლები იძინებენ ზამთრობით (იხ. დიაგრამა 23). რესპონდენტების 92% სწორად პასუხობს ამ კითხვას დათვთან მიმართებაში და აღნიშნავს, რომ დათვი ზამთრობით იძინებს. რესპონდენტების უმრავლესობა სხვა ცხოველებთან მიმართებაში, ასევე სწორად პასუხობს, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა სწორად ახასიათებს მათ ქცევას.




დიაგრამა 23: ეს ცხოველები იძინებენ ზამთარში?

ცხოველების ჯგუფურად ცხოვრების შესახებ, რესპოდენტთა უმეტესობა შედარებით უკეთ ფლობდა ინფორმაციას მგლებისა და დათვების მიმართებაში, ნაკლები ინფორმაცია ჰქონდათ ფოცხვერის და ტახის შესახებ, საშუალოდ ფლობდნენ ინფორმაციას ტურისა და მელის შესახებ (დიაგრამა 24). გამოკითხულთა 62%-მა იცოდა, რომ დათვი მარტო ცხოვრობს, 20%-მა დააფიქსირა, რომ დათვი ჯგუფურად ცხოვრობს. მგლების ჯგუფური ცხოვრების შესახებ ინფორმაციას ფლობდა 72%, რაც შეეხება ტურას, რესპოდენტთა 77% თვლის, რომ ტურები ჯგუფებად ცხოვრობენ, რაც სავარაუდოდ „გამოცდილებიდან“ მოდის, ვიდრე უფრო ცოდნით. ფოცხვერის შესახებ სწორი პასუხი რესპოდენტთა მხოლოდ 21% ჰქონდა.




დიაგრამა 24: ეს ცხოველები ჯგუფებად ცხოვრობენ?

რესპოდენტთა უმრავლესობა თვლის, რომ ცხოველების რიცხოვნობა აჭარაში მათთვის უცნობია, მხოლოდ ტურის შემთხვევაში, გამოკითხულთა 50% ამბობს, რომ რიცხოვნობა 100 ინდივიდზე მეტია, რაც რეალობას შეესაბამება (დიაგრამა 25). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გარეულ ცხოველებთან მიმართებაში, როცა მოსახლეობამ არ იცის რეალური რიცხოვნობა, ასეთ დროს, ცხოველთა არსებულ რაოდენობას თვლის „ბევრად“, ვიდრე „ნაკლებად“ და შესაბამისად, ადამიანი გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შემადგენელ ნაწილად „ბევრი“ გარეული ცხოველი ჩაითვლება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, პერიოდულად, გარეული ცხოველების აღრიცხვა და შედეგების მოსახლეობისათვის გაცნობა.



დიაგრამა 25: ამ ცხოველთაგან რამდენი ცხოვერობს აჭარაში?


კითხვაზე, რამდენი ნაშიერი ჰყავთ გარეულ ცხოველებს, ყოველწლიურად გამოკითხულთა დაახლოებით 30%-მა გასცა სწორი პასუხი. ყველაზე დიდი პროცენტი 45 % იყო დათვის ბელების რიცხოვნობასთან დაკავშირებით. ყველაზე მაღალი პასუხი „არ ვიცი“ იყო ფოცხვერთან მიმართებაში 53% (დიაგრამა 26).



დიაგრამა 26: რამდენი ნაშიერი ჰყავთ ამ ცხოველებს ყოველწლიურად?


კითხვაზე რა არის ამ ცხოველთა მთავარი საკვები აჭარაში? საინტერესო პასუხები დაფიქსირდა (დიაგრამა 27). დათვის შემთხვევაში, რესპოდენტების 66% და მგლის შემთხვევაში - 71% თვლის, რომ ცხვარი და მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია მთავარი საკვები. გარეული ღორის შემთხვევაში, სასოფლო სამეურნეო მოსავალი დაასახელა რესპოდენტების 41%-მა. რესპოდენტების 15% თვლის, რომ ტურა იკვებება ცხვრით და

მსხვილფეხა პირუტყვით. აღნიშნულმა კითხვამ თვალნათლივ დაგვანახა ინფორმაციის ნაკლებობა გარეული ცხოველების შესახებ, რაც თავისთავად, აყალიბებს უარყოფით დამოკიდებულებას გარეული ცხოველების მიმართ. ამიტომ ადამიანისა და გარეული ცხოველების კონფლიქტის შესარბილებლად, მოსახლეობის ინფორმირება ერთ-ერთი მთავარი კომპონენტია.



დიაგრამა 27: რა არის ამ ცხოველთა მთავარი საკვები აჭარაში?

კითხვარი მოიცავდა კითხვებს, რომლის მიზანი იყო გაგვეგო მოსახლეობის ცოდნა ველურ ბუნებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ. კითხვაზე, ლეგალურია თუ არა ჩამოთვლილ ცხოველებზე ნადირობა (დიაგრამა 28), რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ ჩამოთვლილ ცხოველებზე ნადირობას კრძალავს ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობა. აღსანიშნავია, რომ როგორც საუბრებში ირკვეოდა, ეს ცოდნა უფრო მყარია დათვთან და მგელთან მიმართებაში. რაც შეეხება დანარჩენ ცხოველებს, მოსახლეობა არ არის დარწმუნებული მათთან დაკავშირებით კანონმდებლობაში არსებული აკრძალვების შესახებ, თუმცა დათვისა და მგლის სიტუაციიდან გამომდინარე, როგორც წესი, მიიჩნევენ, რომ აღნიშნულ ცხოველებზე ნადირობაც აკრძალულია.



დიაგრამა 28: ნადირობის ლეგალურობა

კითხვაზე - გარეული ცხოველების დახოცილი და/ან დაზიანებული პირუტყვისა თუ მოსავლის პატრონს უხდიათ თუ არა რაიმე ტიპის კომპენსაციას, რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აცხადებს, რომ არ ხდება ამგვარი კონპენსაციების გადახდა. უნდა ითქვას, რომ რესპონდენტთა შორის ამ თვალსაზრისით სრული კონსენსუსი არსებობს და პასუხების პრაქტიკულად 100% ერთმანეთს ემთხვევა.

ცხოველების რაოდენობასთან და რაოდენობის დინამიკასთან მიმართებაში, ასევე სრული კონსენსუსია რესპონდენტთა შორის და დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ გარეული ცხოველები ზოგადად, აჭარაში, არის საკმაოდ ბევრი და უკანასკნელი წლების მანძილზე მათი რიცხოვნობა მნიშვნელოვნად გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა პასუხების შინაარსი და ხასიათი გარეულ ცხოველთა მიმართ დამოკიდებულებების და ცოდნის შესახებ, პრაქტიკულად, არ იცვლებოდა არც გენდერული და არც სხვა რაიმე ჯგუფის (ასაკობრივი, სოციალური, ეკონომიკური) მიხედვით. შესაბამისად, მოტანილი შედეგები წარმოდგენილია კრებითი სახით და ასახავს რესპონდენტების პასუხებს მთლიანად აჭარის მასშტაბით, რაიმე ჯგუფებში განაწილების გარეშე.

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ჩატარებული კვლევების შედეგებმა ცხადყო, რომ აჭარის მოსახლეობას უარყოფითი დამოკიდებულება აქვს გარეულ ცხოველთა მიმართ. თუმცა, არის გამონაკლისი არეალები, სადაც პოზიტიური და ნეიტრალური დამოკიდებულებები დომინირებს.

ინფორმაციის წყარო ველური ბუნების შესახებ

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი იყო გამოგვევლინა ის ძირითადი საინფორმაციო წყაროები, რომლითაც მოსახლეობა ძირითადად მარაგდება ინფორმაციით ველური ბუნების შესახებ. აღნიშნული, პროექტს სამომავლოდ დაეხმარება, რომ

იდენტიფიცირება გაუკეთოს ცნობიერების ასამაღლებელი აქტივობებისა და დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ადეკვატურ წყაროებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კითხვარში შევიდა კითხვა იმ წყაროების შესახებ, რომელიც გადამწყვეტ გავლენას ახდენს მოსახლეობის ცოდნის ფორმირებაზე ველური ბუნების შესახებ. შესაძლო ალტერნატიული პასუხები კითხვარში წინასწარ იყო მოცემული. კითხვარში ასევე, მითითებული იყო თავისუფალი გრაფა, სადაც რესპონდენტს შეეძლო აღენიშნა მისთვის მნიშვნელოვანი, კითხვარში მოცემული ჩამონათვალისგან განსხვავებული ინფორმაციის წყარო. თუმცა, რესპონდენტებს ამგვარი განსხვავებული წყარო არ აღუნიშნავთ. პასუხების ანალიზის შედეგად, აღმოჩნდა, რომ მოსახლეობისთვის ინფორმაციის უმთავრეს წყაროს წარმოადგენს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები (უმთავრესად, ტელევიზია). ასევე, მათი წარმოდგენების და შეხედულებების ფორმირებაში, მნიშვნელოვან როლს ასრულებს პირადი გამოცდილება და ადგილობრივი თემის სხვა წარმომადგენლების, მათ შორის, მონადირეების მონათხრობები.

ცალსახა იყო ასევე, ის რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა გამოხატავდა დაინტერესებას, მიეღოთ მეტი ინფორმაცია ველური ბუნების შესახებ.

6. გარეული ცხოველების თავდასხმები და დაკავშირებული პრობლემები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

6.1 გარეული ცხოველების მიერ ადამიანზე თავდასხმების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია სამთავრობო უწყებებიდან

კვლევის პროცესში, ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების შეფასებისათვის და ადამიანზე და შინაურ პირუტყვზე გარეული ცხოველების თავდასხმის ფაქტების შესწავლისათვის, თავდაპირველად, ინფორმაციის შესაგროვებლად, პროექტის გუნდმა წერილობით მიმართა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, ს.ს.ი.პ. სურსათის ეროვნულ სააგენტოს, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ს.ს.ი.პ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრს, ს.ს.ი.პ. დაცული ტერიტორიების სააგენტოსა და გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს (იხილეთ ოფიციალური მიმართვები სამთავრობო უწყებებისადმი დანართ 11-ში).

მოწოდებული ინფორმაციიდან:

- ნაწილობრივ სრული ინფორმაცია მოგვაწოდა დაცული ტერიტორიების სააგენტომ, ინფორმაცია მოიცავდა მტირალას ეროვნულ პარკში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2010-2015 წწ-ში გარეული ცხოველის თავდასხმის ფაქტებს (იხ. ცხრილი 9).
- სურსათის ეროვნულმა სააგენტომ მოგვაწოდა ინფორმაცია 5 შემთხვევის შესახებ (იხ. ცხრილი 8).
- დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 1980 წლიდან დღემდე აჭარაში გარეული ცხოველის თავდასხმისგან მიყენებული დაზიანების შედეგად, ადამიანის ცოფით დაავადების შემთხვევა არ დაფიქსირებულა. 2010 - 2015 წლებში აჭარის რეგიონში გარეული ცხოველების (ტურა) პათომასალაში ლაბორატორიულად დადასტურებულია ცოფის 2 შემთხვევა, კერძოდ: 2010 წელს შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. დაბაძველში და 2014 წელს ქ. ბათუმში, კვარიათის დასახლებაში.
- დანარჩენ შემთხვევებში (გარემოსდავის ზედამხედველობის დეპარტამენტი) ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

აღსანიშნავია, დაცული ტერიტორიებიდან მიღებული მონაცემები არ არის სრულყოფილი. მაგ. მონაცემებში მოცემულია, რომ 2011 წელს მტირალას ეროვნულ პარკში დაფიქსირდა შინაურ მსხვილფეხა პირუტყვზე (ძროხა) დათვის თავდასხმის 5 ფაქტი, მაგრამ არ არის აღნიშნული რა შედეგით დასრულდა ეს თავდასხმები (რამდენი ძროხა მოკვდა / დაზიანდა თავდასხმის შედეგად). ასევე, 2011 წელს მტირალას ეროვნული პარკის გარშემო, დაფიქსირებულია გარეული ცხოველების თავდასხმის 35 შემთხვევა. მონაცემებში მითითებულია, რომ თავდასხმები განხორციელდა დათვის და მგლების მიერ, მაგრამ მითითებული არ არის კონკრეტულად, ამ თავდასხმებიდან, რამდენი თავდასხმა განხორციელდა დათვის მიერ და რამდენი მგლის მიერ. აქვე, დაზიანებული ცხოველების, ფუტკრის და ფერმის მონაცემებში არ არის ინფორმაცია, რომელი გარეული ცხოველის

(დათვი, მგელი) მიერ რამდენი თავდასხმა განხორციელდა და რა იყო ამ თავდასხმების შედეგად გამოწვეული ზარალი.


6.2 გარეული ცხოველის მიერ ადამიანზე თავდასხმების შესახებ შეგროვებული ინფორმაცია ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისგან

ადგილობრივ დონეზე, საკვანძო დაინტერესებული მხარეების წინასწარი გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ არსებული სტატისტიკური მონაცემების მოძიება; თავდასხმების მონაწილე ძირითადი გარეული ცხოველის, თავდასხმების ხასიათის, სიხშირისა და ინტენსივობის წინასწარი კვლევა; ადგილობრივ დონეზე რისკების შემამცირებელი ღონისძიებების არსებობა და მათი ხასიათი; ასევე, გარეული ცხოველთა თავდასხმების თვალსაზრისით ე.წ. „ცხელი წერტილების“, ანუ იმ სოფლების იდენტიფიცირება, სადაც ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულებას განსაკუთრებით ინტენსიური და მწვავე ხასიათი აქვს.

კვლევის შედეგები მოცემულია წინამდებარე ქვეთავში.


გამოკითხულთა დემოგრაფიული მონაცემები

კვლევის საწყის ეტაპზე გამოკითხული იქნა 51 რესპონდენტი. რესპონდენტები, ძირითადად, წარმოადგენდნენ ადგილობრივ ხელისუფლებას და სატყეო სფეროს წარმომადგენლებს. რესპონდენტების სქესობრივი განაწილება ნაჩვენებია დიაგრამა 29-ზე. დიაგრამიდან ჩანს, რომ 88% იყო მამაკაცი, ხოლო 12% - ქალი.



დიაგრამა 29: ადგილობრივი დაინტერესებული მხარეების რესპონდენტთა სქესობრივი სტრუქტურა


გამოკითხული მოსახლეობის განაწილება ასაკობრივ ჯგუფში მოცემულია დიაგრამა 30-ზე.



დიაგრამა 30: რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა

როგორც დიაგრამაზე ჩანს, გამოკითხულთა უმრავლესობა 41-50 ასაკობრივ კატეგორიას განეკუთვნება. რაოდენობის მხრივ, შემდეგი ასაკობრივი კატეგორია 31-40 წელია. მესამე და მეოთხე კატეგორია 20-30 და 51-60 კატეგორიას შეადგენს.

გამოკითხული რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სატყეო სფეროს წარმოადგენს - 63%, ადგილობრივ თვითმმართველობას -10% და ადგილობრივ თემს -10%. გამოკითხულთა 6% აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას წარმომადგენს. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების (4%) და დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები (4%), ხოლო თითო-თითო რესპონდენტი სამეცნიერო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციას (UNDP) წარმომადგენენ. რესპონდენტების გეოგრაფიული განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 31-ზე.




დიაგრამა 31: რესპონდენტთა გეოგრაფიული განაწილება

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტები მეტ-ნაკლებად თანაბრად არიან განაწილებულნი მუნიციპალიტეტების მიხედვით. გამონაკლისია ხულოს მუნიციპალიტეტი,

რომელსაც რესპონდენტთა მხოლოდ 6% წარმოადგენდა. რესპონდენტთა 12% წარმოადგენს რეგიონულ სამსახურებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ინფორმაციას მეტ -ნაკლებად მთელი აჭარის რეგიონის შესახებ ფლობენ.

სტატისტიკა ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ

გამოკითხულთა უმრავლესობა - 51% საუბრობს იმაზე, რომ გარეული ცხოველის თავდასხმების შესახებ რაიმე ტიპის სტატისტიკა არ არსებობს. ამავდროულად, რესპონდენტების დიდი ნაწილი - 37% საერთოდ არ იძლევა ამ კითხვაზე პასუხს. გამოკითხულთა მხოლოდ 12% აღნიშნავს, რომ ამგვარი სტატისტიკა წარმოებს. აღსანიშნავია, რომ პასუხი „დიახ“ გაცემულია რესპუბლიკური მთავრობის (2 დიახ), ადგილობრივი თვითმმართველობის (3 დიახ) და დაცული ტერიტორიების წარმომადგენლის მიერ (2 დიახ). ხოლო სატყეო სფეროს არც ერთ წარმომადგენელს არ გაუცია დადებითი პასუხი აღნიშნულ კითხვაზე. ეს გვაფიქრებინებს, რომ სატყეო სფეროს წარმომადგენლები არ აწარმოებენ მსგავსს სტატისტიკას, განსხვავებით ადგილობრივი თვითმმართველობისა და დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციებისგან (იხ. დიაგრამა 32).



დიაგრამა 32: სტატისტიკის წარმოება გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ


აღნიშნულ მოსაზრებას ამყარებს დადებით პასუხთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებები. კერძოდ, ის რესპონდენტები, რომლებიც დადებითად პასუხობენ კითხვას სტატისტიკასთან დაკავშირებით, აღწერენ სტატისტიკის წარმოების მექანიზმებს. კერძოდ, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მოსახლეობიდან შემოდის შეტყობინება ამგვარი თავდასხმის შესახებ, რომლის შემდეგ ადგილზე გადის სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტი. თუ შინაური ცხოველის დაზიანება მოხდა გარეული ცხოველის მიერ, წესდება 10 დღიანი ზედამხედველობა, რომლის მიზანია ცოფის გამორიცხვა. ცოფის დაფიქსირების შემთხვევაში, ინფორმაცია იგზავნება სურსათის ეროვნულ სააგენტოში, ჯანდაცვის ეროვნულ ცენტრში და თვითმმართველობებში. ამის გარდა, ყოველი თვის ბოლოს იგზავნება ანგარიში, სადაც არის აღწერილი მოქალაქეების ზარების მიხედვით სააგენტოს თანამშრომლების ადგილზე გასვლების ინფორმაცია. ამის გარდა, ადგილობრივ თვითმმართველობებში განცხადებები მოსახლეობისგან შედის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნით.

რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ცალკე სტატისტიკას აწარმოებენ დაცული ტერიტორიების წარმომადგენლები. ამის შესახებ საუბრობს დაცული ტერიტორიის ორივე რესპონდენტი. მათი ინფორმაციით, ისინი ყოველწლიურად აწარმოებენ მოსახლების სოციოლოგიურ გამოკითხვას, რომელიც იგზავნება საქართველოს დაცული ტერიტორიების სააგენტოში, სადაც ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი. დაცული ტერიტორიების წარმომადგენლის ინფორმაციით, მოსახლეობა თვლის, რომ ტერიტორიების დაცულ ტერიტორიებად გამოცხადების გამო გამრავლდა გარეული ცხოველების რაოდენობა.

ძირითადი გარეული ცხოველები


წინასწარი გამოკითხვის ერთ ერთი მთავარი მიზანი იყო, გამოკვეთილიყო, რომელი გარეული ცხოველი განიხილება ადამიანზე, მის სამეურნეო საქმიანობაზე და შინაურ ცხოველზე თავდასხმის ძირითად საფრთხედ. ასევე, გამოკვეთილიყო ის „ცხელი წერტილები“, სადაც პროექტის ჯგუფი დამატებით კვლევებს ჩაატარებდა.

მიღებული შედეგების მიხედვით, გამოიკვეთა სულ ოთხი გარეული ცხოველი, რომლებიც რესპონდენტების აზრით, პრობლემას უქმნის ადგილობრივ მოსახლეობას. დათვი, მგელი, ტურა და მელა. ამ ცხოველების დასახლებების სიხშირე მოცემულია დიაგრამა 33-ზე. აღსანიშნავია, რომ თითოეულ რესპონდენტს საშუალება ჰქონდა დაესახელებინა ერთზე მეტი პასუხი. შესაბამისად, პასუხების ჯამური რაოდენობა 100%-ზე მეტია, დიაგრამა კი ასახავს თუ რამდენჯერ იქნა რესპონდენტების მიერ თითოეული ცხოველი დასახელებული.



დიაგრამა 33: ძირითადი გარეული ცხოველები და მათი დასახელების სიხშირე

როგორც ვხედავთ, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა (84%) ასახელებს დათვს, როგორც ამგვარი თავდასხმების ძირითად მონაწილეს. დასახელებების სიხშირით, მეორე ადგილზეა მგელი (57%) და მესამეზე ტურა (39%). რესპონდენტები ყველაზე იშვიათად ასახელებენ მელას. მელა, როგორც თავდამსხმელის დასახელების სიხშირემ, შეადგინა 25%, ანუ მხოლოდ რესპონდენტების მეოთხედი ასახელებს მელას, როგორც თავდამსხმელ გარეულ ცხოველს.




დიაგრამა 34: ძირითადი გარეული ცხოველები და მათი დასახელების სიხშირე მუნიციპალიტეტების მიხედვით

გარეული ცხოველების დასახელების გეოგრაფია, მუნიციპალიტეტების მიხედვით, შემდეგია - დათვი, როგორც თავდამსხმელი ცხოველი, პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში თანაბარი სიხშირით სახელდება, ასევე მგელი და ტურაც. გამონაკლისია ხულოს მუნიციპალიტეტი, სადაც მეტ-ნაკლებად დაბალია დასახელების სიხშირე, თუმცა გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ წინასწარ ეტაპზე, ხულოდან ყველაზე მცირე რაოდენობის რესპონდენტი იყო გამოკითხული (6%. იხ. დიაგრამა 34), რითაც რამდენადმე აიხსნება დასახელების ამგვარი სიმცირე. ასევე, გამონაკლისია მელა, როგორც გარეული ცხოველის თავდასხმის წყაროს დასახელება. მელა, როგორც გარეული ცხოველი, მხოლოდ ორ მუნიციპალიტეტში, ქედასა და შუახევიში დასახელდა.

თავდასხმების ხასიათი

რესპონდენტები თითოეული თავდამსხმელი ცხოველისათვის აღწერენ თავდასხმების ხასიათს. დიაგრამა 35 აღწერს მათი პასუხების შედეგებს.



დიაგრამა 35: ძირითადი გარეული ცხოველები და მიყენებული ზიანი

დიაგრამიდან ჩანს, რომ რესპონდენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დათვი ძირითად ზიანს აყენებს შინაურ პირუტყვს (დასახელების 62%) და კულტურულ ნათესებს - ყანებს, მარცვლოვნებს, ვენახებს (დასახელების 27%). დათვი ასევე, აზიანებს ფუტკარს. რესპონდენტების მიერ აღწერილი დათვის თავდასხმების 8% ეხება მათ მიერ ფუტკრის დაზიანებას. აღსანიშნავია, რომ ერთმა რესპონდენტმა დაასახელა დათვის ადამიანზე თავდასხმის შემთხვევა. დათვის თავდასხმების აღწერისას, ასევე მცირე შემთხვევებში, აღნიშნა შინაურ ფრინველზე მისი თავდასხმის ფაქტები (დასახელების 2%).


დიაგრამიდან ჩანს, რომ მგელი ძირითად ზიანს აყენებს შინაურ ცხოველს (დასახელების 88%). ასევე აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა მიერ აღნიშნა ადამიანზე მგლის თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა (3 შემთხვევა). რესპონდენტებმა მგელთან დაკავშირებით აღნიშნეს ასევე მის მიერ ნათესებისთვის მიყენებული ზიანი (დასახელების 3%).

ტურა ძირითად ზიანს აყენებს შინაურ ფრინველს (დასახელების 63%). თუმცა, ასევე აღნიშნა, რომ იგი ზიანს აყენებს, როგორც კულტურულ ნათესებს (დასახელების 25%), ისე შინაურ პირუტყვს (დასახელების 13%).

მელა, როგორც თავდამსხმელი, ძირითად ზიანს აყენებს შინაურ ფრინველს (დასახელების 100%). აღსანიშნავია, რომ მელა არ მონაწილეობს რესპონდენტების მიერ აღწერილ სხვა ტიპის ზიანში.

თავდასხმების სეზონურობა

გარეული ცხოველისა და ადამიანის ურთიერთდამოკიდებულების ბუნების გააზრების მიზნით, მნიშვნელოვანია დადგინდეს ის სეზონები, რომლებიც განსაკუთრებით აქტუალურია გარეულ ცხოველთა თავდასხმის თვალსაზრისით. შესაბამისად, წინასწარი კვლევისას, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა, თუ რომელ სეზონზე ხდება ძირითადად გარეულ ცხოველთა თავდასხმები. დიაგრამა 36 ასახავს რესპონდენტთა პასუხებს.



დიაგრამა 36: გარეულ ცხოველთა თავდასხმების სეზონურობა

როგორც დიაგრამიდან შეიძლება დავასკვნათ, გარეული ცხოველების თავდასხმების მხრივ, განსაკუთრებით აქტიურია შემოდგომის პერიოდი, ყველა ტიპის გარეული ცხოველის თავდასხმის შემთხვევაში. ხოლო შედარებით ნაკლებად აქტიური ზამთრის სეზონია. პრაქტიკულად, არ არის განსხვავება სხვადასხვა გარეული ცხოველის სეზონურ აქტივობებს შორის. გამოირჩევა ტურა და მელა, რომელთა თავდასხმები რესპონდენტთა მიხედვით მთელი წლის მანძილზე აქტუალურია (ყველა სეზონზე), თუმცა აქტიურდება გაზაფხულის თვეებში. აქტიურობა იწყება გაზაფხულზე, კიდევ უფრო იმატებს ზაფხულში და პიკს აღწევს შემოდგომაზე.

ასევე, პრაქტიკულად არ გასხვავდება სიტუაცია მუნიციპალიტეტების მიხედვით, თითქმის ყველგან, თავდასხმების სეზონურობა იდენტურია. რამდენადმე განსხვავებულია სიტუაცია ხულოს მუნიციპალიტეტში. ზოგადად, ხულოში თავდასხმების სეზონურობა იმეორებს ზოგად ტრენდს და გარეულ ცხოველთა აქტივობა აქაც, ძირითადად, ზაფხულის და შემოდგომის პერიოდს ემთხვევა. თუმცა, რამდენადმე განსხვავებულია ის ფაქტი, რომ ზამთარში და გაზაფხულის საწყის პერიოდში (როდესაც სხვაგან უკვე გააქტიურებულია გარეული ცხოველი) პრაქტიკულად არ ფიქსირდება თავდასხმები. ამის მიზეზი შეიძლება იყოს ის ფაქტი, რომ ხულოს მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ჰიფსომეტრიულად ყველაზე მაღლა მდებარე მუნიციპალიტეტს. შესაბამისად, ზამთრის ხანგრძლივობა აქ მეტია. როგორც ზოგადი ტენდენცია, დავინახეთ, ზამთარი ზოგადად, არააქტიურია ცხოველების თავდასხმის თვალსაზრისით. შესაბამისად, ამ განსხვავებულობას სწორედ ეს მიზეზი შეიძლება ქონდეს.

თავდასხმების სიხშირე

საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო დაგვეფიქსირებინა რესპონდენტთა ხედვა, თუ როგორ აფასებდნენ ისინი გარეული ცხოველების თავდასხმების სიხშირეს. ამგვარი სიხშირე, რამდენადმე, განსხვავებულია მუნიციპალიტეტების მიხედვით. ამასთან აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები იყენებენ რა განსხვავებულ დროით პერიოდებს, ძირითადად, მაინც საუბრობენ ტერმინებით - „იშვიათად“, „ხშირად“, „ერთეული შემთხვევები“ და ა.შ.

საბოლოოდ, მიღებული მონაცემების ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია მოვახდინოთ პასუხების შემდეგი რანჟირება - იშვიათად 5 შემთხვევამდე წელიწადში, საშუალო სიხშირის 5-დან 10 შემთხვევამდე და ხშირი - 10 შემთხვევა და მეტი. ამ რანჟირებით, მუნიციპალიტეტებიდან მიღებული პასუხები შემდეგნაირად განაწილდა, იხ. დიაგრამა 37.

	დათვი	მგელი	ტურა	მელა
ქობულეთი	საშუალო	საშუალო	საშუალო	
ხელვაჩაური	ხშირი	იშვიათი	ხშირი	
ქედა	ხშირი	ხშირი	ხშირი	ხშირი
შუახევი	ხშირი	ხშირი	საშუალო	იშვიათი
ხულო	საშუალო	ხშირი	იშვიათი	

დიაგრამა 37: გარეულ ცხოველთა თავდასხმების სიხშირე მუნიციპალიტეტების მიხედვით

უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული მუნიციპალიტეტების მიხედვით, რესპონდენტები საუბრობდნენ როგორც იშვიათი, ისე ხშირი და საშუალო თავდასხმების სიხშირის შესახებ. სხვაობები, ძირითადად, განპირობებული იყო კონკრეტული სოფლის მდებარეობით, რომელზეც საუბრობდნენ რესპონდენტები. აღნიშნული ინფორმაცია პროექტის გუნდის მიერ გამოყენებული იქნა კვლევის ძირითადი პროცესის დასაგეგმად (ე.წ. „ცხელი წერტილების“ იდენტიფიცირების მიზნით). თუმცა, საწყის ეტაპზე მიღებული შედეგები გამოყენებულ იქნა სიტუაციის ანალიზისათვის მუნიციპალურ ჭრილში.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დათვის თავდასხმები აღინიშნება როგორც „ხშირი“ ხელვაჩაურში, ქედასა და შუახევში. ქობულეთში და ხულოში დათვის თავდასხმების სიხშირე ფასდება როგორც „საშუალო“.


მგლის შემთხვევაში, ქედის, შუახევისა და ხულოს რესპონდენტები საუბრობენ „ხშირი“ თავდასხმების შესახებ. ხელვაჩაურის რესპონდენტები აღნიშნავენ „იშვიათ“ თავდასხმებს. ხოლო ქობულეთში - „იშვიათი“ და „საშუალო“ ინტენსივობის თავდასხმებს.

ტურა, როგორც ინტენსიური თავდასხმის მონაწილე, აღინიშნა ხელვაჩაურისა და ქედის შემთხვევებში, ქობულეთში და შუახევში, როგორც საშუალო ინტენსივობის თავდასხმები, ხოლო ხულოში - როგორც იშვიათი. რაც შეეხება მელას, ქედის მუნიციპალიტეტში რესპონდენტები საუბრობენ, რომ მისი თავდასხმების ინტენსივობა მაღალია. შუახევში ამგვარი ინტენსივობა ფასდება როგორც „იშვიათი“.

ცხრილიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ქედის მუნიციპალიტეტი განსაკუთრებით მოწყვლადია, ცხოველების თავდასხმის ინტენსივობის თვალსაზრისით. ასევე, შუახევი გამორჩეულია მგლისა და დათვის თავდასხმის ინტენსივობით.

თავდასხმების ზიანი

საწყის ეტაპზე, მნიშვნელოვანი იყო შეგვეფასებინა რესპონდენტების დამოკიდებულება თუ როგორ აფასებენ ისინი გარეული ცხოველების მიერ მიყენებულ ზიანს. ამისთვის, მათ ეთხოვათ, შეეფასებინათ ზიანი 1-5 შკალით, სადაც 5 ყველაზე მაღალი ზიანის ამსახველი მაჩვენებელია. შედეგები მოცემულია დიაგრამა 38-ზე.



დიაგრამა 38: გარეულ ცხოველთა თავდასხმების ზიანის შეფასება

დიაგრამაზე მოცემულია რესპონდენტების მიერ მოწოდებული შეფასებების საშუალო მნიშვნელობები, როგორც ცალკეული მუნიციპალიტეტების, ისე მთლიანად, აჭარის რეგიონისთვის. როგორც დიაგრამიდან ჩანს, ქობულეთის მუნიციპალიტეტის რესპონდენტები მიყენებულ ზარალს ყველა ტიპის გარეული ცხოველებისთვის დაახლოებით საშუალოდ აფასებენ (გამონაკლისია მელა). ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი გამოყოფს დათვის მიერ მიყენებულ ზარალს და რესპონდენტები ამ ზარალს 4 ქულამდე აფასებენ. ასევე, დიდად არის შეფასებული ტურისა და მელას მიერ მიყენებული ზიანი. მგელი ამ შემთხვევაში, ნაკლებად გამორჩეულია და მის მიერ მიყენებულ ზიანს შედარებით დაბალი შეფასება აქვს.

ქედის მუნიციპალიტეტში, ტურას ზარალი შეფასებულია, როგორც ძალიან მაღალი - 4 ქულაზე მეტი (4.33). მაშინ, როდესაც დანარჩენი ცხოველების მიერ მიყენებული ზიანი შედარებით ნაკლები ქულით ფასდება და საშუალო მაჩვენებლის სიახლოვეს მერყეობს.

პრაქტიკულად, იდენტურია შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების შეფასება, სადაც წამყვანი არის მგლისმიერ მიყენებული ზიანი და ეს ზიანი თითქმის 4 ქულით ფასდება. დათვისა და ტურას მიერ მიყენებული ზიანი შედარებით ნაკლებია და საშუალო მაჩვენებლის ფარგლებში მერყეობს. ამასთან, რამდენადმე მეტია შუახევი ტურების მიერ მიყენებული ზარალი, რომელიც საშუალოდ თითქმის 3 ქულამდე არის შეფასებული, ხოლო ხულოს მუნიციპალიტეტში, ეს ზარალი რესპონდენტების მიერ საშუალოდ, 2 ქულაზე ნაკლებად ფასდება.

რაც შეეხება ზოგად რეგიონულ ჭრილს, ამ მხრივ ყველაზე მეტად ტურას მიერ მიყენებული ზიანი ფასდება, რომელიც რესპონდენტების პასუხების გასაშუალოებული მნიშვნელობით 3.56 ქულას შეადგენს. მას მოსდევს დათვის მიერ მიყენებული ზიანი, რომელიც 3.39 ქულად ფასდება. შემდეგ მელა 3 ქულა და ბოლო ადგილზეა მგელი, რომლის მიერ მიყენებული ზიანის გასაშუალოებული მნიშვნელობა 2.52 ქულას შეადგენს.


რეაგირების დამკვიდრებული პრაქტიკა

მნიშვნელოვანი იყო რესპონდენტებისგან მიგველო ინფორმაცია იმ რეაგირების პრაქტიკების შესახებ, რომელიც დამკვიდრებულია რეგიონში გარეულ ცხოველთა თავდასხმებთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ რეგიონის მასშტაბით, რესპონდენტთა დიდმა ნაწილმა (43.14%) საერთოდ არ გასცა კითხვას პასუხი, 33.33% კი აღნიშნა ამგვარი პრაქტიკის არარსებობა. თუ დავუშვებთ იმას, რომ პასუხის არ ქონა არსებითად იმის ინდიკაციაა, რომ რესპონდენტისთვის უცნობია ამგვარი მექანიზმის არსებობა, გამოვა რომ რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ¾-ზე მეტი (76.47%) საუბრობს ამგვარი პრაქტიკის არარსებობაზე. დანარჩენი რესპონდენტები რამდენიმე რეაგირების პრაქტიკაზე საუბრობენ. კერძოდ:

- შესაბამისი უწყებების შეტყობინება (ადგილობრივი გარემოსდაცვის სამმართველო, მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელობა, პოლიცია, სურსათის უვნებლობის სამსახურები და ა.შ.). ამგვარ პრაქტიკაზე რეგიონის მასშტაბით გამოკითხულთა თითქმის მეათედი (9.80%) საუბრობს.
- რეაგირების თვალსაზრისით, რესპონდენტები საუბრობენ ასევე დაზიანებული ცხოველის კონტროლქვეშ აყვანის პრაქტიკაზე, რათა მოხდეს იმაში დარწმუნება, რომ არ არის ცოფის ან სხვა დაავადების გავრცელების საშიშროება. ამგვარ პრაქტიკაზე მხოლოდ ერთი რესპონდენტი საუბრობს. რაც გვაფიქრებინებს იმას, რომ რეალურად ეს პრაქტიკა ნაკლებად არის დამკვიდრებული.
- რესპონდენტთა ნაწილი საუბროს ნადირობისა და გარეული ცხოველების ბუნებიდან ამოღების პრაქტიკაზე. ასე მაგალითად, აღინიშნა, რომ მოქმედებს „უპატრონო და მაწანწალა ცხოველების“ მუნიციპალური პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სამონადირეო ვაზნების შესყიდვას პრევენციული ღონისძიების (გარეული ცხოველის დაფრთხობის) განხორციელებისათვის. ამ მიზნით, სოფლებში შექმნილია სპეციალური „სამონადირეო ჯგუფები“, რომლებიც ახდენენ შესაბამის რეაგირებას (აფრთხობენ). ასევე, აღინიშნა, რომ სოფელში მცხოვრებ მონადირეს (ოფიციალურად დარეგისტრირებულს) აქვს უფლება, მონაწილეობა მიიღოს გარეული ცხოველის განადგურების/ლიკვიდაციის პროცესში. ამ მხრივ, აღინიშნა, რომ ცხოველების ამოღება ე.წ. „გამოხშირვა“, ხდება მუნიციპალიტეტსა და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით. იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც ამგვარი პრაქტიკის შესახებ საუბრობს, ჯამურად, მთელი რეგიონის მასშტაბით გამოკითხულთა 7.84%-ს შეადგენს.
- ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩატარებული მარტივი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. რომელთაგან, აღსანიშნავია - ხმაური (ყვირილი, სტვენა), ცეცხლის დანთება, საფრთხობელას დამონტაჟება და ა.შ. ამგვარი რესპონდენტების რაოდენობა ასევე ძალიან მცირეა და რეგიონის მასშტაბით საერთო გამოკითხულების 3.92%-ს შეადგენს.

ზოგადად, ამ კითხვაზე რესპონდენტების პასუხების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 39-ზე.



დიაგრამა 39: რეაგირების დამკვიდრებული პრაქტიკები მუნიციპალურ ჭრილში

როგორც ვხედავთ, მუნიციპალიტეტების მიხედვითაც საკმაო სხვაობებია. ასე მაგალითად, ქობულეთში უმრავლესობა (62.5%) საუბრობს ამგვარი პრაქტიკის არარსებობაზე, ამასთანავე, აღნიშნავენ ნადირობასა და სათემო ლოკალურ ღონისძიებებს. შედარებით მცირე რაოდენობა 12.5% არ იძლევა პასუხს.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში აბსოლუტური უმრავლესობა არ იძლევა პასუხს, მხოლოდ თითო-თითო რესპოდენტი საუბრობს შესაბამისი უწყების შეტყობინებასა და სათემო აქტივობებზე. იდენტური სიტუაციაა ქედაში, სადაც ამჯერად, უკვე არც ერთი რესპოდენტი არ იძლევა ამ კითხვაზე პასუხს.

შუახევიში აბსოლუტური უმრავლესობა (83.33%) ამგვარი პრაქტიკის არარსებობაზე მიუთითებს. ორი რესპოდენტი კი, ნადირობის შესახებ საუბრობს.

ხულოში თანაბრად განაწილდა რესპოდენტები, რომლებიც ამბობენ, რომ არ არის ამგვარი პრაქტიკა, იგივე რაოდენობა არ იძლევა პასუხს. ხოლო კონკრეტული ღონისძიებებიდან მხოლოდ ნადირობა სახელდება.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების მიხედვით, ნადირობა უმრავლეს მათგანში დასახელდა ერთხელ მაინც. მაშინ, როცა სამთავრობო სტრუქტურებთან დაკავშირება მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში (ხელვაჩაური) აღინიშნა. დანარჩენი შეტყობინების პრაქტიკაზე, ძირითადად, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები საუბრობდნენ.

ასევე, მხოლოდ 2 მუნიციპალიტეტში აღინიშნა ადგილობრივი პრაქტიკის არსებობა (ხმაური, ცეცხლი, საფრთხობელა და ა.შ.).


რისკის შემცირების ღონისძიებები

კვლევის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო მიგველო ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც ტარდება იმისთვის, რომ შემცირდეს ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების რისკი გარეული ცხოველებისა და ადამიანს შორის.

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი, რეგიონის მასშტაბით 56% აღნიშნავს, რომ რისკის შემამცირებელი არანაირი ღონისძიება არ ტარდება. ასევე, რესპონდენტთა თითქმის მეათედზე მეტი - 13% საერთოდ არ იძლევა პასუხს ან ამბობს, რომ პასუხი არ იცის. შესაბამისად, მოსახლეობის 2/3 ზე მეტი არ არის ინფორმირებული არანაირი ღონისძიებების შესახებ ამ მიმართულებით. იმ პასუხებიდან, სადაც დაფიქსირდა გარკვეული აქტივობები აღსანიშნავია შემდეგი:

- შესაბამისი უწყებების შეტყობინებამუნიციპალურ დონეზე ამგვარი ღონისძიებების შესახებ საუბრობს ერთ-ერთი რესპონდენტი, რომელიც აღნიშნავს, რომ მუნიციპალიტეტები აწვდიან დეტალურ ინფორმაციას სპეციალურ სამსახურებს, რათა აღნიშნულმა სამსახურმა მიიღოს შესაბამისი ზომები რისკების შემცირებისათვის. თუმცა, რესპონდენტი არ აკონკრეტებს რა სამსახურებია ესენი და უფრო მეტიც, რა კონკრეტული რისკის შემამცირებელ ღონისძიებებს ახორციელებენ ეს სამსახურები.
- რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (11%), რომელიც საუბრობს გარკვეული რისკის შემამცირებელ ღონისძიებებზე, ასახელებს მწყემსობის პრაქტიკას. ამ რესპონდენტების გადმოცემით, ხდება მწყემსების სეზონური დაქირავება მოსახლეობის მიერ (ამასთან ხაზი იქნა გასმული, რომ როგორც წესი, ამ მწყემსებს არ აქვთ იარაღი), ან ხდება თავად მოსახლეობის მიერ საქონლის მორიგეობით მწყემსვა.
- რესპონდენტების თითქმის იდენტური რაოდენობა (9% და 7%) საუბრობს ნადირობაზე, როგორც რისკის შემამცირებელ ფაქტორზე და ასევე, მოსახლეობის მიერ დამოუკიდებლად, ადგილობრივ დონეზე გატარებული ღონისძიებების შესახებ. მაგალითად, როგორცაა: ცხოველთა და ფრინველთა სადგომების შემოღობვა და განთავსება ისეთ ადგილებში, სადაც ვერ მიწვდება გარეული ცხოველი. ასევე, საფრთხობელების დამზადება და ა.შ. რაც შეეხება ნადირობას, აღინიშნა, რომ მას აწარმოებს გარემოს დაცვის ზედამხედველობის სამსახურის სპეც. ჯგუფი. აღინიშნა ასევე, რომ ოფიციალურად დარეგისტრირებული მონადირეები იღებენ სპეციალურ ლიცენზიას ნადირის ამოღების შესახებ.
- აღსანიშნავია, რომ ერთმა რესპონდენტმა რისკის შემამცირებელ ღონისძიებებზე საუბრისას აღნიშნა ცნობიერების ამაღლების კამპანიები. კერძოდ, ხელისუფლება და გარემოს დაცვითი ორგანიზაციები ინტენსიურად მოუწოდებს მოსახლეობას, რომ არცერთი ცხოველი არა არის ადამიანისთვის საშიში და მათი არსებობა აუცილებელია გარემოში. ეს მიდგომა, რესპონდენტის აზრით, მნიშვნელოვანია რისკების შემცირების თვალსაზრისით.

ასევე, საინტერესო იყო ამ კითხვაზე პასუხების განაწილება მუნიციპალურ ჭრილში. შედეგები ასახულია დიაგრამა 40-ზე.




დიაგრამა 40: რისკის შემამცირებელი ღონისძიებები - მუნიციპალურ ჭრილში

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ ყველა მუნიციპალიტეტში პასუხების აბსოლუტური უმრავლესობა დაკავშირებულია რისკის შემამცირებელი ღონისძიებების არარსებობასთან. ქედის მუნიციპალიტეტში, საერთოდაც, ამ პასუხს იძლევა რესპოდენტების სრული უმრავლესობა (100%). ქობულეთში, ხელვაჩაურსა და ხულოში საკამოდ დიდი წილია იმ რესპოდენტებისა, რომლებიც ან არ იძლევიან პასუხს კითხვაზე, ან აცხადებენ რომ არ იციან პასუხი / არ სმენიათ მსგავსი ღონისძიებების შესახებ.

გარეული ცხოველის ღირებულება


კვლევის საწყის ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო შეფასებულიყო რესპოდენტების დამოკიდებულება ცხოველებისადმი. საინტერესო იყო გარკვეულიყო თუ რა მნიშვნელობას ანიჭებენ ისინი გარეული ცხოველების არსებობას. მათი აზრით, გააჩნია თუ არა მათ არსებობას რაიმე ღირებულება. პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა, იხ. დიაგრამა 41.



დიაგრამა 41: გარეული ცხოველების ღირებულება

აბსოლუტური უმრავლესობა (55.77%) რესპონდენტებისა აღნიშნავს, რომ გარეული ცხოველების მნიშვნელობა, ძირითადად, გამოიხატება მათ მიერ სანიტარული ფუნქციის შესრულებაში. ამასთან ხაზგასასმელია, რომ ამ ფუნქციაზე რესპონდენტების უმრავლესობა მგელთან დაკავშირებით საუბრობს (მგელი იკვებება ლეშითა და დაავადებული ცხოველებით, რაც ხელს უწყობს სნეულებების გავრცელების პრევენციას და სახეობების სიჯანსაღეს). რესპონდენტების საკმაოდ დიდი ნაწილი არ იძლევა პასუხს კითხვაზე ან აცხადებს, რომ მათ არ იციან ამ ღირებულების შესახებ. ამგვარი რესპონდენტების ხვედრითმა წილმა 34.62% შეადგინა, ანუ გამოკითხულთა მესამედზე მეტი. რესპონდენტთა მცირე ნაწილი (5.77%) საუბრობს ბიომრავალფეროვნებაზე, მის კონსერვაციულ ღირებულებებზე და გარეული ცხოველების, როგორც ბიომრავალფეროვნებისა და ეკოსისტემების შემადგენელი ნაწილის თავისთავად ღირებულებაზე. აღსანიშნავია, რომ ერთმა რესპონდენტმა განაცხადა, რომ გარეულ ცხოველებს არანაირი ღირებულება არ გააჩნია. ერთი რესპონდენტი კი საუბრობდა მათი, როგორც პოტენციური ტურისტული ინტერესის ობიექტის შესახებ. ამ შემთხვევაში, განსაკუთრებით ხაზგასმული იყო, კონკრეტულად, დათვის ფაქტორი. აღსანიშნავია, რომ დაფიქსირდა ერთი პასუხი, სადაც რესპონდენტი აღნიშნავდა, რომ ტურას არანაირი ღირებულება არ აქვს და საჭიროა მათი განადგურება.

დასკვნით ეტაპზე რესპონდენტებს ეთხოვათ, შეეფასებინათ ცხოველთა ღირებულება 5 ქულიანი შკალის მიხედვით (1 ყველაზე დაბალი, 5 უმაღლესი). მიღებული შედეგების საშუალო მნიშვნელობები ასახულია დიაგრამა 42-ზე.



დიაგრამა 42: გარეული ცხოველების ღირებულება 5 ქულიანი შკალით

დიაგრამიდან ნათლად ჩანს, რომ რესპონდენტები ყველაზე მაღალ ღირებულებას დათვს ანიჭებენ (3.32 ქულა). მგელი და ტურა დაახლოებით თანაბარი მნიშვნელობით ფასდება,

ტურას ოდნავი უპირატესობით (2.17 და 2.48 ქულა შესაბამისად). ყველაზე დაბალი ქულით შეფასებული იქნა მელას ღირებულება 1.71.

6.3 ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ ჩატარებული სავლე კვლევის შედეგების ანალიზი

ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის ანალიზისთვის, აჭარის შერჩეულ სოფლებში განხორციელდა კვლევის მეორე ეტაპი, ადგილობრივი ფერმერების გამოკითხვის სახით (იხ. თავი 2, კვლევის ეტაპები). ქვემოთ მოგვყავს დეტალური კვლევის შედეგების ანალიზი.

რესპონდენტთა დემოგრაფიული მონაცემები


გამოკითხვა ჩატარდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხუთივე მუნიციპალიტეტში. თითოეულ მუნიციპალიტეტში გამოკითხული იქნა 20 რესპონდენტი. რესპონდენტების ჯამურმა რაოდენობამ შეადგინა 100.

მუნიციპალიტეტების მიხედვით, სამიზნე სოფლების („ცხელი წერტილები“) ჩამონათვალი მოცემულია ცხრილ 3-ში.

ცხრილი 3: სამიზნე სოფლები

მუნიციპალიტეტი	N	სოფელი
ქობულეთი	1	ოჩხამური
	2	ჭახათი
ხელვაჩაური	3	თხილნარი
	4	კიბე
ქედა	5	პირველი მათისი
	6	გობრონეთი
შუახევი	7	ხაბელაშვილები
	8	მაწყვალთა
ხულო	9	ფაჩხა
	10	რიყეთი


ასაკის მიხედვით, გამოკითხულთა ძირითად კატეგორიას 30-60 წლის ასაკობრივი კატეგორია წარმოადგენს. გამოკითხული რესპონდენტების ასაკობრივ სტრუქტურას მუნიციპალიტეტებისა და მთლიანად, რეგიონის მიხედვით ასახავს დიაგრამა 43.



დიაგრამა 43: რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით

სქესობრივი სტრუქტურის მიხედვით, გამოკითხულთა 60% იყო მამაკაცი, შესაბამისად 40% ქალბატონი.

რესპონდენტების განაწილება განათლების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 44-ზე.



დიაგრამა 44: რესპონდენტების განაწილება განათლების დონის მიხედვით

დიაგრამიდან ცხადია, რომ გამოკითხულთა აბსოლუტურ უმრავლესობას საშუალო განათლების რესპონდენტები ქმნიან.


კვლევა მიზნად ისახავდა ადგილობრივი ფერმერების გამოკითხვას, რომლებიც ასე თუ ისე, შეხებაში იქნებოდნენ ველურ გარემოსთან და რომლებიც პოტენციურად, იმ მოწვევად ჯგუფს განეკუთვნებიან, რომელიც გარეული ცხოველების თავდასხმებს განიცდის. თუმცა,

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს ფერმერების დეფინიცია. სამიზნე სოფლების ყველა მცხოვრები შეიძლება განხილულ იყოს როგორც მცირე ფერმერი, მიუხედავად მათი დასაქმების ადგილისა. მიუხედავად იმისა, თუ სად არიან დასაქმებულნი ოჯახის წევრები, პრაქტიკულად, ყველა ოჯახი ფლობს მცირე, სხვადასხვა ტიპის მეურნეობას. მსხვილი ფერმერები კი, სამიზნე სოფლებში, პრაქტიკულად, არ არიან წარმოდგენილები. შესაბამისად, შეუძლებელია რესპონდენტების დაყოფა საქმიანობის მიხედვით, სხვადასხვა ფერმერულ ჯგუფებში, რადგან, როგორც წესი, მათი აბსოლუტური უმრავლესობა ფლობს გარკვეული რაოდენობის მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს და ასევე, პარალელურად ეწევა მიწათმოქმედებას. ხშირ შემთხვევაში, ამას თან ერთვის ერთი ან ორი სკა. პრაქტიკულად, რესპონდენტების აბსოლუტურ უმრავლესობას ამგვარი, სხვადასხვა ტიპის მცირე ფერმერული მეურნეობების წარმომადგენლები ქმნიან. ამგვარი მეურნეობების მქონე ოჯახების ერთი ან ორი წევრი, როგორც წესი, დამატებით რაიმე ტიპის ანაზღაურებად სამსახურებში არის დასაქმებული - სკოლა, ადგილობრივი ადმინისტრაცია და ა.შ.

მეურნეობა


რესპონდენტთა მეურნეობები

რესპონდენტთა უდიდესი ნაწილის მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთის ფართობი 0.25-დან 0.5 ჰა-მდე მერყეობს. იდენტური სიტუაციაა მთელი აჭარის მასშტაბით. რამდენადმე განსხვავებული სურათია შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში, სადაც რესპონდენტთა ნაწილის მფლობელობაში 0.5-ზე და 1 ჰა-ზე მეტი ფართობის მქონე ნაკვეთებია, მაშინ, როდესაც ამგვარი რესპონდენტები ქობულეთის, ხელვაჩაურისა და ქედის მუნიციპალიტეტებში, პრაქტიკულად, არ არიან. დეტალურად რესპონდენტების მფლობელობაში არსებული ნაკვეთების ზომის შესახებ იხ. დიაგრამა 45.



დიაგრამა 45: რესპონდენტების მფლობელობაში არსებული ფართობები მუნიციპალიტეტების მიხედვით.

მეურნეობის ტიპის მიხედვით, როგორც უკვე აღინიშნა, რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა სხვადასხვა ტიპის მცირე მეურნეობას მისდევს (ფერმერთა უმრავლესობა, რომლებიც ძირითადად, მხოლოდ მესაქონლეობით არიან დაკავებულნი, გამოკითხვების პერიოდში საზაფხულო სამოვრებზე იყო გასული). კვლევაში მონაწილე ოჯახების დიდ ნაწილს ჰყავს მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი. ამგვარი ფერმერების ხვედრითი წილი რესპონდენტთა შორის, მთლიანი აჭარის მასშტაბით 86%-ს შეადგენს. რაოდენობით შემდეგია ფერმერები, რომლებიც მცირე მეფრინველეობას მისდევენ. ამგვარი ფერმერების წილი რესპონდენტთა შორის, მთლიანი აჭარის მასშტაბით 37% შეადგენს. შედარებით მცირეა იმ ფერმერების რიცხვი, რომლებიც მეფუტკრეობას მისდევენ (11%). აღნიშნული, პრაქტიკულად, იდენტურია აჭარის ყველა მუნიციპალიტეტისათვის. ყველგან პირველ ადგილზე არის იმ ფერმერების რაოდენობა, რომლებსაც ჰყავთ მსხვილფეხა პირუტყვი, შემდეგ მოდის მეფრინველეობაში ჩართული ფერმერები. შედარებით მცირეა მეფუტკრეობის რაოდენობა. მინიმალურია იმ ფერმერების რაოდენობა, რომლებმაც ინტერვიუს დროს აღნიშნეს ცხვრის შეზღუდული რაოდენობით ფლობა. ამგვარი რესპონდენტები მხოლოდ შუახევის მუნიციპალიტეტში არიან წარმოდგენილნი. დეტალურად რესპონდენტთა ფერმების შემადგენლობის შესახებ, მუნიციპალურ ჭრილში იხ. დიაგრამა 46.




დიაგრამა 46: ფერმების ტიპი მუნიციპალურ ჭრილში

ამგვარი მცირე ტიპის მეურნეობებიდან მოსახლოება უმთავრესად აწარმოებს: მესაქონლეობიდან რძეს, რძის პროდუქტებსა და ხორცპროდუქტებს, თაფლს. მიწათმოქმედებიდან - ბოსტნეულ პროდუქტებს, მარცვლოვან კულტურებს (ძირითადად, სიმინდი), ყურძენსა და ღვინოს, ციტრუსს, ხილს. უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა თხილის წარმოება. სულ უფრო და უფრო მეტი ფერმერი აშენებს თხილის პლანტაციებს. ამგვარი ტენდენციაა რეგიონის, პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში, გამონაკლისის გარეშე. საუბრებში თხილის ამგვარი გავრცელება სახელდება ცხოველების თავდასხმის (განსაკუთრებით, დათვის) გახშირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზეზად.

შემოსავალი ტიპიური მეურნეობიდან ძალიან მცირეა და ძირითადად, დამოკიდებულია რომელიმე სახის პროდუქტის ჭარბი რაოდენობით გაყიდვაზე. არსებითად, გამოკითხული

ფერმერების უდიდესი უმრავლესობა არ აწარმოებს რაიმე კონკრეტული ტიპის პროდუქციას უშუალოდ ბაზარზე გატანის მიზნით. შესაბამისად, კითხვაზე თუ რა ტიპის მეურნეობას მისდევენ, რესპონდენტების აბსოლიტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მისდევს - მეურნეობას საკუთარი მოხმარებისთვის. მხოლოდ მცირე ნაწილი რესპონდენტებისა საუბრობს საკუთარი მეურნეობების კომერციულ ხასიათზე (13%). ამასთან, პრაქტიკულად, არ არის არანაირი სხვაობა პასუხების თვალსაზრისით მუნიციპალურ ჭრილში. დიაგრამა 47 ასახავს რესპონდენტების მიერ საკუთარი მეურნეობის ხასიათის (საკუთარი მოხმარებისთვის vs კომერციული) შეფასებას.



დიაგრამა 47: მეურნეობის ტიპი რესპონდენტების მიხედვით

აღნიშნული გარემოება განაპირობებს იმ ფაქტს, რომ რესპონდენტებს არ აქვთ ჩამოყალიბებული წარმოებული პროდუქციის რეალიზაციის რაიმე კონკრეტული მეთოდი. გაყიდვის მეთოდი დამოკიდებულია კონკრეტულ შემთხვევაზე და შეიძლება იყოს გადამყიდველი, ტურისტი, მეზობლები და ა.შ. რესპონდენტების უმრავლესობა, როგორც წესი, ყველა შესაძლო პასუხს აღნიშნავს, რადგან პრაქტიკულად, გაყიდვის ყველა შესაძლო ხერხს მიმართავენ. აღსანიშნავია, რომ საკმაოდ დიდი იყო იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომლებიც საერთოდ არ იძლევიან აღნიშნულ კითხვაზე პასუხს (33% აჭარის მასშტაბით). ეს გარემოება ასევე ამყარებს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ფერმერებს არ აქვთ შემუშავებული პროდუქციის რეალიზაციის რაიმე ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული მექანიზმი და შესაბამისად, უჭირთ კონკრეტული მეთოდის იდენტიფიცირება. როდესაც საუბარია პროდუქციის რეალიზაციის მეთოდის გაუმჯობესების შესაძლებლობაზე, რესპონდენტების აბსოლიტური უმრავლესობა საუბრობს, რომ მათთვის მოსახერხებელი იქნება თუ გაჩნდება წარმოებული პროდუქციის ადგილზე ჩაბარების უფრო მეტი შესაძლებლობა. ამავდროულად, საკმაოდ დიდია იმ რესპონდენტთა წილი, ვინც არ იცის თუ რა ღონისძიებები უნდა გატარდეს პროდუქციის რეალიზაციის გაუმჯობესებისათვის (~35% აჭარის მასშტაბით).

პროდუქციის დანაკარგები დაავადებების გამო

რესპონდენტების დიდი ნაწილი საუბრობს პირუტყვის და/ან სხვა პროდუქციის დანაკარგზე დაავადებების გამო. ამგვარი რესპონდენტების ხვედრითი წილი აჭარის მასშტაბით 35%-ს შეადგენს. ამასთან, პრაქტიკულად, არ შეიმჩნევა არანაირი სხვაობა მუნიციპალიტეტების მიხედვით. დაავადებაზე, როგორც პროდუქციის დანაკარგის გამომწვევ მიზეზზე, პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში რესპონდენტების თანაბარი რაოდენობა, 30-35% საუბრობს.

დაავადებების მიმართ საპრევენციო ღონისძიებებს რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ახორციელებს, პასუხების 88% აჭარის მასშტაბით. არსებითად არანაირი სხვაობა არ არის მუნიციპალურ ჭრილში. ყველა მუნიციპალიტეტში რესპონდენტები ერთნაირი სიხშირით საუბრობენ საპრევენციო ღონისძიებების შესახებ.

რაც შეეხება გატარებული ღონისძიებების ხასიათს, პრაქტიკულად, ყველა შემთხვევაში რესპონდენტები ასახელებენ აცრებს - მეცხოველეობის და მეფრინველეობის შემთხვევაში (მათ შორის აღინიშნა სახელმწიფო პროგრამით აცრები). ხოლო მიწათმოქმედების შემთხვევაში, დასახელებული იქნა სხვადასხვა პრეპარატების, მათ შორის შხამ ქიმიკატების გამოყენების პრაქტიკა.

პირუტყვის გამოკვების ადგილობრივი პრაქტიკა

ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების ბუნების გასაგებად მნიშვნელოვანი იყო გაგვეანალიზებინა პირუტყვის კვების ადგილობრივი, დამკვიდრებული პრაქტიკა. შესაბამისად, რესპონდენტებს ეთხოვათ, აღეწერათ კვების პრაქტიკა, როგორც შემოდგომა/ზამთრის, ისე გაზაფხული/ზაფხულის პერიოდებისათვის.

აღმოჩნდა, რომ პირუტყვის გამოკვების რეჟიმი, პრაქტიკულად, იდენტურია აჭარის მასშტაბით. როგორც წესი, შემოდგომა/ზამთრის პერიოდში პირუტყვი იმყოფება უშულოდ საცხოვრებლის მახლობლად განლაგებულ სათავსოებში და საკარმიდამო ნაკვეთებში. ამგვარი სათავსოები საცხოვრებლის უშუალო სიახლოვეს არის განლაგებული. დისტანცია საშუალოდ 30 მ-ის ფარგლებში მერყეობს. თვისობრივად, განსხვავებული სიტუაციაა გაზაფხული/ზაფხულის პერიოდში, როდესაც პირუტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მეცხოველე ფერმერებს საზაფხულო სამოვრებზე გაჰყავთ. ამგვარი სამოვრების დისტანცია სოფლებიდან საშუალოდ 5-10 კმ-ს ფარგლებში მერყეობს. აღსანიშნავია, რომ აჭარის მთიან ნაწილში დამკვიდრებულია სამოვრებზე პირუტყვის გაყვანის ორ ეტაპიანი პრაქტიკა. კერძოდ, ადრე გაზაფხულზე პირუტყვი გაჰყავთ სოფლებთან შედარებით ახლო მდებარე, ერთგვარ შუალედურ სამოვრებზე (ადგილობრივები მათ „ყიშლებს“ ეძახიან), რომლებიც შედარებით დაბალი ჰიფსომეტრიული მდებარეობით და შესაბამისად, რბილი კლიმატით გამოირჩევიან. ამის შემდეგ, გვიან გაზაფხულზე საქონელი გადადის მთიან სამოვრებზე („იაილები“), სადაც რჩება ზაფხულის ბოლომდე. როგორც წესი, ამგვარი სამოვრები („იაილები“) საზაფხულო დასახლებებს წარმოადგენენ სტაციონარული სახლებით. ის ფერმერები, რომლებიც ძირითადად, მესაქონლეობას მისდევენ, როგორც წესი, ოჯახებიანად გადადიან ზაფხულის სამოვრებზე. ამგვარი სეზონური მიგრაციული ხასიათის მესაქონლეობა საქართველოს სხვა რეგიონებშიც, განსაკუთრებით კი, აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთშიც ფართოდ არის გავრცელებული (თუშეთი, ხევსურეთი).

აღსანიშნავია, რომ ის ოჯახები, რომლებიც მცირე სხვადასხვა ტიპის ფერმერულ მეურნეობებს ფლობენ, არ მისდევენ მიგრაციული მესაქონლეობის პრაქტიკას, რადგან მათ, როგორც წესი, მცირე რაოდენობით პირუტყვი ჰყავთ (2-3). ასეთი ფერმერები მთელი წლის მანძილზე საქონლის გამოკვების, პრაქტიკულად, ერთნაირი ტიპის პრაქტიკას მისდევენ და არ ცვლიან მას სეზონურად. საქონელი, როგორც წესი, უშუალოდ სადგომებშია და დღის მანძილზე სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე, მათ შორის, მიმდებარე ტყეებში არის გაშვებული.


ხაზგასასმელია, რომ სოფლებში, პრაქტიკულად, არ იყენებენ მწყემსობის პრაქტიკას. პირუტყვი უბრალოდ არის გაშვებული სოფლების მიმდებარე ტერიტორიებზე, ხშირ შემთხვევაში მეთვალყურეობის გარეშე.

ზაფხულის სამოვრებზე გადასვლამდე, მცირე მეცხოველე ფერმერები მიმართავენ აცრების პრაქტიკას. რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა აღნიშნავდა ამგვარი პრაქტიკის არსებობას (80% აჭარის მასშტაბით).

ინფორმაცია ტურიზმის შესახებ

მოსახლეობის გამოკითხვა გულისხმობდა ადგილობრივი ტურისტული პოტენციალის შეფასებას. ამასთან, გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ გამოკითხვებისათვის შერჩეული იქნა ის სოფლები, სადაც განსაკუთრებით აქტუალურია ადამიანსა და გარეული ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულება, კითხვარმა მიზნად დაისახა გარკვეულიყო ადგილობრივი მოსახლეობის ხედვა ადგილზე ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ასევე, გარკვეულიყო, რამდენად განიხილავს მოსახლეობა ველურ გარემოს, როგორც პოტენციალს ეკოტურიზმის განვითარებისათვის.

უპირველესად, მოსახლეობას ეთხოვა შეეფასებინა, რამდენად არის გავრცელებული ტურიზმი მათ სოფლებში. პასუხების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 48-ზე.




დიაგრამა 48: არის თუ არა ტურიზმი გავრცელებული თქვენთან?

როგორც ვხედავთ, პრაქტიკულად ყველა სამიზნე სოფლის რესპონდენტი საუბრობს ტურიზმის საკმაოდ სუსტ გავრცელებაზე. გამონაკლის წარმოადგენს ქედის მუნიციპალიტეტი, თუმცა აღსანიშნავია, რომ ქედში ერთ-ერთი შერჩეული სოფელი გობრონეთია, რომელიც აჭარის მთიანეთის გამორჩეული ტურისტული ობიექტია. ამ სოფელში რამდენიმე საოჯახო სასტუმროც არსებობს და აჭარის მაღალმთიანეთში ჩასული ვიზიტორები, როგორც წესი, ამ სოფელსაც სტუმრობენ. ერთგვარად მოულოდნელი იყო ქობულეთის რესპონდენტების მიერ ტურიზმის განვითარების შედარებით დაბალი შეფასება, თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ მუნიციპალიტეტში შერჩეული სოფლები (ოჩხამური და ჭახათი) ამ ეტაპზე არ წარმოადგენენ ტურისტული ინტერესის ობიექტს, აღნიშნული შედეგი გასაგები ხდება.

ის რესპონდენტები, რომლებიც აღნიშნავენ ტურიზმის გავრცელებას, ასახელებენ გავრცელებული ტურიზმის სხვადასხვა ტიპებს. ამ მხრივ, ყველა მუნიციპალიტეტში, პრაქტიკულად, იდენტური სურათი გვაქვს. ძირითადად, სახელდება ეკო და აგრო ტურიზმი. გამონაკლისია ქედის მუნიციპალიტეტი, სადაც გავრცელებული ტურიზმის სახეობად რესპონდენტები, ძირითადად, ეკოტურიზმსა და კულტურულ ტურიზმს ასახელებენ.

განსაკუთრებით საინტერესო იყო რესპონდენტების პასუხები კითხვაზე, თუ რამდენად სურთ და რამდენად დაინტერესებულნი არიან ჩაერთონ ტურიზმთან დაკავშირებულ აქტივობებში. პასუხების განაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 49-ზე.



დიაგრამა 49: რესპონდენტთა ინტერესი ტურიზმის სფეროს მიმართ

როგორც დიაგრამიდან ჩანს, პასუხები თითქმის შუაზე გაიყო და რესპონდენტთა ნახევარმა გამოხატა სურვილი და ინტერესი ტურიზმის სფეროს მიმართ. მთლიანად აჭარის მასშტაბში პასუხები ზუსტად გაიყო. გამონაკლისია ქედის მუნიციპალიტეტი, სადაც რესპონდენტების დიდი უმრავლესობა დადებითად პასუხობს კითხვას და გამოხატავს სურვილს ტურიზმის სფეროში ჩართვასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ქედა ის მუნიციპალიტეტი, სადაც აღინიშნა ტურიზმის შედარებით დიდი გავრცელება. ამგვარი მაღალი ინტერესი ქედაში,

სავარაუდოდ, სწორედ ტურიზმის უკვე გარკვეულ დონეზე განვითარებასთან არის დაკავშირებული. ამასთან ის ფაქტი, რომ ქედის სამიზნე სოფლებში შედარებით მეტად არის ტურიზმი განვითარებული და აქაური რესპონდენტები ამ სფეროში ჩართვის ყველაზე მაღალ ინტერესს გამოთქვამენ, იძლევა იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ ადგილობრივთა გამოცდილება ტურიზმთან მიმართებაში დადებითია. ასევე, დიდია მოლოდინი ამ სფეროში ჩართვის შესაძლებლობიდან, რაც შესაძლოა, უკვე შექმნილ რეალობაზე, ცოდნასა და გამოცდილებაზეა დაყრდნობილი. როგორც აღმოჩნდა, სხვა მუნიციპალიტეტის სამიზნე სოფლები ამგვარ დადებით გამოცდილებას მოკლებულია, შესაბამისად, ნაკლებია სურვილი ამ სფეროში ჩართვასთან დაკავშირებით.

საინტერესოა, ასევე, იმის ანალიზი, თუ რა ფორმით და რა სახით სურს რესპონდენტებს ტურიზმის სფეროში ჩართვა. რესპონდენტების პასუხები, პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტის მასშტაბით იდენტურია და ძირითადად, საოჯახო სასტუმროების და ეკოტურიზმის განვითარებას გულისხმობს. ამ მხრივ, ამ შემთხვევაშიც განსხვავებულია ქედის სიტუაცია. ამასთან, ქედის რესპონდენტების პასუხები განსაკუთრებით საინტერესო იყო, როგორც ტურიზმის სფეროში გარკვეული, წარმატებული გამოცდილების მქონე რესპონდენტებისა. სხვა მუნიციპალიტეტების მსგავსად, აქაც ეკოტურიზმის განვითარებაზე საუბრობენ, თუმცა არის განსხვავებაც. კერძოდ, განსხვავებით სხვა მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისგან, ქედაში რესპონდენტები პასუხობენ, რომ მათ სურთ ადგილზე აგროტურიზმის განვითარება. შედარებით ნაკლებია საოჯახო სასტუმროების დასახელების სიხშირე. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ რესპონდენტების ნაწილს უკვე აქვთ საოჯახო სასტუმროები. ინტერესს იწვევს აგროტურიზმის სურვილის მაღალი ხარისხი. პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი აქ საუბრობს ტურიზმის ამ დარგის განვითარების საჭიროების შესახებ. ამგვარი მაღალი დასახელების სიხშირე და რესპონდენტთან არაფორმალური საუბრების შინაარსი საშუალებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ტურიზმის ამ დარგის განვითარების სურვილი, ძირითადად, უშუალოდ ტურისტების სურვილით და მოთხოვნით არის ნაკარნახევი. გასათვალისწინებელია, რომ ეს ის რესპონდენტები არიან, განსხვავებით სხვა მუნიციპალიტეტებისაგან, რომლებიც უშუალო შეხებაში არიან ტურისტებთან, აქვთ მათთან ურთიერთობის გამოცდილება და ცოდნა. შესაბამისად, სხვებზე უკეთ იცნობენ ტურისტების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. აქედან გამომდინარე, აღნიშნულის საფუძველზე ვასკვნი, რომ აგროტურიზმის განვითარებას რეგიონში საკმაოდ დიდი პოტენციალი აქვს და რეალურად, ამის მოთხოვნა ბაზარზე არსებობს.


ტურიზმის განვითარების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო გამოკვლეულიყო თუ რამდენად ხელს უშლის ან ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას გარეული ცხოველების არსებობა. როგორც აღმოჩნდა, სამიზნე სოფლებში შედარებით ნაკლებად არის განვითარებული ტურიზმი, თუმცა ამის მიზეზად გარეული ცხოველების არსებობა (გარეული ცხოველი, როგორც ტურიზმის ხელისშემშლელი ფაქტორი) არც ერთი რესპონდენტის მიერ არც ინტერვიუების დროს და არც პირად და არაფორმალურ საუბრებში, არ აღნიშნულა.

ცხოველების თავდასხმები და შედეგები

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო შეფასებულიყო მოსახლეობის აღქმა ველური ბუნებიდან მიყენებული ზიანის შესახებ. რამდენად დიდია ეს


ზიანი და რამდენად სერიოზულ პრობლემად აღიქვამს ამას მოსახლეობა. რომელია ველური გარემოს ის წარმომადგენლები, რომლებიც მოსახლეობის აზრით, ყველაზე მეტ ზიანს აყენებენ მათ. ამ მიზნით, კითხვარი მოიცავდა სპეციალურ სექციას, რომელიც რესპონდენტთაგან უშუალოდ ამ ინფორმაციის მიღებას ისახავდა მიზნად.

უპირველეს ყოვლისა, რესპონდენტებს დაესვათ კითხვა - წარმოადგენს თუ არა, ზოგადად, გარეული ცხოველები მათთვის დიდ პრობლემას. კითხვაზე მიღებულ პასუხებს მუნიციპალურ ჭრილში ასახავს დიაგრამა 50.



დიაგრამა 50: გარეული ცხოველები, როგორც პრობლემა (ა)

როგორც ვხედავთ, გარეული ცხოველების პრობლემა ერთნაირი სიმძაფრით დგას პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტის შერჩეული სოფლების მოსახლეობის წინაშე. რამდენადმე დიდია ეს მაჩვენებელი შუახევის მუნიციპალიტეტში (80%). მინიმალურია ხულოს მუნიციპალიტეტის რესპონდენტთა პასუხები, სადაც მხოლოდ 50% პროცენტი საუბრობს როგორც მნიშვნელოვან პრობლემაზე. თუმცა, ამავე დროს აღსანიშნავია, რომ დიდი ნაწილი საუბრობს გარეული ცხოველების შესახებ, როგორც ნაწილობრივ პრობლემაზე. რესპონდენტები პასუხის „ნაწილობრივ“ ქვეშ მოიაზრებდნენ შედარებით ნაკლები სიმძაფრის პრობლემას. თუმცა, პასუხი ნაწილობრივ მაინც გულისხმობდა თავისთავში პრობლემის არსებობას. თუ დავაჯამებთ იმ რესპონდენტების რაოდენობას, რომლებიც ასახელებენ გარეულ ცხოველებს, როგორც პრობლემას, მიუხედავად პრობლემის სიმძაფრისა, ასეთ შემთხვევაში, დიაგრამა შემდეგ სახეს მიიღებს. დიაგრამა 51.




დიაგრამა 51: გარეული ცხოველები, როგორც პრობლემა (ბ)

როგორც ვხედავთ, ასეთ შემთხვევაში გამოვა, რომ რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა გარეულ ცხოველებს, როგორც პრობლემას მათი მეურნეობისათვის ისე განიხილავს. ამასთან ცხოველების, როგორც პრობლემის შეფასებაში პრაქტიკულად არანაირი განსხვავება აღარ არის მუნიციპალიტეტების მიხედვით.

თავდასხმების სეზონურობის შესახებ, პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი აღნიშნავს ზაფხულს, როგორც ცხოველთა აქტიურობის და მათი თავდასხმების თვალსაზრისით მნიშვნელოვან პერიოდს. რესპონდენტები კითხვაზე - თუ რომელ თვეებშია ძირითადად გარეული ცხოველების მიერ გამოწვეული დანაკარგები, პრაქტიკულად ყველა მუნიციპალიტეტში ერთნაირად პასუხობენ და აღნიშნავენ, რომ ამგვარი დანაკარგები, უმთავრესად, მაისი-სექტემბერი/ოქტომბრის პერიოდში აქვთ, რაც პრაქტიკულად, ზუსტად იმეორებს კვლევის საწყის ეტაპზე (მონაცემების შეგროვება ადგილობრივი დონის დაინტერესებული მხარეებიდან) მიღებულ შედეგებს.


იმისათვის, რომ შეგვეფასებინა, რამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოსახლეობა ცხოველთა თავდასხმების შედეგად მიყენებულ ზიანს, რესპონდენტებს ეთხოვათ, შეეფასებინათ და შეედარებინათ დაავადებების და ცხოველების თავდასხმის შედეგად მიყენებული ზიანის მოცულობა. მიღებული შედეგები მუნიციპალიტეტების მიხედვით ამგვარად გამოიყურება (დიაგრამა 52).



დიაგრამა 52: სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული ზიანის შეფასება

როგორც დიაგრამიდან ჩანს, პრაქტიკულად ყველგან, ცხოველების თავდასხმები და მისგან მეურნეობაზე მიყენებული ზიანი, დაავადებებთან შედარებით ბევრად უფრო მნიშვნელოვან პრობლემად არის შეფასებული.

პრობლემის აქტუალობის შეფასების შემდგომ, რესპონდენტებს ეთხოვათ, დაესახელებინათ მათი აზრით ყველაზე მეტი პრობლემის შემქმნელი გარეული ცხოველები. რესპონდენტებს, როგორც წესი, საშუალება ქონდათ, დაესახელებინათ რამდენიმე გარეული ცხოველები. დიაგრამა 53 ასახავს რესპონდენტების პასუხებს მუნიციპალიტეტების მიხედვით.




დიაგრამა 53: ყველაზე პრობლემური გარეული ცხოველები

როგორც ვხედავთ, გარკვეული სხვაობებია მუნიციპალიტეტების მიხედვით ყველაზე მეტად პრობლემური გარეული ცხოველების განსაზღვრისას. ასე, მაგალითად, თუ ქობულეთისა და

ხელვაჩაურის შერჩეული სოფლების რესპონდენტები უფრო მეტად ტურას, როგორც პრობლემურ გარეულ ცხოველებს ასახელებენ, ქედაში, შუახევსა და ხულოში წინა პლანზე დათვის პრობლემა იწევს. თუმცა, ამ რესპონდენტებშიც ტურა, როგორც პრობლემური ცხოველი, აქტუალობას არ კარგავს. დიაგრამის მიხედვით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ტურა, პრაქტიკულად, მთლიანი აჭარის რეგიონისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას. მაშინ, როცა შედარებით დიდი გარეული ცხოველები - დათვი, მგელი, აჭარის უფრო მთიანი მუნიციპალიტეტების - ქედის, შუახევსა და ხულოს შერჩეული სოფლების რესპონდენტების მიერ სახელდება, როგორც მნიშვნელოვანი პრობლემა.

საინტერესო იყო, როგორ აფასებს მოსახლეობა პრობლემის დინამიკას. შესაბამისად, რესპონდენტებს ეთხოვათ, შეეფასებინათ, რამდენად გამძაფრდა გარეული ცხოველების თავდასხმების პრობლემა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე. დიაგრამა 54 ასახავს მოსახლეობის პასუხებს.



დიაგრამა 54: პრობლემის დინამიკა უკანასკნელი 5 წლის მანძილზე

როგორც ვხედავთ, მოსახლეობის დიდი უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პრობლემა გახდა უფრო მწვავე უკანასკნელ წლებში და ამ მხრივ, პრაქტიკულად, არანაირი სხვაობა არ შეიმჩნევა მუნიციპალიტეტების მიხედვით. მოსახლეობის შეფასებით, პრობლემის გამძაფრება გამოიწვია იმ ფაქტმა, რომ უკანასკნელ წლებში მკვეთრად გაიზარდა გარეული ცხოველების რაოდენობა, რაც მათი აზრით, რამდენიმე ფაქტორით არის განპირობებული. როდესაც რესპონდენტები საუბრობენ ამ ფაქტორების შესახებ, ძირითადად ასახელებენ:

- უკანასკნელ წლებში ნადირობის აკრძალვას და კონტროლის გამკაცრებას უკანონო ნადირობაზე;
- მკაცრ სანქციებს უკანონო ნადირობის შემთხვევაში;
- 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს, რომლის დროსაც დაიწვა ბორჯომის ტყეების გარკვეული ნაწილი. მოსახლეობის აზრით, ხანძარს გამორიდებულმა ცხოველებმა მეზობელი აჭარის ტყეებს შეაფარა თავი.

- უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა აჭარის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში. სულ უფრო და უფრო მეტი მცირე თუ საშუალო ფერმერი აშენებს თხილის პლანტაციებს. ამასთან, პლანტაციები, ძირითადად, გაშენებულია სოფლის განაპირა, ტყეების მომიჯნავე სავარგულებზე. მოსახლეობის აზრით, თხილის გაშენებამ განაპირობა გარეული ცხოველების, ძირითადად, დათვის მოზიდვა სოფლებში.
- გარეული ცხოველების თავდასხმების გახშირების მიზეზად ასევე სახელდება ტყეებში წაბლის ხმობის პრობლემა. რესპონდენტების აზრით, წაბლის გახმობამ შეამცირა ცხოველების (დათვის) საკვები ბაზა, რამაც განაპირობა მათი თავდასხმების გააქტიურება.

პრობლემის სიმძაფრის არაპირდაპირი შეფასების საშუალებას გვაძლევს კითხვა, რომელიც შეეხებოდა რესპოდენტის მიერ რომელიმე გარეული ცხოველის პირადად ნახვის ფაქტს. ამ მხრივ, აღმოჩნდა, რომ რესპონდენტების დიდ უმრავლესობას (78% აჭარის მასშტაბით) უშუალოდ ყავს ნანახი ტურა. ამასთან, ამ შემთხვევაში, პრაქტიკულად, არანაირი სხვაობა არ არის მუნიციპალიტეტების მიხედვით. ამ ფაქტით გარკვეულწილად შეიძლება აიხსნას კვლევის ის შედეგი, რომლის მიხედვითაც, ტურა დასახელდა, როგორც ყველაზე პრობლემური გარეული ცხოველები (იხ. დიაგრამ 44). ყველა მუნიციპალიტეტში სტაბილურად რესპოდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს ტურის პირადად ნახვის ფაქტს. ასევე, მაღალია იმ რესპოდენტთა ხვედრითი წილი, რომელთაც პირადად ყავთ დათვი ნანახი - 65% მთლიანად აჭარის მასშტაბით. ამ შემთხვევაში, სხვაობებია მუნიციპალიტეტების მიხედვით. ქობულეთსა და ხელვაჩაურში ამგვარი რესპოდენტების წილი შედარებით დაბალია. მაშინ, როცა ქედაში, შუახევსა და ხულოში ამგვარი რესპოდენტების ხვედრითი წილი 85%-ს აღწევს.


როდესაც საუბარია კონკრეტული ზარალის შესახებ, რომელიც მოსახლეობას ადგება გარეული ცხოველები ცხოველების თავდასხმების შედეგად, მოსახლეობა ძირითადად გამოყოფს ზარალის შემდეგ ტიპებს:

- შინაური, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაზიანება/დაკარგვა;
- შინაური ფრინველის დაკარგვა;
- ფუტკრის დაზიანება/დაკარგვა;
- სიმინდის ნათესების დაზიანება
- თხილის ნათესების დაზიანება

აღსანიშნავია, რომ რესპოდენტებს გაუჭირდათ კონკრეტული რიცხვების დასახელება და ზარალის კონკრეტული მოცულობების შეფასება. ამასთან, უნდა ითქვას, რომ პრაქტიკულად, არ წარმოებს არანაირი აღრიცხვა მსგავსი თავდასხმების და მისი შედეგების შესახებ. თუმცა, როგორც ადგილზე სხვადასხვა უწყებებთან შეხვედრებისას გაირკვა, ზოგიერთი უწყება, მათ შორის, ადგილობრივი გამგეობები, ფლობენ გარკვეულ, ძირითადად, ზეპირ ინფორმაციას ამგვარი თავდასხმების შესახებ. თავდასხმების შედეგების რაოდენობრივი შეფასებისას მნიშვნელოვანია, გათვალისწინებული იქნეს მიყენებული ზარალის ხასიათი. კერძოდ, თუ კი პირუტყვის და/ან ფუტკრის დაზიანება ან განადგურების შესახებ რაიმე სახის ინფორმაცია შეიძლება არსებობდეს, პრაქტიკულად, შეუძლებელია იმ ზარალის მოცულობის შეფასება, რომელიც ფერმერებს ადგებათ მარცვლეული ან თხილის კულტურების დაზიანების

თვალსაზრისით. ამ მხრივ, პრაქტიკულად, არ წარმოებს არანაირი ოფიციალური შეფასება და შეუძლებელია რაიმე სახის რაოდენობრივი ინფორმაციის მოპოვება.

იმ პირობებში, როდესაც ვერ ხერხდება მიყენებული ზიანის რაოდენობრივი შეფასება, რესპონდენტებს ეთხოვათ, განესაზღვრათ უკანასკნელი 1 წლის მანძილზე, ცხოველთა თავდასხმების შედეგად დამდგარი ზიანი რა მიმართებაშია ზოგადად, სხვა წლებში ცხოველების მიერ მიყენებული ზიანის მოცულობასთან. არის ეს ზიანი ჩვეულებრივი, ჩვეულებრივზე მაღალი თუ მასზე დაბალი. პასუხები მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 55-ზე.



დიაგრამა 55: ბოლო 1 წლის მანძილზე მეურნეობებისთვის მიყენებული ზიანის შეფასება

როგორც ვხედავთ, რესპონდენტების უმრავლესობა, აღნიშნავს ან საშუალო, ჩვეულებრივი ზიანის დონეს ან საუბრობს ზიანის მოცულობის მატებაზე. შუახევის მუნიციპალიტეტის რესპონდენტების დიდი უმრავლესობა (75%) საუბრობს ჩვეულებრივზე მაღალ ზიანზე ბოლო წლის მანძილზე. საგულისხმოა, რომ მთელი აჭარის მასშტაბით, არ დაფიქსირებულა რესპონდენტის არც ერთი პასუხი, რომელიც მიუთითებდა -ბოლო წლის მანძილზე ჩვეულებრივზე დაბალ ზიანზე. აღნიშვნის ღირსია ასევე ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დიდ ნაწილს (ჯამში რესპონდენტების 28%) უჭირს და/ან არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი.


საინტერესო იყო, გარკვეულიყო, როგორ აფასებენ რესპონდენტები გარეული ცხოველების მიერ მათი ფერმერული ბიუჯეტისთვის მიყენებულ ზიანს. არის ეს ძალიან დიდი, დიდი, საშუალო, პატარაზიანი თუ საერთოდ უმნიშვნელოა. პასუხების შედეგად, რესპონდენტების ნახევარი აღნიშნავს რომ ეს ზარალი მათთვის არის დიდი, ან ძალიან დიდი. მნიშვნელოვანი ნაწილი ამ ზარალს, როგორც მათთვის საშუალო ზარალს აფასებს (35%). პრაქტიკულად ნულოვანია იმ რესპონდენტების ხვედრითი წილი, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ეს ზარალი მათთვის მცირეა (სულ ერთი პასუხი). აღსანიშნავია, რომ რესპონდენტთა ნაწილმა ამ კითხვას არ უპასუხა (10%-ზე მეტი).

რეაგირება და პრევენციული ღონისძიებები

კითხვარის უკანასკნელი დასკვნითი ნაწილის მიზანი იყო, გამოგვეჩვენა ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების მონაწილე ყველა დაინტერესებულ მხარის მიერ (ადგილობრივი მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება, რეგიონული და ცენტრალური ხელისუფლების სხვადასხვა რელევანტური შტოების წარმომადგენლები) რეაგირების დამკვიდრებული პრაქტიკა. ასევე, გამოგვეჩვენა იმ პრევენციულ ღონისძიებათა ხასიათი, რომელიც ხორციელდება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობის, ისე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან თავდასხმების რისკების შემცირებისა და ზარალის შერბილების/თავიდან აცილების მიზნით.

აღნიშნული თვალსაზრისით, უპირველესად, საჭირო იყო გაგვეჩვენა, მოსახლეობის აზრით როგორ ხდება, ან ხდება თუ არა საერთოდ ინფორმაციის აკუმულირება გარეული ცხოველების თავდასხმის შესახებ. წარმოებს თუ არა რაიმე სახის სტატისტიკა, როგორ და რა ფორმით ხდება მონაცემების შეგროვება ამგვარი სტატისტიკისათვის და რა როლი აქვს ადგილობრივ მოსახლეობას ამ პროცესში.

შესაბამისად, ინტერვიუს ამ ნაწილის პირველი კითხვა შეეხებოდა იმის გარკვევას, აწვდიან თუ არა რესპონდენტების ინფორმაციას გარეულ ცხოველთა თავდასხმის შესახებ ადგილობრივ ხელისუფლებას. პასუხები ამ კითხვაზე მუნიციპალიტეტების მიხედვით მოცემულია დიაგრამა 56-ზე.



დიაგრამა 56: ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის

როგორც ვხედავთ, რესპონდენტთა პასუხები მნიშვნელოვნად განსხვავდება მუნიციპალიტეტების მიხედვით. ასე მაგალითად, ქობულეთის მუნიციპალიტეტში რესპონდენტთა დიდი უმრავლესობა (80%) საუბრობს, რომ არ ხდება ინფორმაციის მიწოდება. ასევე, ქედის მუნიციპალიტეტის რესპონდენტთა დიდი ნაწილი (65%) აცხადებს იგივეს. თითქმის თანაბარია ხულოში იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებიც აცხადებენ ერთის მხრივ, რომ არ ხდება ამგვარი ინფორმაციის მიწოდება (50%) და მეორეს მხრივ, რომლებიც აცხადებენ, რომ ამგვარი ინფორმაციის შეტყობინა მიმდინარეობს (45%).

აღნიშნულის საპირისპირო სურათია ხელვაჩაურსა და შუახევში, სადაც რესპონდენტთა უმრავლესობა საუბრობს ამგვარი ინფორმაციის შეტყობინებაზე ადგილობრივი ხელისუფლებისათვის (50% ორივე მუნიციპალიტეტში). თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუნიციპალიტეტშიც საკმაოდ დიდია მათი რიცხვი, ვინც არ საუბრობს ინფორმაციის შეტყობინების შესახებ (40% და 35% შესაბამისად).

იმ რესპონდენტებს, რომლებიც დადებითად პასუხობდნენ ხელისუფლების შეტყობინების შესახებ, ეთხოვათ, აღეწერათ ეს პროცესი. აღმოჩნდა, რომ უმთავრესად, საუბარია ზეპირ - სიტყვიერ ან სატელეფონო შეტყობინებებზე. მოსახლეობა, როგორც წესი, ატყობინებს საკუთარი სოფლის რწმუნებულს, რომელსაც ეს ინფორმაცია მიაქვს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში, ხულოში, აღინიშნა წერილობითი შეტყობინების შესახებ. აღსანიშნავია, რომ უმთავრესი მიზეზი რასაც აღნიშნავენ რესპონდენტები იმის ასახსნელად თუ რატომ არ ხდება შეტყობინება, არის ის, რომ პრაქტიკულად, არ არის არანაირი იმედი, ან მოლოდინი იმისა, რომ იქნება რაიმე სახის რეაგირება. რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი საერთოდ ვერ ხედავენ აზრს შეტყობინებაში.

კითხვაზე თუ შეტყობინების შემდეგ რა სახის რეაგირება ხდება ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, რესპოდენტთა აბსოლუტურ უმრავლესობას ან არ აქვს ამ კითხვაზე პასუხი, ან აღნიშნავს, რომ პრაქტიკულად, არ ხდება არანაირი რეაგირება. ყველაზე გავრცელებული პასუხები აჭარის მასშტაბით ამ შეთხვევაში შემდეგია - „არ რეაგირებენ“, „არ ახდენენ არანაირ რეაგირებას“, „არასოდეს, არანაირი რეაგირება არ მოუხდენიათ“ და ა.შ. რამდენადმე განსხვავებული სიტუაციაა ხულოს მუნიციპალიტეტში, სადაც ზოგიერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ ხდება ტყვიების დარიგება მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის მხრიდან, რომელსაც ადგილობრივები იყენებენ გარეული ცხოველების შესაშინებლად (სროლის ხმა. მოკვლა აკრძალულია). ასევე ხულოში აღინიშნა მონადირეების ჯგუფების არსებობა, რომლებიც ნებართვის შემთხვევაში ახორციელებენ ცხოველის მოკვლას (2 რესპონდენტი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რესპოდენტები ვერ აფასებენ ადგილობრივი ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტურობას.

ამის შემდეგ, რესპონდენტებს ეთხოვათ, ესაუბრათ იმ ღონისძიებების შესახებ, რომელიც მათი აზრით, უნდა გატარდეს ხელისუფლების მხრიდან, რომ შემცირდეს გარეულ ცხოველთა თავდასხმები და ამ თავდასხმების შედეგად, მოსახლეობისათვის მიყენებული ზიანი. აღსანიშნავია, რომ პასუხები, პრაქტიკულად, იდენტურია ყველა მუნიციპალიტეტში და ამ მხრივ, არ არსებობს რაიმე განსხვავებები. რესპონდენტთა პასუხები შეიძლება დაჯგუფდეს რამდენიმე ძირითად საკითხად:


- მონადირეთა ჯგუფების შექმნას- რესპოდენტთა უმრავლესობის აზრით, ამგვარი ჯგუფების მიზანი უნდა იყოს პატრულირება წლის განსაკუთრებით სახიფათო პერიოდებში და გარეული ცხოველების დაფრთხობა. საჭიროების შემთხვევაში კი, ჯგუფებმა უნდა განახორციელონ გარეული ცხოველების ლიკვიდაცია. ზოგიერთი რესპონდენტი აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფებს უნდა ჰქონდეთ წინასწარი ნებართვა გარეული ცხოველების მოკვლაზე და საჭიროების შემთხვევაში, ამგვარი გადაწყვეტილება თვითონ უნდა მიიღონ. ზოგიერთი რესპონდენტის აზრით კი,

უშუალოდ მოსახლეობას უნდა მიეცეს გარეული ცხოველების განადგურების ნებართვა.

- სადაზღვევო სისტემის ამუშავება- რესპონდენტები ასევე საუბრობენ სადაზღვევო სისტემის ამოქმედების საჭიროებაზე. მათი აზრით, საჭიროა, სადაზღვევო კომპანიებმა შემოიღონ ამგვარი სადაზღვევო პაკეტი.
- ზარალის ანაზღაურება- ბევრი რესპონდენტი საუბრობს იმის შესახებ, რომ ადგილობრივ ფერმერებს უნდა აუნაზღაურდეთ გარეული ცხოველების მიერ მიყენებული ზიანი. ზარალის ანაზღაურებაზე პასუხისმგებლად, რესპონდენტები, როგორც წესი, ადგილობრივ ხელისუფლებას ასახელებენ.

აღსანიშნავია, რომ დიდა იმ რესპონდენტების რაოდენობა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ხელისუფლებამ არ იცის რა უნდა გააკეთოს. ასევე, ზოგიერთი რესპონდენტი აცხადებდა, რომ შეუძლებელია რამის გაკეთება და ეს პრობლემა სულ იარსებებს. დიდი ნაწილი რესპონდენტებისა საერთოდ არ იძლეოდა ამ კითხვაზე პასუხს (30%).

საინტერესო იყო, გამოგვეკვლია, - პრევენციის რა ღონისძიებებს მიმართავს მოსახლეობა გარეული ცხოველების თავდასხმის თავიდან აცილების მიზნით. თითოეულ რესპონდენტს შეეძლო რამდენიმე ღონისძიების დასახელება. რესპონდენტთა პასუხები მუნიციპალიტეტების მიხედვით და სხვადასხვა ღონისძიებების დასახელების სიხშირე ასახულია დიაგრამა 57-ზე.




დიაგრამა 57: მოსახლეობის მიერ განხორციელებული ღონისძიებები

როგორც დიაგრამაზე ჩანს, რამდენადაც განსხვავებული სიტუაციაა მუნიციპალიტეტების მიხედვით. ასე, მაგალითად, ქობულეთში, ძირითადად, აღნიშნავენ საფრთხოებელის გამოყენების პრაქტიკას (80%). თუმცა, არაფორმალურ საუბარში, მოსახლეობა აღნიშნავდა, რომ ეს მეთოდი ნაკლებად ეფექტურია. სხვა მუნიციპალიტეტებში ხდება ამ პრაქტიკის გამოყენება, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. აქვე, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ქობულეთში ძირითადი ზიანი ადგება არა მეცხოველეობას, არამედ ნათესებს. მწყემსობა / პატრულირება, ჯგუფების მორიგეობა ნათესებთან მათი სიმწიფის პერიოდში,

პრაქტიკულად, ყველა მუნიციპალიტეტში მიღებული პრაქტიკაა. ასევე, ხდება ხმაურის გამოყენება ცხოველების დასაფრთხობად. აღსანიშნავია, რომ მოსახლეობა საუბრობს სპეციალური დანადგარების შესახებ, რომლებიც გარკვეული პერიოდულობით იწვევს ხმაურს. მოსახლეობა საუბრობს ამგვარი დანადგარების მეტ-ნაკლებ ეფექტურობაზე.

აღსანიშნავი გარემოებაა, რომ განსხვავებით საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისგან, სადაც ასევე გავრცელებულია მეცხოველეობა, პრაქტიკულად, არ ხდება ძაღლების, როგორც მეურნეობის დაცვის ეფექტური საშუალების გამოყენება. ძაღლების გამოყენებასთან დაკავშირებით კითხვარი დამატებით კითხვებს მოიცავდა. კითხვები საშუალებას მოგვცემდა გაგვეჩვენებინა, თუ როდის და სად გამოიყენება უფრო ხშირად ძაღლები, რომელი ჯიშის ძაღლებია უფრო მეტად გავრცელებული. ძაღლების წვრთნის როგორი პრაქტიკაა დამკვიდრებული და ა.შ. თუმცა, ყველა ამ ინფორმაციის შეგროვება შეუძლებელი გახდა იქიდან გამომდინარე, რომ რესპონდენტები, პრაქტიკულად, არ იყენებენ და არ განიხილავენ ძაღლებს, როგორც გარეული ცხოველებისგან თავდაცვის საშუალებას. მხოლოდ მცირე ნაწილი აღნიშნავდა, რომ ჰყავთ ძაღლები. ყველამ, ვინც განაცხადა, რომ ჰყავს ძაღლი, აღნიშნა რომ ჰყავს მხოლოდ ერთი ძაღლი. პრაქტიკულად, არც ერთმა რესპონდენტმა არ იცის რა ჯიშის ძაღლები ჰყავთ და სახელდება მხოლოდ შერეული ჯიში (კონკრეტულად, მხოლოდ ერთმა რესპონდენტმა, ქედაში, აღნიშნა, რომ ჰყავს მონადირის ჯიშის და ერთმა რესპონდენტმა, შუახევიში, რომ ჰყავს კავკასიური ჯიშის ძაღლი). ძაღლების მფლობელი რესპონდენტები აცხადებენ, რომ არ იყენებენ არანაირი წვრთნის სპეციალურ მეთოდებს. პრაქტიკულად, არც ერთი ძაღლის მეპატრონე რესპონდენტი არ განიხილავს მათ, როგორც გარეული ცხოველის თავდასხმის პრევენციის ეფექტურ საშუალებას. ყველა ძაღლის მფლობელმა აღნიშნა, რომ როგორც წესი, ძაღლებს უკეთებენ ვაქცინაციას, მათ შორის ცოფზე. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კითხვაზე, ფიქრობენ თუ არა რომ კარგი ძაღლი ჰყავთ, ყველა ძაღლის მეპატრონე აცხადებს რომ მათ კარგი ძაღლი ჰყავთ.

კითხვაზე, ეფექტურია თუ არა რესპონდენტების მიერ გატარებული ღონისძიებები, პასუხები მუნიციპალიტეტების მიხედვით შემდეგნაირად განაწილდა. იხ. დიაგრამა 58.



დიაგრამა 58: ეფექტურია თუ არა თქვენს მიერ გატარებული პრევენციული ღონისძიებები

როგორც დიაგრამიდან ჩანს, რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ, პრაქტიკულად, არ იცის / ვერ აფასებს რამდენად ეფექტურია მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები. მხოლოდ მცირე ნაწილი (15% - 30% მუნიციპალიტეტების მიხედვით) საუბრობს, რომ მათი ღონისძიებები ეფექტურია. ასევე, ძალიან მცირე ნაწილი საუბრობს ამ ღონისძიებების არაეფექტურობაზე ან ნაწილობრივ ეფექტურობაზე. დიაგრამის მთავარი დასკვნა ის არის, რომ მოსახლეობამ, პრაქტიკულად, არ იცის რამდენად ეფექტურია მათი ღონისძიებები. ატარებენ იმ ქმედებებს, რაც იციან. თუმცა, ვერ აფასებენ რა შედეგის მომტანია ეს ღონისძიებები.

ცალკე იქნა დასმული კითხვა ფუტკრის სკების დაცულობის შესახებ. რესპონდენტთა პასუხები იდენტურია ყველა მუნიციპალიტეტში და აბსოლუტური უმრავლესობა (90%-ზე მეტი) აცხადებს, რომ ფუტკრის სკები არ არის დაცული / დაუცველია გარეული ცხოველების თავდასხმისგან.

ამ თვალსაზრისით, საინტერესო იყო გარკვეულიყო რესპონდენტების მოსაზრება, თუ როგორ აფასებენ ისინი, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ დაიცავენ / არ გაატარებენ პრევენციულ / დაცვით ღონისძიებებს. მით უმეტეს იმ ფონზე, რომ რესპონდენტთა დიდი ნაწილი ვერ აფასებს ამ ღონისძიებების ეფექტურობას. მიუხედავად ამისა, კითხვაზე, თუ რა მოხდება პრევენციული ღონისძიებების არგატარების შემთხვევაში, პრაქტიკულად, ყველა რესპონდენტი (თითქმის 100%) საუბრობს იმაზე, რომ მათი დანაკარგები მნიშვნელოვნად გაიზარდება.

რესპონდენტებს ასევე უჭირთ იმის დასახლება, თუ რა ღონისძიებები უნდ გატარდეს, რომ შემცირდეს ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხები. შესაბამის კითხვაზე პასუხები, ძირითადად, კვლავ სამონადირეო და საპატრულო ჯგუფების შექმნასთან და ნადირობის ლეგალიზაციასთან (ადგილობრივთათვის) არის დაკავშირებული (60%-ზე მეტი). შედარებით მცირე ნაწილი (10%) საუბრობს, რომ საჭიროა ბუნებრივი ტყის ეკოსისტემების შენარჩუნება / მოვლა და ასეთ შემთხვევაში, ეს რესპონდენტები თვლიან, რომ შემცირდება თავდასხმების რაოდენობა გარეული ცხოველების მხრიდან.

ამ შემთხვევაშიც, რესპონდენტთა დიდ ნაწილს (30%) არ აქვს პასუხი / არ იცის როგორ უნდა მოგვარდეს აღნიშნული ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხები. ამასთან, პასუხისმგებლობას ადეკვატური ღონისძიებების გატარებაზე რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა ხელისუფლებას აკისრებს.

რესპონდენტთა აბსოლუტური უმრავლესობა აღნიშნავს, რომ მათ საკუთარი ძალებით არ შეუძლიათ ამ პრობლემასთან გამკლავება და საჭიროებენ გარედან დახმარებას.

7. ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები

7.1 ძირითადი მიგნებები

წინამდებარე ქვეთავი შემუშავებულია იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც მოძიებული იქნა პროექტის გუნდის მიერ პროექტის მიმდინარეობისას. ძირითადი მიგნებები შემუშავდა შემდეგი წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის დეტალური დამუშავების შედეგად:

- სახელმწიფო უწყებების მიერ მოწოდებული ოფიციალური ინფორმაცია;
- პროექტის ექსპერტთა გუნდის მიერ მომზადებული ანგარიშები (კანონმდებლობა, ბიომრავალფეროვნება, ტურიზმი / აგროტურიზმი);
- ადგილზე ჩატარებული დაინტერესებული მხარეებისა და სამიზნე სოფლების მოსახლეობის გამოკითხვები;
- სამუშაო შეხვედრები:
 - ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელების მონაწილეობით;
 - შეხვედრები ALCP-ს ხელშეწყობით ჩამოყალიბებულ მუნიციპალური კატასტროფების რისკების მართვის ჯგუფებთან;
 - შეხვედრა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის აჭარის სამმართველოში;
 - შეხვედრები სამიზნე სოფლების თემების წარმომადგენლებთან.

აღნიშნული წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის ანალიზი საფუძვლად დაედო ქვემოთ მოცემულ ძირითად მიგნებებს, რაც დაკავშირებულია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის არსებულ ურთიერთდამოკიდებულებასთან.

ძირითადი მიგნებები შემდეგი ძირითადი თემატიკის მიხედვით არის წარმოდგენილი:

- ინფორმაცია თავდასხმების შესახებ / ინფორმაციის მიმოცვლა / გავრცელება
- ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულება
- დამოკიდებულება და ცოდნა ველური გარემოს შესახებ
- ინფორმაციის შეტყობინება გარეულ ცხოველთა თავდასხმების შესახებ
- რეაგირება გარეულ ცხოველთა თავდასხმაზე
- პრევენციული ღონისძიებები

ინფორმაცია თავდასხმების შესახებ / ინფორმაციის მიმოცვლა / გავრცელება

ჩატარებულმა კვლევებმა ცხადყო, რომ პრაქტიკულად არ ხდება ცხოველების თავდასხმების შესახებ ინფორმაციის შეგროვება რომელიმე კონკრეტული უწყების მიერ. შესაბამისად, არ ხდება რაიმე ტიპის სტატისტიკური აღრიცხვის წარმოება ამგვარი თავდასხმებისა და ამ თავდასხმების შედეგად გამოწვეული ზარალის შესახებ. როგორც წესი, ინფორმაციის აკუმულირება რამდენიმე სახელისუფლებო უწყებრივ დონეზე ხდება. თუმცა, კომუნიკაცია ამ დონეებსა და უწყებებს შორის, პრაქტიკულად, არ არსებობს. არ არსებობს რაიმე სახის ჩამოყალიბებული მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მიმოცვლას ამ დონეებს შორის. დამკვიდრებული პრაქტიკის მიხედვით, ინფორმაციის თავმოყრა რამდენიმე დონეზე ხდება:

- ადგილობრივი ხელისუფლება. როგორც წესი, ამ დონეზე თავს იყრის ყველაზე მეტი ინფორმაცია ცხოველების თავდასხმის შესახებ. თავდასხმის შედეგად დაზარალებული ფერმერები ატყობინებენ თავიანთი სოფლის რწმუნებულებს, რომელთაც ეს ინფორმაცია მუნიციპალურ ხელმძღვანელობასთან მიაქვთ. ამგვარი შეტყობინებები, როგორც წესი, ზეპირი ფორმით ხორციელდება. როგორც გაირკვა, შემდგომში არ ხდება ამ შეტყობინებების რამე წერილობითი ფორმით გაფორმება. რეალურად უმეტეს შემთხვევებში, გარდა იშვიათი გამონაკლისისა, როდესაც თავდასხმები მძაფრ ხასიათს იღებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტი წარმოადგენს ბოლო ინსტანციას, საიდანაც აღარ ხდება სხვა უწყებების შეტყობინება. შეტყობინების დამკვიდრებული პრაქტიკა, უმთავრესად, ზეპირ ან სატელეფონო შეტყობინებებს გულისხმობს.
- გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი (გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო). აქ ინფორმაცია, ძირითადად, ადგილობრივი ხელისუფლებიდან იყრის თავს. ამის გარდა, მოქმედებს ცხელი ხაზი, თუმცა, როგორც ადგილობრივმა წარმომადგენელმა განგვიმარტა, ცხელი ხაზის ამოქმედების დღიდან (2014 წელი) არც ერთი ზარი არ შემოსულა ადგილობრივი მოსახლეობიდან ცხოველების თავდასხმის შესახებ.
- სურსათის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი წარმომადგენლობა, სადაც თავს იყრის ინფორმაცია ცხოველთა დაავადებების შესახებ, მათ შორის, გარეული ცხოველის მიერ გამოწვეული დაავადებების შესახებ.
- დაცული ტერიტორიების სააგენტო და უშუალოდ, დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციები აწარმოებენ დამოუკიდებელ სტატისტიკას, როგორც მენეჯმენტის მონიტორინგის პროცესის შემადგენელი ელემენტი.

სიტუაცია რამდენადმე შეიცვალა უკანასკნელი თვეების მანძილზე, როდესაც ALCP-ს ხელშეწყობით ჩამოყალიბდა კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) სამუშაო ჯგუფები. ჯგუფები ადამიანის საცხოვრებელ და ეკონომიკურ გარემოზე გარეული ცხოველების მონიტორინგსაც ახორციელებენ. სამუშაო ჯგუფები აქტიურ კოორდინაციას მოახდენენ ყველა ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლების კატასტროფების რისკების მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან, მათ შორის, ცხოველების თავდასხმის კუთხითაც. ამგვარი ჯგუფების არსებობა უზრუნველყოფს ერთიანი ბაზისა და აღრიცხვის სიტემის არსებობას, სადაც აღირიცხება გარეული ცხოველების მიერ შინაურ პირუტყვზე და ადამიანზე განხორციელებული თავდასხმები, მიყენებული ზიანი, დრო, ადგილი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ამ ჯგუფების ფუქნციონირების მოკლე პერიოდის მიუხედავად, უკვე მოხერხდა გარკვეული სტატისტიკური მონაცემების დაგროვება, რამაც ნათლად გამოაჩინა პრობლემის მთელი სიმძაფრე. არსებითად დღეს გარეული ცხოველების თავდასხმის შესახებ ყველაზე ფასეული ინფორმაცია ამ ჯგუფების მიერ აკუმულირდება.


ადამიანსა და გარეულ ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულება

ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებით, კვლევამ შემდეგი ძირითადი საკითხები გამოავლინა:

- მოსახლეობისთვის ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა, მათ წინაშე მდგარი ერთ-ერთი ყველაზე

მეტად აქტუალური და მძაფრი პრობლემაა აჭარაში¹⁷. უნდა აღინიშნოს, რომ მხოლოდ 2015 წლის აპრილ-ივლისის ფარგლებში, აჭარაში გარეული ცხოველების თავდასხმის 276 ფაქტი აღირიცხა DRR სამუშაო ჯგუფების მიერ (იხ. რუკა 4). განსაკუთრებით აქტუალურია პრობლემა მცირე მეურნეობის მქონე ოჯახებისათვის (2-3 სული საქონელი, მცირე ნაკვეთი), რომლებიც გარეული ცხოველების თავდასხმების შედეგად საკუთარი მეურნეობის (საარსებო წყარო) უდიდესი ნაწილის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან.

რუკა 4: მუნიციპალური DRR ჯგუფის მიერ აღრიცხული გარეული ცხოველების თავდასხმები რაოდენობა (აპრილი-ივლისი, 2015)




- ძირითადი გარეული ცხოველები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან ადგილობრივ მეურნეებს დათვი, მგელი, ტურა და შედარებით ნაკლები ხარისხით, მელაა. აღნიშნული დადასტურდა, როგორც წინასწარი კვლევით, ისე შერჩეულ სოფლებში ჩატარებული დეტალური გამოკითხვით. ამასთან, დათვი და მგელი უფრო მეტად აჭარის მუნიციპალიტეტების მთიანი ზონებისთვის ქმნის პრობლემას (უფრო მეტად ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტები). ტურა კი, პრაქტიკულად, მთლიანი აჭარის რეგიონისთვის წარმოადგენს მნიშვნელოვან პრობლემას, მიუხედავად კონკრეტული არეალის გეოგრაფიული მდებარეობისა (იხილეთ

¹⁷ <http://ajaratv.ge/ge/news/society/nebartva-mtatseblis-likvidatsiaze/102783>;
http://www.tv25.ge/?page=news&news_id=16769#.VgkRNZc73YF;
<http://www.myvideo.ge/tv/adjara&seekTime=24-09-2015%2018:27>

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებთან ინტერვიუების შედეგად გამოვლენილი „ცხელი წერტილი“ სოფლები რუკა 5-ზე).

რუკა 5: ადგილობრივი წარმომადგენლების მიერ იდენტიფიცირებული „ცხელი წერტილი“ სოფლები თავდასხმების სიხშირის მიხედვით¹⁸



- გარეული ცხოველების მიერ მიყენებული ზარალი:
 - დათვი დიდ ზიანს აყენებს, როგორც მეცხოველეობის, ისე მემცენარეობის სექტორს, აზიანებს მსხვილფეხა რქოსან პირუტყვს; ასევე, მარცვლოვან ნათესებს და თხილის ბაღებს. მნიშვნელოვანია დათვის მიერ მიყენებული ზიანი მეფუტკრეობის სექტორისთვის.
 - მგელი ძირითად ზიანს აყენებს მესაქონლე ფერმერებს.
 - ტურა ძირითად ზიანს აყენებს შინაურ ფრინველს. თუმცა, ასევე აღინიშნა, რომ იგი ზიანს აყენებს, როგორც კულტურულ ნათესებს, ისე შინაურ პირუტყვს.
 - მელა, როგორც თავდამსხმელი, ძირითად ზიანს აყენებს შინაურ ფრინველს.
- მსხვილი გარეული ცხოველების (დათვი, მგელი) თავდასხმები უფრო მეტად **ზაფხული- შემოდგომის პერიოდშია აქტუალური**, როდესაც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი ზაფხულის სამოვრებზეა გაყვანილი. თუმცა, ხშირია საქონელზე

¹⁸ შენიშვნა: „ცხელი წერტილი“ სოფლები შეირჩა 2015 წლის აპრილს ადგილობრივი დაინტერესებულ მხარეებთან ინტერვიუების შედეგად. გარეული ცხოველების თავდასხმების სტატისტიკური ინფორმაცია რომელიც ხელმისაწვდომია მუნიციპალური DRR სამუშაო ჯგუფისთვის არ არის წარმოდგენილი რუკაზე, რადგანაც სამუშაო ჯგუფებმა ადამიანი-გარეულ ცხოველებს შორის ურთიერთდამოკიდებულების სტატისტიკის წარმოება დაიწყო 2015 წლის აპრილიდან.

თავდასხმის შემთხვევები უშუალოდ სოფლების ტერიტორიებზეც. მელას და განსაკუთრებით, ტურას თავდასხმები არ ატარებს გამორჩეულ სეზონურ ხასიათს და მთელი წლის განმავლობაში ერთნაირად აქტუალურია.

- მოსახლეობა ერთხმად აღნიშნავს, რომ უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში, გარეულ ცხოველთა თავდასხმების პრობლემა მნიშვნელოვნად გამწვავდა. პრობლემის გამწვავება კომპლექსური გარემოებით არის განპირობებული და რამდენიმე ძირითადი ფაქტორების თანხვედრას გულისხმობს. აქვე აღვნიშნავთ, იმის გამო, რომ არ არსებობს რეალური და ზუსტი სტატისტიკა ცხოველთა თავდასხმების შესახებ, შეუძლებელია დანამდვილებით აღიწეროს თავდასხმების დინამიკა. ამ შემთხვევაში, პროექტის განმახორციელებელი გუნდი, ძირითადად, ეყრდნობოდა ადგილობრივების (როგორც მოსახლეობის, ისე ხელისუფლების) მიერ პრობლემის სუბიექტურ აღქმასა და შეფასებას.

თავდასხმების დინამიკის ზრდის გამომწვევი ძირითადი ფაქტორებიდან უნდა აღინიშნოს:

- გარეული ცხოველების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდა, რაც განპირობებულია რამდენიმე ძირითადი ფაქტორით:
 - უკანასკნელ წლებში ნადირობის აკრძალვა. ასევე, აკრძალვის შესრულებაზე და უკანონო ნადირობაზე კონტროლისა და სანქციების მნიშვნელოვანი გამკაცრება.
 - აღსანიშნავია, რომ რესპონდენტები (ყველა დონეზე) ხშირ შემთხვევაში ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ასახელებენ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს. კერძოდ, ომის მიმდინარეობისას რუსული შეიარაღებული ძალების მიერ განხორციელებული ეკოციდის შედეგად დაიწვა ბორჯომის ტყეების გარკვეული ნაწილი. ამის შედეგად, ხანძარს გამორიდებულმა ცხოველებმა მეზობელი აჭარის ტყეებს შეაფარა თავი, რამაც ხელი შეუწყო აქ მათი პოპულაციის ზრდას. თუმცა, ექსპერტის მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით შემდეგია: ზოგადად ხანძრები, სხვა სტიქიური მოვლენები ცხოველების მიგრაციისთვის მნიშვნელოვანი წინაპირობაა, მაგრამ 2008 წლის რუსეთ - საქართველოს ომის დროს ხანძრის შედეგად დაზიანდა 1,000 ჰექტარი (10 კმ²) ტყე, ძირითადად, დაბა-წალვერის სატყეო - ეს ფართობი საკმაოდ მცირეა და აქ ცხოველების ძალიან მცირე რაოდენობა ბინადრობდა. აღსანიშნავია, რომ ამ ტერიტორიას, ჩრდილო-აღმოსავლეთით და ჩრდილო-დასავლეთით უშუალოდ ესაზღვრება ნემვის აღკვეთილი, სადაც დაცული ტერიტორიების რეჟიმი და მონიტორინგი მიმდინარეობს. აქ, ხანძრის შემდგომ პერიოდში, ცხოველების მნიშვნელოვანი მატება არ დაფიქსირებულა. ასევე, ამ ტერიტორიას აჭარის რეგიონამდე გამოყოფს ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკი 85,000 ჰექტარი (850 კმ²), ახალციხის და ადიგენის სატყეოები. შესაბამისად, პრაქტიკულად გამორიცხულია, რომ ხანძარს გამორიდებულ ცხოველებს აჭარისთვის შეეფარებინათ თავი. მოსახლეობის ეს მოსაზრება კვლავ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ნაკლებობას უნდა მივაწეროთ.
- სამუშაო შეხვედრებისას აღინიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე მკვეთრად შემცირდა ტყეში ხე-ტყის დამზადებასთან დაკავშირებული აქტივობები. რაც

რესპონდენტების აზრით, მნიშვნელოვანი შემაწუხებელი ფაქტორი იყო ცხოველთათვის (ხმაური, მანქანების მოძრაობა და ა.შ.) და განაპირობებდა იმას, რომ ცხოველები ერიდებოდნენ სოფლების მიმდებარე ტერიტორიებს. ამჟამად, ადმინისტრირების გამკაცრებასთან დაკავშირებით, ამგვარი აქტივობები, პრაქტიკულად, შეწყვეტილია, შესაბამისად, აღარ არსებობს ცხოველთათვის შემაწუხებელი ფაქტორები და მათ სოფლების მიმდებარე არეალებში გადმოინაცვლეს.

- სამუშაო შეხვედრებისას, ასევე აღინიშნა ტყეებში წაბლის ხმობის პრობლემა. რესპონდენტების აზრით, წაბლის გახმობამ შეამცირა ცხოველების (დათვის) საკვები ბაზა, რამაც განაპირობა მათი თავდასხმების გააქტიურება.
- უკანასკნელ წლებში აჭარის სოფლის მეურნეობის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ცვლილებებია. კერძოდ, სულ უფრო და უფრო მეტი მცირე თუ საშუალო ფერმერი აშენებს თხილის პლანტაციებს, რომლებმაც ხშირ შემთხვევაში ჩაანაცვლა სხვა, ადრე გავრცელებული კულტურები. ამასთან, პლანტაციები, ძირითადად, გაშენებულია სოფლის განაპირა, ტყეების მომიჯნავე სავარგულეებზე. მოსახლეობის აზრით, თხილის გაშენებამ განაპირობა გარეული ცხოველების, ძირითადად, დათვის მოზიდვა სოფლებში. აღსანიშნავია, რომ არანაირი კვლევა თხილის ფერმების და გარეული ცხოველების რიცხოვნობის ზრდასთან კორელაციაზე არ ჩატარებულა. თუმცა, პირველადი შეფასებით, თხილის ფერმების ზრდას შესაძლებელია გამოეწვია გარეული ცხოველების, კონკრეტულად, დათვის არა რიცხოვნობის მატება, არამედ მათი კონცენტრაციის ზრდა ფერმების სიახლოვეს. ამგვარი ზრდა თვალშისაცემი იქნება თხილის მწიფობის პერიოდში - აგვისტოს ბოლოდან სექტემბრის ჩათვლით.
- აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი რესპონდენტები გარეული ცხოველების თავდასხმების გახშირების შესახებ საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ ისტორიულ წარსულში ამგვარი თავდასხმების რიცხვი შედარებით ნაკლები იყო და ამის მიზეზად ასახელებდნენ წარსულში, მესაქონლეობის ფერმების თვისობრივად განსხვავებულ შემადგენლობას. კერძოდ, აღინიშნა, რომ წარსულში მესაქონლეობის ფერმებში აუცილებლად იყო წარმოდგენილი კამეჩი. კამეჩზე თავდასხმებს კი გარეული ცხოველები, როგორც წესი, ერიდებიან. რესპონდენტთა თქმით, გარეული ცხოველების კამეჩზე თავდასხმა უპერსპექტივოა, რადგან კამეჩები, ბასრი რქების და ორგანიზებულობის მეშვეობით, ადვილად იგერიებენ მათ თავდასხმას და როგორც წესი, ამგვარი თავდასხმის შედეგად, გარეული ცხოველი დამარცხებული რჩება.
- გარეული ცხოველების თავდასხმების მიზეზებზე საუბრისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს მესაქონლეობის ადგილობრივი, დამკვიდრებული პრაქტიკის შესახებ. კერძოდ, როგორც აღმოჩნდა, მოსახლეობა, როგორც წესი, სოფლების ფარგლებში არ მიმართავს მწყემსობის პრაქტიკას. საუბარია იმ ფერმერებზე, რომლებსაც არ მიჰყავთ საზაფხულო საძოვრებზე საქონელი, არამედ, ზაფხულს ატარებენ სოფლებში და საქონელს ყოველ დილით უშვებენ საძოვარზე. ასეთ შემთხვევებში, პირუტყვი უბრალოდ არის გაშვებული სოფლის მიმდებარე ტერიტორიებზე, ტყისპირებსა და ტყეებში. ხშირ შემთხვევაში, ყოველგვარი მეთვალყურეობის გარეშე. აღნიშნული

გარემოება, ცხადია, მნიშვნელოვნად ზრდის გარეული ცხოველის თავდასხმის ალბათობას.

დამოკიდებულება და ცოდნა ველური გარემოს შესახებ

რესპონდენტთა დამოკიდებულებები ცხოველების მიმართ, მნიშვნელოვნად ნეგატიურია, ამ მხრივ, განსაკუთრებით გამოირჩევა დათვი, მგელი, ტურა. აღსანიშნავია, რომ შუახევის მუნიციპალიტეტი გამოირჩევა ცხოველების მიმართ პოზიტიური განწყობების მაღალი დონით სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

მოსახლეობა ნაწილობრივ სწორად აღწერს აჭარისა და საქართველოს ველური გარემოს წარმომადგენლებს და მათი ცხოვრების წესს. თუმცა, მიუხედავად ამისა, მაინც მნიშვნელოვანია ცოდნის ნაკლებობა, განსაკუთრებით კი, ველური გარემოს ფასეულობების და ღირებულებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ კვლევისას ცხოველებთან დამოკიდებულებისა და მათ შესახებ ცოდნის თვალსაზრისით, არ დაფიქსირებულა არანაირი სხვაობა სხვადასხვა ჯგუფების პასუხებში - გენდერული, ასაკობრივი, განათლების, სოციალური თუ ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით.

ინფორმაციის შეტყობინება გარეულ ცხოველთა თავდასხმების შესახებ

რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა საუბრობს, რომ პრაქტიკულად არ ხდება ცხოველების თავდასხმის შესახებ ფაქტების ოფიციალურად წერილობითი შეტყობინება რომელიმე უწყებისათვის. ის რესპონდენტები კი, რომლებიც საუბრობენ შეტყობინების შესახებ, ძირითადად, გულისხმობენ სიტყვიერ ან სატელეფონო შეტყობინებებს. დამკვიდრებული პრაქტიკა შემდეგია - მოსახლეობა, როგორც წესი, ატყობინებს საკუთარი სოფლის რწმუნებულს, რომელსაც ეს ინფორმაცია მიაქვს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან. მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში, ხულოში, აღნიშნა წერილობითი შეტყობინების შესახებ.

უმთავრესი მიზეზი, რასაც აღნიშნავენ რესპონდენტები იმის ასახსნელად თუ რატომ არ ხდება შეტყობინება არის ის, რომ პრაქტიკულად არ არის არანაირი იმედი ან მოლოდინი იმისა, რომ იქნება რაიმე სახის რეაგირება. რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ისინი საერთოდ ვერ ხედავენ აზრს შეტყობინებაში.

მოსახლეობამ და ხშირ შემთხვევაში არც მუნიციპალურმა ხელმძღვანელობამ არ იცის და არ აქვს ინფორმაცია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ცხელი ხაზის „153“-ის, როგორც შეტყობინების განხორციელების ინსტრუმენტის შესახებ.

რეაგირება გარეულ ცხოველთა თავდასხმაზე

მოქმედი კანონმდებლობა ცნობს გარეული ცხოველების თავდასხმის შემთხვევაში რეაგირების რამდენიმე მექანიზმს“

- უშუალოდ თავდასხმის მომენტში გარეული ცხოველის გარემოდან ამოღება შეიძლება განხორციელდეს დაუყოვნებლივ და აღნიშნული არ საჭიროებს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს წინასწარ თანხმობას.

- იმ შემთხვევებში როდესაც არ ხორციელდება თავდასხმა, მაგრამ პრობლემა მნიშვნელოვანია, დაინტერესებული მუნიციპალიტეტი რეგულირების ღონისძიების განხორციელების აუცილებლობის თაობაზე განცხადებით მიმართავს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს. რეგულირების ღონისძიების ჩატარების მიზნით, სამინისტრო, საჭიროების შემთხვევაში, ადგილზე მიავლენს ექსპერტს ან ექსპერტთა ჯგუფს. მუნიციპალიტეტის განცხადების ან/და ექსპერტის ან ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის განხილვის შემდეგ, სამინისტრო ამზადებს სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პროექტს და უთანხმებს მუნიციპალიტეტს. სამინისტროს მიმართვის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის შესაბამისად სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. უფლების დელეგირების შემდეგ, რეგულირების ღონისძიების ჩატარება კონტროლდება გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ, რომელიც ადგენს შესაბამის აქტს რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგების თაობაზე. რეგულირების ღონისძიების განხორციელების შედეგად გარემოდან ამოღებული გარეული ცხოველი ნადგურდება.
- 2014 წლიდან გარემოსდაცვით საკითხებზე და მათ შორის გარეული ცხოველების თავდასხმებზე ინფორმაციის მიღების და რეაგირების მიზნით მოქმედებს 24-საათიანი სატელეფონო კავშირი - ცხელი ხაზი 153 რაზედაც გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ხორციელდება რეაგირება. აღსანიშნავია ასევე, რომ 112-ზე დარეკვის შემთხვევაში (გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრი) ცხოველთა თავდასხმის შემთხვევას ოპერატორი პირდაპირ 153-ზე გადაამისამართებს.
- ადგილობრივი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით ზარის შემთხვევაში ზედამხედველობის სამსახურში დგება ოქმი და ხდება დაკავშირება ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტთან, შემდეგ შესაბამისი ექსპერტები გადიან თბილისიდან ადგილზე და ხდება შესაბამისი დასკვნის შემუშავება გარეული ცხოველის ამოღებაზე (რაოდენობა), შემდეგ სამინისტრო აძლევს დელეგირების ნებართვას მუნიციპალიტეტს. ამ ნაწილში აღსანიშნავია ის შესაძლებლობა, რომ პირდაპირ 153 დარეკვის შემთხვევაში, მოსახლეს/ფერმერს ადგილობრივი ხელისუფლების გვერდის ავლით შეუძლია ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ იმ ორგანოსთვის, ვისაც ევალება მსგავს ფაქტებზე რეაგირება.

აღნიშნული საკანონმდებლო მექანიზმების არსებობა მეტ-ნაკლებად ცნობილია ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებისთვის. თუმცა ისინი აღნიშნავენ, შემთხვევაზე რეაგირების პროცედურა იმდენად დიდ დროს მოითხოვს (მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების გადმოცემით საშუალოდ 3 თვე), რომ პრაქტიკულად აზრს კარგავს ამ მექანიზმების ამუშავება.

რეაგირების რაიმე პრაქტიკის შესახებ საუბარი უჭირს მოსახლობის აბსოლუტურ უმრავლესობას. ისინი როგორც წესი აცხადებენ რომ არ ხდება არანაირი რეაგირება. ის ფაქტი რომ მოსახლეობას არ აქვს სრულფასოვანი ინფორმაცია არსებული მექანიზმების შესახებ დასტურდება იმითაც, რომ გარემოსდაცვითი დეპარტამენტის ინფორმაციით მათ ცხელ

ხაზზე, მათი ფუნქციონირების პერიოდში (2014 წლიდან) არ დაფიქსირებულა არც ერთი შეტყობინება ადგილობრივი მოსახლეობიდან.

აღსანიშნავია, რომ კვლევის პროცესში, ერთ-ერთი სამუშაო შეხვედრისას პროექტის გუნდის მიერ განხორციელდა ერთგვარი ექსპერიმენტი. კერძოდ განხორციელდა ზარი ცხელ ხაზზე - 153, და გადაიცა შეტყობინება, რომ კონკრეტულ სოფელში არის გარეული ცხოველების თავდასხმის ძალიან მწვავე პრობლემა. ოპერატორმა სიტუაციის ზოგადი ახსნის შემდეგ ადგილობრივ ხელისუფლებასთან გადაამისამართა პროექტის გუნდი დაურჩია წერილობით მიემართა ადგილობრივი ხელისუფლებისათვის, რომელიც შემდეგ ასევე წერილობით დაუკავშირდებოდა ადგილობრივ გარემოსდაცვით ზედამხედველობის დეპარტამენტს შემდგომი რეაგირებისათვის. ექსპერიმენტის შედეგად პრაქტიკულად გაბათილდა ცხელი ხაზის არსებობის ყველანაირი უპირატესობა, გარეული ცხოველების თავდასხმის თვალსაზრისით. ფაქტია, რომ არ დაფიქსირდა დეტალურად თავდასხმების გეოგრაფიული არეალი და სიხშირე. არ ჩაწერილა თავდასხმების შესახებ ინფორმაცია და არ გადაგზავნილა შესაბამის უწყებაში. ერთადერთი რაც პროექტის გუნდმა მიიღო ცხელი ხაზიდან იყო რჩევა ადგილობრივი ხელისუფლების გავლით არსებული მექანიზმების გამოყენების. შესაბამისად ის უპირატესობა, რომ მოსახლეს / ფერმერს უშუალოდ და ოპერატიულად შეუძლია უშუალო პასუხისმგებელ ინსტიტუციას მიაწოდოს ინფორმაცია პრობლემის შესახებ ვერ იქნა რეალიზებული.

პრევენციული ღონისძიებები

რესპონდენტთა დიდი ნაწილი აღნიშნავს, რომ არ ტარდება ან მას არ აქვს ინფორმაცია რაიმე ტიპის პრევენციული ღონისძიებების შესახებ.

იმ შემთხვევაში თუ საუბარია რაიმე ტიპის პრევენციაზე, ძირითადად აღინიშნება შემდეგი:

- ხულოს მუნიციპალიტეტში მოქმედებს მუნიციპალური „უპატრონო და მაწანწალა ცხოველების პროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სამონადირეო ვაზნების შესყიდვას პრევენციული ღონისძიების - სროლით გარეული ცხოველების დაფრთხობის მიზნით. ამ მიზნით სოფლებში შექმნილი „სამონადირეო ჯგუფები“ ატარებენ შესაბამის ღონისძიებებს (აფრთხობენ). ამჟამად მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს ინფრასტრუქტურის სამინისტროდან დაფინანსებული პროგრამა ტყვია წამალის შესყიდვაზე, რომელიც ურიგდება აღნიშნულ მონადირეებს.
- აღსანიშნავია, რომ მოსახლობა დამოუკიდებლად ცდილობს გარკვეული პრევენციული და რისკის შესამცირებელი ღონისძიებების გატარებას, თუმცა მათი ეფექტურობა მოსახლეობისთვის უცნობია. ამგვარი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:
 - მწყემსობის პრაქტიკა. ხდება მწყემსების სეზონური დაქირავება მოსახლეობის მიერ, ან ხდება თავად მოსახლეობის მიერ საქონლის მორიგეობით მწყემსვა. ეს პრაქტიკა ძირითადად საზაფხულო სამოვრებზეა დანერგილი.
 - პატრულირება. ამგვარმა პრაქტიკამ ბოლო წლებში მოიკიდა ფეხი და ძირითადად თხილის პლანტაციებთან არის დაკავშირებული. თხილის სიმწიფეში შესვლის პერიოდში, მოსავლის აღებამდე (3 კვირიდან 1 თვემდე), მოსახლეობა აწარმოებს პატრულირებას (ზოგ შემთხვევაში მორიგეობით) დათვის თავდასხმების თავიდან აცილების მიზნით.

- ცხოველთა და ფრინველთა სადგომების შემოღობვა და განთავსება ისეთ ადგილებში სადაც ვერ მიწვდება გარეული ცხოველები.
- საფრთხობელების დამზადება / დამონტაჟება.
- ნაკვეთის საგზაო ლენტებით (ფოსფორის ფერი) შემოღობვა, რომელიც გარკვეულ პოზიტიურ შედეგს იძლევა. თუმცა, აღინიშნა, რომ გარეული ცხოველი ეჩვევა მსგავს საშუალებებს და აღარ ფრთხილდება.
- ხმაური. ზოგიერთი რესპონდენტი საუბრობს ადგილობრივი მოსახლეობის მიერ ჩატარებული მარტივი პრევენციული ღონისძიებების შესახებ. რომელთაგან აღსანიშნავია - ხმაური (ყვირილი, სტვენა), ცეცხლის დანთება. ხმაურთან დაკავშირებით აღინიშნა რომ ბოლო პერიოდში აჭარაში გავრცელდა თურქული გადასატანი დანადგარები, რომელიც მუშაობს გაზზე. დანადგარები პერიოდულად იწვევენ ხმაურს, აკეთებენ გასროლის იმიტაციას (პერიოდულობის რეჟიმის განსაზღვრა მომხმარებლის მიერ არის შესაძლებელი) და აფრთხობენ ცხოველებს. ის მოსახლეობა, რომლებიც საუბრობდა ამ დანადგარების შესახებ აცხადებდა, ისინი საკმაოდ ეფექტურია.

რისკის შემამცირებელი ღონისძიებების შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონში პრაქტიკულად არ ხდება მოდარაჯე ძაღლების გამოყენება. ამ თვალსაზრისით აჭარა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოს სხვა მთიანი რეგიონებისგან. როგორც აღმოჩნდა პრაქტიკულად არ არის ტრადიცია გარეული ცხოველის თავდასხმის თავიდან არიდების მიზნით ძაღლების გამოყენებისა. ამასთან დაკავშირებით რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ მათი ძაღლები, ვერ შეძლებდნენ ცხოველთან განმკლავებას (თუმცა ძაღლის უმთავრესი ფუნქცია მაინც არა გამოკლავება, არამედ პატრონის შეტყობინებაა თავდასხმის შესახებ). ასევე მიზეზად აღინიშნა, რომ ის ძვირფასი ჯიშის ძაღლები, რომელიც საქართველოს სხვა რეგიონებში გამოიყენება ძვირი ღირს და მათი შენახვა მეურნეს მათგან მიღებულ სარგებელზე ბევრად მეტი დაუჯდება. პრაქტიკულად არც ერთი ძაღლის მეპატრონე რესპონდენტი არ განიხილავს მათ, როგორც გარეული ცხოველის თავდასხმის პრევენციის ეფექტურ საშუალებას. შესაბამისად არ ტარდება ძაღლების არანაირი სპეციალური წვრთნა, ჯიშის შერჩევა და ა. შ.

რისკის შემცირების პრაქტიკასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ არ მოქმედებს დაზღვევის არანაირი სისტემა. რესპონდენტების დიდი ნაწილი გამოთქვამდა თავის წუხილს ამასთან დაკავშირებით და აღნიშნავდა დაზღვევას, როგორც რისკის შემცირების მნიშვნელოვან მექანიზმს.

7.2 რეკომენდაციები

კვლევის შედეგად მიღებულ ძირითად მიგნებებზე დაყრდნობით შემუშავდა რეკომენდაციების ჩამონათვალი რომლებიც პროექტის განმახორციელებელი გუნდის აზრით უზრუნველყოფს ადამიანი - გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შერბილებას და თავდასხმებით გამოწვეული ზიანის მინიმიზაციას.

ამ თვალსაზრისით უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი აზრისა და ცოდნის, ანუ „ადამიანური განზომილების“ კვლევა და მასზე ზემოქმედება გარეულ ცხოველთა (2009; Musiani, et al., 2009). ფართოდაა აღიარებული, რომ ველური ბუნების კონსერვაცია და მართვა არა იმდენად ცხოველთა პოპულაციის მართვასთანაა

დაკავშირებული (თუმცა არავითარ შემთხვევაში არ გამოიცხავს მას), რამდენადაც იმ ადამიანების მართვასთან, რომლებსაც მათთან კონტაქტი უხდებათ. მგლები და დათვები მხოლოდ იმ შემთხვევაში თანაცხოვრობენ ადამიანებთან, თუ ამ უკანასკნელთ სურვილი აქვთ გაიყონ მათთან ლანდშაფტი, შემწყნარებლურად მოეკიდონ პირუტყვის დაკარგვას ან მოსავლის ზარალს და გაიაზრონ მათი და მათი ქონების უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პოტენციური და რეალური რისკები. აქედან გამომდინარე, მსხვილი გარეული ცხოველების წარმატებული კონსერვაციისთვის, იქნება ეს დაცულ ტერიტორიაზე თუ ველურ პირობებში, საჭიროა არსებობდეს ველური ბუნების მიმართ მიმღეობის შესაძლებლობა (Sillero-Zubiri, et al., 2006).

ჩატარებული სამუშაოების ძირითადი ამოცანა იყო, კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, აჭარის მუნიციპალიტეტებში ადამიანსა და გარეულ ცხოველს შორის ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შერბილებისათვის საჭირო ინსტრუმენტების/რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის დასკვნით ეტაპზე შემუშავებულ რეკომენდაციათა პაკეტი წარმოდგენილია ქვემოთ მოტანილ ქვეთავებში:

7.2.1 პრევენციის სტრატეგია

7.2.1.1 ხელოვნური და ბუნებრივი ბარიერები (ფიზიკური და ბიოლოგიური)

ბარიერები საკმაოდ გავრცელებული საშუალებაა გარეული ცხოველებისგან შინაური პირუტყვის თუ მოსავლის დასაცავად. ადამიანი უხსოვარი დროიდან გამოიყენებდა ბარიერებს, მარცვლეული კულტურების თუ ხეხილის ბაღების შემოღობვა, პირუტყვის საძოვრის ან ღამის სათევი ადგილის შეღობვა. ბარიერების მოსაწყობად გამოიყენება მრავალი საშუალება: ხის ტოტები, ქვა, მავთულბადე და სხვა.

მგლებისგან შინაური პირუტყვის დასაცავად, აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში გამოიყენება დროშებიანი (Fladry) ბარიერი (იხ. სურათი 7), ან უფრო თანამედროვე ტურბო ბარიერი (Turbo Flardy). ბარიერი მარტივი კონსტრუქციისაა: ის შედგება თოკზე დაკიდებული მოქანავე დროშებისაგან, დროშებს შორის დაშორებაა 0.5 მეტრი. აღნიშნულისგან განსხვავებით, ტურბო ბარიერში, თოკის ნაცვლად ჩართულია ელექტრო სადენების კომპონენტი. კვლევებმა აჩვენა, რომ მგლებს ეშინიათ თოკზე/ელექტრო მავთულზე დამაგრებული მოქანავე დროშების და არ კვეთენ ასეთ ბარიერებს. მსგავსი ბარიერებით დღესაც იცავენ შინაურ პირუტყვს (Musiani, et al., 2003). ასეთი ბარიერის მოწყობა ადვილია შინაური პირუტყვის ღამისათვის ადგილას, მაგრამ რთულია საძოვრებზე გამოყენება. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ამ ბარიერის არ ეშინია დათვს. შინაური პირუტყვი არ უფრთხის ამ ბარიერს და ადვილად ტოვებს მას. როგორც წესი, დროშებიანი ბარიერს იყენებენ სხვა სახის ბარიერებთან კომბინაციაში.



სურათი 7: Fladry (დროშებიანი ბარიერი)

დღეისათვის ყველაზე დახვეწილად და ეფექტურად ითვლება „ელექტრო მწყემსი“ (electric fencing), იგი მოქმედებს როგორც წვრილი, ისე მსხვილ გარეულ ცხოველებზე, მაგ. როგორცაა, მურა დათვი, მგელი. შინაური პირუტყვიც ერიდება მასთან კონტაქტს, რაც ასევე, ერთერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. ელექტრომწყემსი გამოიყენება, როგორც პირუტყვის ღამისათევი (თავშეყრის) ადგილების დასაცავად, ისე საძოვრებზე, საძოვრის დიდი ფართობის შემოსაფარგლად. ელექტრომწყემსები ასევე ეფექტურად გამოიყენება ფუტკრის სკების (იხ. სურათი 8) და სასოფლო სამეურნეო სავარგულების დასაცავად (Kenya wildlife service, 1996). ელექტრომწყემსისთვის დადებითი მახასიათებელია მისი ხანგრძლივი ექსპლუატაციის შესაძლებლობა. უარყოფით მახასიათებლად ითვლება პირველადი ინსტალაციის ღირებულება, რაც მისი გრძელვადიანი და მარტივი ექსპლუატაციის პირობებში ხარჯეფექტურად შეიძლება მივიჩნიოთ. გასათვალისწინებელია, რომ ყოველწლიურად იაფდება ელექტრო მწყემსისათვის საჭირო მოწყობილობების ფასი (Hoare, 1992). ელექტრო მწყემსის ტიპს და დიზაინს მნიშვნელოვნად განაპირობებს იმ კონკრეტული ცხოველის სახეობა, რომლის წინააღმდეგაც მონტაჟდება მოწყობილობა.



სურათი 8: მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტრო ღობე, რომელიც იცავს სკებს გარეული ცხოველებისგან

მნიშვნელოვანია, რომ შემოდებული და დანერგილი იქნეს მეურნეობის გაძლიერების ისეთი სისტემა, რომელიც შეამცირებს გარეული ცხოველების კონტაქტს შინაურ პირუტყვთან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან (ღამის სანათები, ჰელიოსისტემაზე მომუშავე ელექტრო ღობეები, scarecalls (სურათი 9) და ა.შ.).



სურათი 9: „ScareCall“, სრულად პროგრამირებადი სინათლისა და ხმის მოწყობილობა, რომელიც შეიძლება დამაგრდეს ღობეზე ან ხეზე საძოვრის ტერიტორიაზე გარეული ცხოველების შემოჭრის თავიდან ასაცილებლად. მოწყობილობამ შეიძლება გამოსცეს მოულოდნელად გააქტიურებადი სინათლისა და ხმაურის ეფექტი (მაგ., სროლის ხმა). წყარო: (Shivik, 2006)

აღსანიშნავია, ხმაურის ის სისტემები, რომლის შესახებაც ადგილობრივი მოსახლეობა საუბრობს, როგორც გარეული ცხოველების თავდასხმის წინააღმდეგ ეფექტურ სისტემაზე, შესაძლებელია მოხდეს ამ სისტემის ეფექტურობის კვლევა და გამოცდა. მისი დადებითად შეფასების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს სისტემის დანერგვის სპეციალიზებული პროგრამები, რომლებიც უზრუნველყოფს სისტემის მწარმოებლებთან კავშირს, მათ შემოტანას ქვეყანაში. ასევე, შესაძლოა განხორციელდეს სპეციალიზებული სახელწიფო პროგრამები, რომლებიც მეურნეებს საშუალებას მისცემს შეიძინოს ეს სისტემები შეღავათიანი პირობებით და/ან განვადებით.

7.2.1.2 გუშაგობით მომწყემსვა (Guarding)

ჯოგის ფარების აქტიური მომწყემსვა საძოვარზე მწყემსის დახმარებით, როდესაც მსუბუქად შეიარაღებული ადამიანი მწყემსავს ფარას ან ჯოგს, გარეული ცხოველებისგან დაცვის აქტიური და ეფექტური საშუალებაა, (Patterson, et al., 2004). მწყემსვის ამ მეთოდისათვის შესაძლებელია თემის მიერ დაქირავებულმა მწყემსებმა ან თემის წევრებმა მორიგეობით მწყემსონ თემის კუთვნილი პირუტყვი. გუშაგობით მწყემსვის დროს შესაძლებელია გუშაგებად (მწყემსებად) ძაღლების გამოყენება, ეს კარგი სტრატეგიაა და ამცირებს გარეული ცხოველების მიერ თავდასხმების რისკს, მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ძაღლები არ არიან ეფექტური დათვის ან მგლის თავდასხმისგან დასაცავად (Musiani, et al., 2013). აჭარის სამიზნე სოფლებში არსებული ძაღლების უმეტესობა შერეული ჯიშისაა და ძაღლებიდან არც ერთს არ გაუვლია სპეციალური საწვრთნელი პროგრამა. ძაღლით მწყემსვის ეფექტურობისათვის მნიშვნელოვანია, ძაღლი იყოს სპეციალურად მწყემსისთვის გამოყვანილი ჯიშის მაგ. კავკასიური ან ქართული ნაგაზი და ძაღლებს გავლილი ჰქონდეთ სპეციალური საწვრთნელი პროგრამა.

აღსანიშნავია, რომ როგორც კვლევამ აჩვენა, აჭარის მოსახლეობა ნაკლებად იყენებს ძაღლებს. რაც უფრო მნიშვნელოვანია, ისინი ძაღლებს საერთოდ არ განიხილავენ, როგორც გარეული

ცხოველებისგან მომდინარე რისკის შემცირების ეფექტურ საშუალებას. შესაბამისად, ამ მიმართულებით საჭირო იქნება ცნობიერების ამაღლების და ძაღლების გამოყენების ეფექტურობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების პროგრამების განხორციელება. ასევე, შესაძლებელია ეფექტური გამოდგეს საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში (თუშეთი, ფშავ-ხევსურეთი) დამკვიდრებული პრაქტიკის გაზიარება ადგილობრივი მეურნეებისათვის, მათთვის ძაღლების გამოყენების უპირატესობის ნათლად დემონსტრირების მიზნით. აღნიშნული ასევე ხელს შეუწყობს იმ ბარიერის დაძლევა, რომელიც დაკავშირებულია ადგილობრივების წარმოდგენასთან ჯიშიანი მოდარაჯე ძაღლების შენახვის სიძვირე/სირთულესთან დაკავშირებით (ადგილობრივების მიერ აღნიშნული, ძაღლების არყოლის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად სახელდება). ვინაიდან, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში მცხოვრები მეურნე და მისი შემოსავლების მოცულობა, თვისობრივად ნაკლებად განსხვავდება აჭარელი მეურნის შემოსავლებისგან. შესაბამისად, რაც ეფექტურია აღმოსავლეთ საქართველოში, დიდი ალბათობით, ეფექტური იქნება აჭარაშიც.

7.2.1.3 მესაქონლეობის ფერმების სახეობრივი გადახალისება

ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია მესაქონლეთა ფერმებში ცხოველების იმგვარი სახეობების გაჩენა, რომლებზეც თავდასხმებს გარეული ცხოველი, როგორც წესი, თავს არიდებს. ერთ-ერთი ამგვარი ცხოველი კამეჩია, რომელიც ისტორიულად გავრცელებული იყო აჭარაში. ამასთან, მათი არსებობა მესაქონლე ფერმების შემადგენლობაში ამ ფერმების მდგრადობის ხელშემწყობია გარეულ ცხოველთა შესაძლო თავდასხმების მიმართ.

კამეჩი მძიმე მასის ცხოველია, საკამოდ სქელი ტყავი და აგრესიული ხასიათი გააჩნია, კამეჩს გარეული ცხოველები ერიდებიან. საგულისხმოა, ბოლო 20 წლის მანძილზე საქართველოში კამეჩზე გარეული ცხოველის (დათვი, მგელი) თავდასხმის არც ერთი ფაქტი არ დაფიქსირებულა. აჭარის რეგიონში კამეჩის ყოლა ბუნებრივი პირობების გამო ადვილად შესაძლებელია. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ კამეჩის ყოლა გარკვეულწილად მომგებიანია ეკონომიური თვალსაზრისითაც. კერძოდ, კამეჩის რძისგან მზადდება საუკეთესო ხარისხის მაწონი, კარაქი, ყველი, სულგუნი, ხაჭო და სხვა, რომელთა თავისი გემოვნებითი თვისებებით და ფასით, როგორც წესი, ძროხის ანალოგიურ პროდუქტს აღემატება. თუმცა, ზრდასრული კამეჩის ხორცი ძროხის ხორცს ვერ შეედრება, რადგან მასთან შედარებით უხემ-ბოჭკოიანია და ხარისხით ჩამოუვარდება. აღსანიშნავია, რომ კამეჩის ზაქს, ნორმალურ პირობებში გამოზრდისას, ძროხაზე კარგი მეხორცული მაჩვენებლები აქვს. მოვლის თვალსაზრისით - კამეჩი 10-15%-ით უკეთ ინელებს უხემ საკვებს და საუკეთესო სამუშაო ძალას წარმოადგენს.

7.2.2 შემარბილებელი სტრატეგია

7.2.2.1 კომპენსაციის სისტემა

ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულება იწვევს ადამიანებისათვის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ზიანს და კომპენსაციის გადახდა არის საშუალება, რაც შეარბილებს ურთიერთდამოკიდებულების უარყოფით საკითხებს, რადგან ადამიანებს სრულად ან ნაწილობრივ აუნაზღაურდებათ მათი დანაკარგი. კომპენსაციის სისტემის დანერგვისათვის შესაძლებელია თანხები მოძიებულ იქნას ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების თუ მოსაკრებლებისაგან (ნადირობის, საშემე მერქანი და ა.შ.), დაცული ტერიტორიების შემოსავლებით ან დონორების დახმარებით. ამ

მხრივ აღსანიშნავია, რომ მსხვილი გარეული ცხოველის არსებობა თავისთავად წარმოადგენს ინტერესის ობიექტს, რომელიც შესაძლებელია საფუძვლად დაედოს ადგილზე ეკოტურიზმის განვითარებას (იმ ადგილებში მოგზაურობა, სადაც ბინადრობენ გარეული ცხოველები, მათზე ან მათ საცხოვრებელ გარემოზე დაკვირვება და ა.შ.). ასეთ შემთხვევაში, მსხვილი გარეული ცხოველების არსებობა შესაძლებელია განხილული იქნას როგორც ეკოსისტემური სერვისები (კულტურული სერვისები - ეკოტურიზმი, რეკრეაცია). შესაბამისად, პერსპექტივაში შესაძლოა დაინერგოს გარკვეული სახის გადასახადების სისტემა - გადასახადი ეკოსისტემური სერვისისათვის (Payment for Ecosystem Services), რომლის მეშვეობით აკუმულირებული ფინანსური რესურსების ნაწილი მიმართული იქნება ადგილობრივი მოსახლეობის კომპენსირებისთვის. ამგვარი ტურიზმის განვითარების შემთხვევაში, ადგილობრივი მოსახლეობა გარკვეულწილად გვევლინება, როგორც ამგვარი სერვისის მიმწოდებელი (არ ანადგურებენ გარეულ ცხოველებს, უფრთხილდებიან მას და ხელს უწყობენ სერვისის სრულფასოვანი სახით არსებობას). შესაბამისად, ლოგიკურია მისი, როგორც სერვისის მიმწოდებლისთვის კომპენსირების შესაბამისი სქემების შემუშავება. ასეთ შემთხვევაში, სავარაუდოდ, გაიზრდება მოსახლეობის მზაობა ველურ გარემოსთან ერთად თანაარსებობისადმი და მიმღებლობა მისგან განპირობებული შესაძლო დანაკარგების მიმართ. ასევე, გაუმჯობესდება ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება გარეული ცხოველების მიმართ.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა გამოსავალზე საუბრისას აქტიურად საუბრობს კომპენსაციების შესახებ, ამ მექანიზმის გამოყენება სიფრთხილით არის საჭირო. შესაძლებელია მისი გამოყენება კომპლექსურად, სხვა ღონისძიებების პარალელურად, ან როგორც შემავსებელი სხვა ღონისძიებებისა. პროექტის გუნდის აზრით, კატეგორიულად არ შეიძლება კომპენსირების მექანიზმის ამოქმედება, განყენებული და/ან მხოლოდ ერთი ინსტრუმენტის სახით.

7.2.2.2 მოსავლის და პირუტყვის დაზღვევა

მოსავლის და პირუტყვის დაზღვევა ეფექტური და ინოვაციური საშუალებაა ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შესარბილებლად, მაგრამ დაზღვევის ეს სახე ჯერ კიდევ ექსპერიმენტულია, არ არის კარგად აწყობილი და მოსახლეობასაც არ აქვს სრული ინფორმაცია მის შესახებ. დაზღვევის ეს სახე აზღვევს მოსავალს ან პირუტყვს გარეული ცხოველების თავდასხმისგან. ამგვარ დაზღვევის სისტემაში შესაძლებელია ჩაერთოს მთავრობა, მუნიციპალიტეტი, რაც შეამცირებს ფერმერის მიერ დაზღვევისათვის გადასახდელ თანხას.

7.2.3 მმართველობა და ინფორმაციის მიწოდება

7.2.3.1 საფრთხეების განსაზღვრა მონაცემების მართვისა და ანალიზის გზით.

მონაცემების მართვისა და ანალიზის საშუალებით საფრთხეების განსაზღვრა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ის საშუალებას იძლევა დავადგინოთ გარეულ ცხოველთა თავდასხმების ძირითადი არეალები და სეზონები. აღნიშნული ანალიზი დაგვეხმარება მართებული შემარბილებელი სტრატეგიის შერჩევაში და ადგილობრივ მოსახლეობაში შიშისა და უმწეობის განცდის შემცირებაში.

7.2.3.2 კონსერვაციული განათლება ადგილობრივი მოსახლეობისათვის

საგანმანათლებლო აქტივობები სხვადასხვა დონეებზე, მაგალითად, სკოლებში, ფერმერებში, სხვადასხვა სოციალურ თუ ეკონომიკურ ჯგუფებში, რომლის მიზანი იქნება ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ თანამედროვე ცოდნის, ინოვაციური ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ადგილობრივი შესაძლებლობების გაძლიერება ურთიერთდამოკიდებულების უარყოფითი საკითხების შერბილებისათვის და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულებაზე, რომელმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ადგილობრივი შემოსავლის ზრდას.

ადგილობრივი თემის წარმომადგენლებისთვის ინფორმაციის მიწოდება პრაქტიკული მეთოდების შესახებ, ხელს შეუწყობს მათი მედეგობის ზრდას გარეული ცხოველების წინაშე, ასევე განაპირობებს გამოცდილების დაგროვებასა და შედეგად ახალი ტექნიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვას მეურნეობების დაცვის თვალსაზრისით.

შემარბილებელი ღონისძიებების თანამედროვე მიდგომების გაზიარება ადგილობრივი მოსახლეობისათვის დროთა განმავლობაში განაპირობებს ქცევის ცვლილებას მოსახლეობაში და ხელს შეუწყობს რისკის შემცირებას, ადგილობრივი ცხოველების პირობების გაუმჯობესებას და თავდასხმების მიმართ მოწყვლადობის შემცირებას. ოპტიმისტური გათვლებით განათლება და სწავლება ხელს შეუწყობს კონსერვაციონისტული დამოკიდებულებების ზრდას, ცნობიერების ამაღლებას ეკოსისტემების ფუნქციონირებისთვის ველური ბუნების უმნიშვნელოვანესი როლის და მისი ეთიკური და ეკონომიკური ფასეულობების შესახებ. ასევე, მისი რეკრეაციული და ესთეტიკური მნიშვნელობის გააზრებასა და ამ ფუნქციის წინ წამოწევას.

7.2.3.3 გარეულ ცხოველთა თავდასხმების თვალსაზრისით ე.წ. „ცხელი წერტილების“ განსაზღვრის / გამოვლენის და პროგნოზირების სისტემის ჩამოყალიბება, მონაცემების მოძიება და ზეგავლენების შეფასება.

აღნიშნული ღონისძიება გულისხმობს:

- გარეული ცხოველების მონიტორინგის სისტემის შემუშავებას და განხორციელებას (შესაძლებელია ფოტოხაფანგების აქტიურად გამოყენება).
- ველურ ბუნებაში არსებული გარეული ცხოველების საკვები ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებას და განხორციელებას (მაგალითად, ველურიგარეული ჩლიქოსნების გამრავლების პროგრამები, ცალკეული, ველურად მოზარდი ნაყოფისმომცემი მცენარეების დაცვა და აღდგენა და ა.შ).
- სიტუაციის მუდმივი მონიტორინგის სისტემის შექმნასა და დანერგვას.

7.2.4 ინსტიტუციური მექანიზმები

7.2.4.1 გარეული ცხოველების თავდასხმაზე რეაგირების ჯგუფი

ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების უარყოფით საკითხებზე სწრაფი რეაგირებისათვის სასურველია, ჩამოყალიბდეს დატრენინგებული ადამიანებისგან შემდგარი ჯგუფი. ჯგუფი უნდა დაკომპლექტდეს შემდეგნაირად: გარემოს დაცვის წარმომადგენელი (დაცული ტერიტორიის რეინჯერი, სატყეო რეინჯერი ან გარემოს

ზედამხედველობის ინსპექციის წარმომადგენელი), მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი, სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი და თემიდან რამდენიმე ადამიანი.

ადგილობრივ მოსახლეობას შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ, ინფორმაცია თავდასხმების შესახებ პირდაპირ ჯგუფს მიაწოდოს. ჯგუფი სწრაფად და ეფექტურად მოახდენს რეაგირებას პრობლემებზე, რაც გაზრდის მოსახლების ნდობას გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიმართ. ჯგუფი მოახდენს ყოველი შემთხვევის პროფესიონალურ აღწერას, მონაცემების მონაცემთა ბაზაში განთავსებას. პრობლემური ცხოველის იდენტიფიცირებას, საჭიროების შემთხვევაში პრობლემური ცხოველის ამოღებისათვის საჭირო ნებართვის მოპოვებას და შემდგომ პრობლემური ცხოველის ამოღებას.

ALCP-ს ხელშეწყობით შექმნილი მუნიციპალური DRR სამუშაო ჯგუფები

ამ თვალსაზრისით წინგადადგმული ნაბიჯია ALCP-ს ხელშეწყობით ჩამოყალიბებული კატასტროფებზე რეაგირების ჯგუფების არსებობა. ამ ჯგუფებმა შესაძლოა შეითავსონ აღწერილი ფუნქციების დიდი ნაწილი.

თავისი დებულების და შექმნის ლოგიკიდან გამომდინარე, აღნიშნული ჯგუფები გარეული ცხოველების ადამიანის საცხოვრებელ და ეკონომიკური აქტივობის გარემოზე მონიტორინგის ფუნქციასაც ატარებს. აღნიშნული ფუნქციები ჯგუფისათვის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა და საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში არსებული კანონმდებლობის საფუძველზე არის განსაზღვრული. დღეისათვის ჯგუფები გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებას ახორციელებენ. დაგეგმილი მიზნების მისაღწევად, სამუშაო ჯგუფები აქტიურ კოორდინაციას მოახდენენ ყველა ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლების კატასტროფების რისკების მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან. სამომავლოდ, სასურველი იქნება, ამ ჯგუფებს ჰქონდეთ კონკრეტული სახელმძღვანელო დოკუმენტები (გაიდლაინი) და კონკრეტული ინსტრუქციები თუ როგორ იმოქმედონ შექმნილ მდგომარეობაში (სტანდარტული საოპერაციო პროცედურები (Standart Operation Procedures). აღსანიშნავია, რომ ამგვარი სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობის ინიციატივა თვით ჯგუფის წევრების მიერ გამოითქვა მათთან ჩატარებული სამუშაო შეხვედრის მიმდინარეობისას.

მომავალში პოზიტიური ნაბიჯი იქნება მსგავსი მიმართულებით საქართველოში მომუშავე ჯგუფებთან თანამშრომლობა. დღეისათვის აჭარაში რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია აქტიურად მუშაობს აღნიშნული მიმართულებით, მათ შორის არიან შავი ზღვის ეკოაკადემია და ასოციაცია „ბორჯღალი“. ასევე, მსგავსი გამოცდილება არსებობს კახეთის რეგიონის დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, სადაც სწორედ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების საფუძველზე შეიქმნა კატასტროფებზე რეაგირების ჯგუფები (FFI / NACRES). კახეთის მაგალითისგან განსხვავებით, თუ კატასტროფების მართვის სამუშაო ჯგუფებში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ჩაერთვებიან, ჯგუფები სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს გააერთიანებს და მათი მუშაობა მომავალში მეტ მდგრადობას შეიძენს. ასევე, აღნიშნულ ჯგუფებს უფრო მოქნილს გახდის, რაც მნიშვნელოვნად აამაღლებს ჯგუფის ეფექტურობას პრევენციისა და რეაგირების საჭიროების შემთხვევაში მოკლე დროში საჭირო რესურსების მოძიებას. როგორც ცნობილია, დედოფლისწყაროში შექმნილი სამუშაო ჯგუფებისთვის (საქართველოს გარეულ ცხოველთა

კონსერვაციის პროექტი (GCCP)) შემუშავებულია მონაცემების შეგროვების პროგრამა, რომლის სინქრონიზება და დანერგვაც, ასევე, შესაძლებელია განხორციელდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში. აღნიშნული ნაბიჯი საქართველოში არსებული მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების ინტეგრირებული სისტემის შექმნის კარგი მაგალითი იქნება, რომელიც საბოლოოდ შესაძლებელია დანერგილ იქნას საქართველოს ყველა რეგიონში.

DRR ჯგუფები შეიძლება დატრენინგდნენ ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულებასთან დაკავშირებული თანამედროვე და მოწინავე გამოცდილების, ტექნოლოგიების და მექანიზმების კვლევაში და მოახდინონ სამიზნე არეალში მათი ტესტირება. ტესტირების დადებითი შედეგების შემთხვევაში, განახორციელონ სპეციალური პროგრამები მათი დანერგვის უზრუნველსაყოფად.

7.2.4.2 გარეული ცხოველების ბუნებიდან ამოღება

გადაუდებელ შემთხვევებში გარეული ცხოველების ბუნებიდან ამოღების სანებართვო სისტემის დახვეწა და ზუსტი ინსტრუქციის გაწერა. ასევე, ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილების გაზრდა ამ თვალსაზრისით.

7.2.4.3 არსებული მექანიზმების გაძლიერება

როგორც კვლევამ გვიჩვენა, არსებული მექანიზმები, ძირითადად, გულისხმობს გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საშუალებით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან კომუნიკაციას და სამინისტროს სპეციალური ჯგუფის მივლინებისა და მოკვლევის შემდეგ, მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების დელეგირებას ცხოველების ამოღების თვალსაზრისით. ამ სამსახურის მეტი ეფექტურობისათვის შექმნილია ცხელი ხაზი - 153.

კვლევის მიმდინარეობისას, პროექტის გუნდის მიერ ჩატარებულმა მარტივმა ექსპერიმენტმა დაადასტურა, რომ მიუხედავად ამ მექანიზმის არსებობისა, მისი ეფექტურობა საგრძნობლად დაბალია. ასევე, აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტების ხელისუფლებების წარმომადგენლებმაც ხშირ შემთხვევაში არ იციან ზუსტი პროცედურები და არსებული მექანიზმები ადამიანისა და გარეული ცხოველების ურთიერთდამოკიდებულების მართვის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია:

- ყველა დაინტერესებული მხარისათვის (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება) ინფორმაციის მიწოდება და სწავლება არსებული მექანიზმების და მისი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ.
- 153 ცხელი ხაზის ოპერატორებისათვის კონკრეტული ტრენინგების ჩატარება, თუ როგორ უნდა მართონ გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ შემოსული შეტყობინებები.

აღნიშნულის გარდა, მუნიციპალური სამუშაო ჯგუფების საფუძველზე და მათი მონაწილეობით შესაძლოა შეიქმნას გარკვეული სამუშაო პლატფორმა, სადაც წარმოდგენილი იქნება საკითხით ყველა დაინტერესებული მხარე / ინსტიტუცია. ამგვარი პლატფორმის

შეკრება მოხდება გარკვეული პერიოდულობით, შეხვედრებს ექნება სამუშაო ხასიათი, სადაც მოხდება არსებული სიტუაციის განხილვა, ადამიანისა და გარეული ცხოველის ურთიერთქმედების ანალიზი (ამ მხრივ კარგ საფუძველს ქმნის სამუშაო ჯგუფების მიერ უკვე მოპოვებული მონაცემები, რომელიც მონაწილეებს დაეხმარება გაიაზრონ პრობლემის რეალური მასშტაბები) და ამ ანალიზის საფუძველზე შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება, სახელმწიფოს ხელში არსებული საკანონმდებლო მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. მექანიზმების გაუმჯობესება შესაძლებელია დაკავშირებული იყოს არსებული მარეგულირებელი ბაზის ცვლილებასთან. ამგვარი ცვლილების ინიციატორი კი, პროექტის გუნდის აზრით, უპირველესად, სწორედ ამგვარი უწყებათაშორისი პლატფორმა უნდა გახდეს. ფორმატი, რომელსაც კარგ შემთხვევაში ყველაზე უკეთ ეცოდინება პრობლემის რეალური მასშტაბი და ხასიათი (პლატფორმის წევრი DRR სამუშაო ჯგუფების დახმარებით), ასევე, სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა, განაპირობებს ადეკვატური და შედეგზე ორიენტირებული რეფორმების ინიცირებას.

რეკომენდაციების შეჯამება

ზემოთ აღნიშნული რეკომენდაციები შეჯამებულია მოკლედ ცხრილ 4-ში.

ცხრილი 4: რეკომენდაციების შეჯამება

სტრატეგია	კონკრეტული რეკომენდაცია	დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობა	საკვანძო საკითხები
პრევენცია	ხელოვნური ბარიერების მოწყობა (ფიზიკური და ბუნებრივი) – (დროშებიანი ბარიერი, „ელექტრო მწყემსი“ და ა.შ.)	<ul style="list-style-type: none"> ადგილობრივი თემი ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) 	<ul style="list-style-type: none"> დროშებიანი ბარიერი მოწყობა შედარებით რთულია სამოვრებზე. ასეთი ბარიერი კარგად მოქმედებს მგელზე, თუმცა ნაკლებად ეფექტურია დათვის წინააღმდეგ. „ელექტრო მწყემსის“ დანერგვისას მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იქნეს კონკრეტული გარემო პირობები და ცხოველის სახეობა. რეკომენდირებულია სხვადასხვა სახის ბარიერების კომბინირებულად გამოყენება რეკომენდირებულია ახალი სისტემების კვლევა (მაგ., ხმაურის სისტემები) და წარმატებით გამოცდის შემთხვევაში, მათი დანერგვის პროგრამების

სტრატეგია	კონკრეტული რეკომენდაცია	დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობა	საკვანძო საკითხები
	გუშაგობით მომწყემსვა (Guarding)	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი თემი • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) 	<p>განხორციელება</p> <ul style="list-style-type: none"> • მწყემსობის პრაქტიკის დანერგვა • ძაღლის, როგორც თავდასხმის შემცირების ეფექტური საშუალების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება
	მესაქონლეობის ფერმების სახეობრივი გადახალისება	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი თემი • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) 	<ul style="list-style-type: none"> • რეკომენდირებულია მესაქონლეთა ფერმებში ცხოველების იმგვარი სახეობების გაჩენა, რომლებზეც თავდასხმებს გარეული ცხოველი, როგორც წესი, თავს არიდებს (მაგ., კამეჩი). • სპეციალური პროგრამები, რომლებიც მიმართული იქნება ამგვარ ცხოველთა სახეობების შერჩევასა და ადგილობრივ პირობებში მათი ეფექტურობის კვლევაზე. • საგანმანათლებლო კამპანიები და მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება ფერმების ამგვარი მოდერნიზების შესახებ.
შერბილების სტრატეგია	კომპენსაციის სისტემა	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) • რეგიონული ხელისუფლება • დაცული ტერიტორიების საგენტო 	<ul style="list-style-type: none"> • კომპენსაციის სისტემის დანერგვისათვის შესაძლებელია თანხები მოძიებულ იქნას ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიების თუ მოსაკრებლებისაგან. ასევე, დაცული ტერიტორიების შემოსავლებით და/ან დონორების დახმარებით. • რეკომენდირებულია ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ეკოსისტემების გადასახადების სისტემის შემოღება. • კომპენსირების მექანიზმის

სტრატეგია	კონკრეტული რეკომენდაცია	დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობა	საკვანძო საკითხები
			<p>გამოყენება შესაძლებელია სხვა ღონისძიებების პარალელურად, ან როგორც შემავსებელი სხვა ღონისძიებებისა.</p>
	<p>მოსავლის და პირუტყვის დაზღვევა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) • რეგიონული ხელისუფლება 	<ul style="list-style-type: none"> • დაზღვევის ამგვარი სისტემა შედარებით ახალია და მას ჯერ კიდევ ექსპერიმენტული სახე აქვს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საპილოტე პროექტების განხორციელება ამგვარი სისტემის ეფექტურობის განსაზღვრისა და შესაბამისი მოდიფიცირებისათვის. • მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან საგანმანათლებლო და ცნობიერების ამაღლების კამპანიების ჩატარება სადაზღვევო სისტემის დადებითი მხარეების შესახებ.
<p>მმართველობა და ინფორმირებულობა</p>	<p>მონაცემების მართვისა და ანალიზის საშუალებით საფრთხეების განსაზღვრა</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი DRR სამუშაო ჯგუფები 	<ul style="list-style-type: none"> • მონაცემების ანალიზი საშუალებას მოგვცემს დადგინდეს თავდასხმების მახასიათებლები: თავდასხმების გეოგრაფიული არეალები და სეზონები. აღნიშნული ანალიზი დაგვეხმარება მართებულ, შემარბილებელი სტრატეგიის შერჩევაში და ადგილობრივ მოსახლეობაში შიშისა და უმწეობის განცდის შემცირებაში.
	<p>კონსერვაციული განათლება ადგილობრივი მოსახლეობისათვის</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) • რეგიონული ხელისუფლება 	<p>ადგილობრივი თემის წარმომადგენლების ცნობიერების და ცოდნის ზრდა -</p> <ul style="list-style-type: none"> • ხელს შეუწყობს მათი

სტრატეგია	კონკრეტული რეკომენდაცია	დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობა	საკვანძო საკითხები
		<ul style="list-style-type: none"> • დაცული ტერიტორიების სააგენტო 	<p>მედეგობის ზრდას გარეული ცხოველების წინაშე.</p> <ul style="list-style-type: none"> • განაპირობებს გამოცდილების დაგროვებასა და შედეგად ახალი ტექნიკებისა და ტექნოლოგიების დანერგვას მეურნეობების დაცვის თვალსაზრისით.
	<p>გარეულ ცხოველთა თავდასხმების თვალსაზრისით ე.წ. „ცხელი წერტილების“ განსაზღვრის / გამოვლენის და პროგნოზირების სისტემის ჩამოყალიბება, მონაცემების მოძიება და ზეგავლენების შეფასება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) • რეგიონული ხელისუფლება • დაცული ტერიტორიების სააგენტო 	<ul style="list-style-type: none"> • გარეული ცხოველების მონიტორინგის სისტემის შემუშავება და განხორციელება. • გარეულ ცხოველების ჰაბიტატების მართვა (მაგ., საკვები ბაზის გაუმჯობესება).
ინსტიტუციური მექანიზმები	<p>გარეული ცხოველების თავდასხმაზე რეაგირების ჯგუფი</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლება (მუნიციპალური) • რეგიონული ხელისუფლება • გარემოსდაცვის ზედამხედველობის სამსახური. 	<p>ჯგუფი მოახდენს</p> <ul style="list-style-type: none"> • თავდასხმის ყოველი შემთხვევის პროფესიონალურ აღწერას და ინფორმაციის ერთიან მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებას. • პრობლემური ცხოველის იდენტიფიცირებას, საჭიროების შემთხვევაში, პრობლემური ცხოველის ამოღებისათვის საჭირო ნებართვის მოპოვებას და შემდგომ მის ამოღებას.
	<p>მუნიციპალური DRR სამუშაო ჯგუფები</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალური) სამუშაო ჯგუფი. • რეგიონული ხელისუფლება • გარემოსდაცვის ზედამხედველობის 	<ul style="list-style-type: none"> • კოორდინაცია ეროვნულ და ადგილობრივი ხელისუფლების შესაბამის საკითხების მართვაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებთან. • რეკომენდირებულია ამ ჯგუფებისთვის

სტრატეგია	კონკრეტული რეკომენდაცია	დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობა	საკვანძო საკითხები
		სამსახური.	<p>კონკრეტული სახელმძღვანელო დოკუმენტების (გაიდლაინი) და კონკრეტული ინსტრუქციების შემუშავება თუ როგორ იმოქმედონ კონკრეტულ სიტუაციაში (ე.წ. სტანდარტული საოპერაციო პროცედურები (Standart Operation Procedures)).</p> <ul style="list-style-type: none"> • ჯგუფის მუშაობაში ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართვა ჯგუფის გაძლიერების მიზნით. • საქართველოში სხვა მსგავს პროგრამებთან დაკავშირება, განხორციელებული ქმედებების ეროვნულ დონეზე დანერგვის / მასშტაბირების შესაძლებლობის შეფასების მიზნით (მაგ., საქართველოს გარეულ ცხოველთა კონსერვაციის პროექტი (GCCP)).
	<p>არსებული მექანიზმების გაძლიერება, გარეული ცხოველის ბუნებიდან ამოღება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალური) სამუშაო ჯგუფი. • რეგიონული ხელისუფლება • გარემოსდაცვის ზედამხედველობის სამსახური. • ეროვნული ხელისუფლება (გარემოს დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ა.შ.). 	<ul style="list-style-type: none"> • ყველა დაინტერესებული მხარისათვის (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება) ინფორმაციის მიწოდება და სწავლება არსებული მექანიზმების და მისი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. • რეკომენდირებულია დაინტერესებული მხარეების მიერ არსებული მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ადეკვატური ცვლილებების ინიცირების მიზნით.

სტრატეგია	კონკრეტული რეკომენდაცია	დაინტერესებული მხარეების პასუხისმგებლობა	საკვანძო საკითხები
			<ul style="list-style-type: none"> • 153 ცხელი ხაზის ოპერატორებისათვის კონკრეტული ტრენინგების ჩატარება, თუ როგორ უნდა მართონ გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ შემოსული შეტყობინებები.
	<p>არსებული მექანიზმების გაძლიერება, გარეული ცხოველების ბუნებიდან ამოღება</p>	<ul style="list-style-type: none"> • ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალური) სამუშაო ჯგუფი. • რეგიონული ხელისუფლება • გარემოსდაცვის ზედამხედველობის სამსახური. • ეროვნული ხელისუფლება (გარემოს დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ა.შ.). 	<ul style="list-style-type: none"> • ყველა დაინტერესებული მხარისათვის (მოსახლეობა, ადგილობრივი ხელისუფლება) ინფორმაციის მიწოდება და სწავლება არსებული მექანიზმების და მისი გამოყენების შესაძლებლობების შესახებ. • რეკომენდირებულია დაინტერესებული მხარეების მიერ არსებული მექანიზმების დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება ადეკვატური ცვლილებების ინიცირების მიზნით. • 153 ცხელი ხაზის ოპერატორებისათვის კონკრეტული ტრენინგების ჩატარება, თუ როგორ უნდა მართონ გარეული ცხოველების თავდასხმების შესახებ შემოსული შეტყობინებები.

8. გამოყენებული ლიტერატურა

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო., 2012, აჭარის სივრცითი მოწყობის სქემა
- Bath A. 2009. Working with people to achieve wolf conservation in Europe and North America. In: A new era for wolves and people: wolf recovery, human attitudes and policy. Musiani M., Boitani L. and Paquet P. eds. University of Calgary Press, Calgary: 173-199
- ბუხნიკაშვილი, ა., კანდაუროვი. ა., 2002. საქართვეკის ძუძუმწოვრების ანოტირებული სია. ზოოლოგიის ინსტიტუტის შრომები, თბილისი XXI
- Boitani, L. 2000. Action Plan for the conservation of the wolves (*Canis lupus*) in Europe
- Breitenmoser, U., Breitenmoser-Wursten, C., Okarma, H., Kaphegyi, T., Kaphygyi, U., Wallmann., Muller, M.U. 2000. Action Plan for the conservation of the Eurasian Lynx (*Lynx lynx*) in Europe
- Delahay, R., G. Wilson, S. Harris, D. Macdonald. 2008. Badger *Meles meles*. Pp. 425-436 in S Harris, D
- FFI & NACRES, 2014. Addressing Human-Carnivore Conflict in Vashlovani & Tusheti Protected Areas. 5th Survey of Human-Carnivore Conflict in Vashlovani
- Динник Н.Я. 1910. Звери Кавказа. Часть I. Западно-Кавказское отделение Русского географического общества, кн. 27-я, вып. 1-й. Тифлис, 246 с. (стр. 161 - 205)
- Distefano, Elisa (2005). Human-Wildlife Conflict Worldwide: Collection of Case Studies, Analysis of Management Strategies and Good Practices
- გურიელიძე, ზ., **2012**. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი, ცხოველთა სამყაროს შესწავლის მასალები, 44 გვ
- გურიელიძე ზ., **2013**. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტი, ცხოველთა სამყაროს შესწავლის მასალები
- Heptner, V. G.; Naumov, N. P. 1998. Mammals of the Soviet Union Vol.II Part 1a, SIRENIA AND CARNIVORA. Science Publishers, Inc. USA. ISBN 1-886106-81-9.
- Hoare, R. E. 1992. The present and future use of fencing in the management of larger African mammals. *Environmental Conservation*. 19 (2): 160 -164
- IUCN Cat Specialist Group, 1996. Asiatic wildcat, *Felis silvestris, ornata* group (On-line). IUCN Cat Specialist Group; Species Accounts. Accessed March 12, 2004
- Kenya Wildlife Service. 1996. Wildlife-hum conflicts, Sources, Solutions and Issues. (<http://www.safariweb.com/kwild/wildlife.htm>)
- Krebs, Ch., 2006, Mammals// in Sutherland, W.,J. (editor), 2006, Ecological Census Techniques, a handbook, second edition, Cambridge University Press : research, management, and policy, Blackwell Publishing,: 278 pp

- Linnell, John D. C., 2013. From conflict to coexistence? Insights from multidisciplinary research into the relationships between people, large carnivores and institutions. European Commission
- Linnell, J. D. C. 2002. The Fear of Wolves: A Review of Wolf Attacks on Humans, NINA, ISBN 82-426-1292-7
- Majic A, 2007. Human Dimensions in Wolf Management in Croatia: Understanding Public Attitudes toward Wolves over Time and Space
- Majic A., Taussig de Bodonia A.M., Huber D., Bunnefeld N., 2011. Dynamics of public attitudes toward bears and the role of bear hunting in Croatia
- მანველიძე, ზ., მემიაძე, ნ., ხარაზიშვილი, დ., ვარშანიძე, ნ., 2008, ჟურნალი „Plants Science“ ISSN E1987-8028. N1.
- Musiani M., Boitani L. and Paquet P. eds. 2009. A new era for wolves and people: wolf recovery, human attitudes and policy. University of Calgary Press, Calgary. 282 pp
- Musiani, M., Mamo, C., Boitani, L., Callaghan, C., Gates, C., Mattei, L., Visalberghi, E., Breck. 2003. Wolf Depredation Trends and the Use of Fladry Barriers to Protect Livestock in Western North America. Conservation Biology. 17 (6)
- Patterson, B. D., Kasik, S. M., Selempo, E. and Kays, R.W. 2004. Livestock predation by lions (*Panthera leo*) and other carnivores on ranches neighboring Tsavo National Parks, Kenya. Biological Conservation. 119 (4): 507 – 516
- Rigg R., Sillero C., 2010. Georgian Carnivore Conservation Project Component: Mitigating human-carnivore conflict in East Georgia. Phase 1: Baseline survey of human-carnivore conflict
- Shivik, A.J., 2006 Tools for the Edge: What's New for Conserving Carnivores
- Sillero-Zubiri C., Sukumar R. and Treves A. (2006). Living with wildlife: the roots of conflict and the solutions. In: Key topics in conservation biology. Macdonald D.W. and Service K. eds. Blackwell Publishing, Oxford: 253–270
- Stephen, H., Derek, Y., 2008. Mammals of the British Isles. Mammal Society; 4th Revised edition. ISBN 0-906282-6-59
- Sutherland W.,J., 2006. The conservation handbook: research, management, and policy, Blackwell Publishing, : 278 pp
- Swenson, E. J., Gerstl, N., Dahle, B., Zedrosser, A. 2000. Action Plan for the conservation of the Brown Bear (*Ursus arctos*) in Europe
- Thompson W., White G., Gowan Ch., 1998, Monitoring, Vertebrate, Populations, Academic Press, USA: 365 pp
- Wilde, H. 2005. Fox Rabies in India. Clin Infect Dis. 40 (4):614-5
- Yalden, eds. Mammals of the British Isles: Handbook 4th Edition, Vol. 1, 4 Edition. Southampton, UK: The Mammal Society

9. დანართები

1. ტექნიკური დავალება

მცირე კავკასიის ალიანსების პროგრამა (ALCP) წარმოადგენს შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს საბაზრო განვითარების პროექტს, რომელსაც ახორციელებს „მერსი ქორფსი“ საქართველოში. პროგრამა მუშაობს რძის, ხორცის, ცხვრისა და თაფლის ქვე-სექტორების განვითარებაზე სამხრეთ საქართველოს რეგიონებში: ქვემო ქართლი (KK), სამცხე-ჯავახეთი (SJ) და აჭარა (AJ). დამატებითი ინფორმაციისათვის გთხოვთ იხილოთ www.alcp.ge.

